# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 13 ნოემბერი 1998 №207 (742) ფასი 50 თეთრი


# 98 გიორგი ასანიძის მსოფლიოს რეკორდი და მცირე ოქრო



გუშინ ფინეთის ქალაქ ლახტიში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 69 და 77 კგ წონითი კატეგორიების ათლეტებმა იასპარეზეს. ჩვენი ყურადღება, ცხადია, 77-კილოგრამიან ძალოსნებისკენ იყო მიპყრობილი, ამ წონაში ხომ ჩვენებური, ევროპის ვიცე-ჩემპიონი გიორგი ასანიძე გამოდის.

წლეულს ქართველმა სპორტსმენებმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერაფრით გამოიჩინეს თავი და ასანიძე ბოლო იმედი და იყო. საჩხერელმაც. ჩინებულად დაიწყო და მედლის მოპოვების რეალური შესაძლებლობაც გაუჩნდა, მაგრამ...

ლახტის ფიცარნაგზე 77 კგ წონაში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი კი ბულგარელი ზლატან ვანევი იყო. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ასანიძემ სწორედ ამ ბულგარელს დაუთმო ოქროს მედალი.

ათლეტები თავიდან ატაცში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. გიორგიმ პირველ ცდაზე 160 კგ აიტაცა. ვანევმა 162,5, თურქმა მემეთ ილმაზმა კი 165 კგ. ასანიძემ მეორე ჯერზე თურქის შედეგი გაიმეორა, მესამე ცდაზე კი 168 კგ შეუკვეთა. ამ წონას თუ მოერეოდა, ქართველი მსოფლიოს რეკორდსმენი გახდებოდა.

მაყურებლების ომახიანი შეძახილებით შეგულიანებული გიორგი ფიცარნაგზე გავიდა. წამით იყუჩა, მერე კი შტანგას ხელი დაავლო, სხვათაგან დაუძლეველი სიმძიმე იოლად აიტაცა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

პირველი მოძრაობის მერე, ასანიძე ცხადია, ლიდერი შეიქნა და მედლის მოპოვების შანსი ერთობ გაეზარდა. აკვრაში ასანიძემ ჯერ 190 კგ ასწია, მერე 195 შეეჭიდა, მაგრამ ეს სიმძიმე მისთვის ამჯერად დაუძლეველი აღმოჩნდა. ორჯერ სცადა გიორგიმ ამ წონის დამორჩილება, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ. ამით კი სხვებმა იხეირეს. ჯერ იყო და, თურქმა ილმაზმა აჰკრა 195 კგ, მერე ბულგარელებმა ვანევმა და პეტერ ტანევმა 202,5 კგ დაძლიეს, ვანევს ორჭიდის ჯამში 365 კგ დაუგროვდა და 77-კილოგრამიან ძალოსნებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. ასანიძე კი 357,5 კგ-ით მეექვსე ადგილზე გავიდა, თუმცა დაჯილდოების ცერემონიალზე ჩვენებურს მაინც უხმეს — ატაცის შედეგისთვის მცირე ოქროს მედალი გადასცეს.

69-კილოგრამიანთა შორისაც ბულგარელმა იმარჯვა. პლამენ ჟელიაზკოვმა ატაცში 160 კგ-ის დაძლევით ასანიძის მსგავსად მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, აკვრაშიც ყველას აჯობა — 190 კგ ასწია. ორჭიდში 350 კგ დააგროვა და ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი.

**სოსო კოტორაშვილი**

# ვივა კუბა!

## გუშინ კუბელი ფრენბურთელი ქალები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ



REUTERS

# გაატარებს მოსე თავის ხალხს აღთქმულ მიწაზე?

## მოსეშვილი შფოთავს, ჩხირო გვამშვიდებს

...არია მონასტერი. ერაყმა გაეროს უგა...ა. თავის მხრივ ამ უკანასკნელმა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე სადამ ჰუსეინს სიმშვიდისკენ მოუწოდა და თანამშრომლობის აღდგენა მოსთხოვა. აბა, ამერიკა რის ამერიკა იქნებოდა, თავისი სიტყვა არ ჩაეგდო და დაიმუქრა: გიჯობთ, ყველაფერი პოლიტიკური გზით მოაგვაროთ, თორემ არც იარაღის გამოყენებას დავერიდებითო და...

სამსაქმოდ უკვე სამიათასამდე შეიარაღებული სამხედროც გაიგზავნა და გუშინ სულაც ამერიკული ავიამზიდი მიადგა სპარსეთის ყურეს.

...ასეთი უჩვეულო შესავალი კი იმისთვის დაგვჭირდა, ჩვენს თავის ტკივილზე რომ გვეთქვა, თორემ მოქიშპენი უჩვეულოდაც იოლას გავლენ. ერაყისა და ისრაელის „კეთილი მეზობლობის" ამბავი კარგად მოგეხსენებათ. ღმერთმა ნუ ქნას და, კონფლიქტი რომ გაღრმავდეს, ქართველ კალათბურთელთა ისრაელური შეკრებაც ჩაილურის წყალს დალევს. არადა, ჩვენს ყოფაში „მომზადებულ" ეროვნულ გუნდს გეზი სწორედ ისრაელისკენ ჰქონდა აღებული. იქაურ შეკრებას ჩეხეთთან მატჩის წინ მწვრთნელებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ახლა კი წასვლა-არწასვლის საკითხი სულაც კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა და გუშინ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილს რომ შევეხმიანეთ, პირველად სწორედ ეს შემოგვჩივლა:

— ბილეთები უკვე გვაქვს. თხუთმეტში ისრაელში უნდა გავფრინდეთ, მაგრამ რა მოხდება, ნამდვილად ვერ გეტყვით. არა, არა, ყველაფერში ბედია საძირო...

თანაც დიდი რისკის წინაშე ვდგავართ. ღმერთია, რაიმე შარში არ გავეხვიოთ. მშობლებიც შეშფოთებულნი მირეკავენ. ბუნებრივიცაა, ყველა ასე მოიქცეოდა. არადა, ჩვენი იქ გამგზავრება მართლაც სახიფათოა. ვინგეიტის საკალათბურთო ბაზა, სადაც უნდა დავბანაკდეთ, ზუსტად ებრაელთა სამხედრო ბაზის გვერდზეა. ჭირსაც წაუღია ბილეთების ფულიცა და ყველანაირი ხარჯებიც. რაც იქნება, იქნება. ბოლო-ბოლო პირდაპირ პრაღაში ჩავალთ.

**— თქვენი ჯანმრთელობაც გვაინტერესებს. ბოლო ხანს გუნდი უთქვენოდ ვარჯიშობს.**

— შედარებით გამოვკეთდი. დღესაც მინდოდა ვარჯიშზე დასწრება, მაგრამ ვეღარ მოვახერხე. ხვალიდან, ვფიქრობ, საქმეს დავუბრუნდები.

**— დასანანი იქნება, ისრაელში თუ ვერ წახვალთ, თუმცა თხუთმეტამდე შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს. ალბათ, იმ მოთამაშეებსაც შეიგულებდით, გამგზავრების შემთხვევაში თან რომ იახლებთ.**

— ამაზე მწვრთნელებს კონკრეტულად ჯერ არ გვისაუბრია. თუმცა ზოგი რამის თქმა უკვე შეიძლება. სტეფანია, ბოისა, ბერძენიშვილი და ვაშაკიძე მოგვიანებით შემოგვიერთდებიან. ჩხეიძე უკვე იქ დაგვხვდება. ოთიურიძე და მაისურაძე, სამწუხაროდ, ტრავმირებულნი არიან და ამ ეტაპზე გუნდს ვერ დაეხმარებიან. დაგვრჩა შვიდი კანდიდატი, რომელთაგანაც ჟლენტს, ჯაფარიძეს, ქარაბაკსა და ვატო ნაცვლიშვილს ნაკრებში მოხვედრის უკეთესი შანსი აქვთ.

გვეიმედება აბრამიძისაც, რომელსაც ჭარბი წონა აწუხებს და თუ დაიკლებს, აუცილებლად გუნდში იქნება. ასევე გამოიცდებიან გაგნიძე და გიგი ნაცვლიშვილიც. ამ თორმეტი კანდიდატიდან საბოლოოდ ათი კალათბურთელი შეირჩევა და ჩეხეთთან მხოლოდ ისინი იქნებიან, რომლებიც დარჩენილ დროში თავიანთ შესაძლებლობებს უკეთ გამოავლენენ.

*ლევან მოსეშვილთან საუბრის შემდეგ საქმის ვითარებაში უკეთ გასარკვევად ისრაელში თავად რეზო ჩხეიძეს დავუკავშირდით. ჩხირო სწორედ იქაურ ლიგაში ბურთაობს და სიმართლეს მასზე კარგად, აბა, ვინ გვეტყოდა:*

— ისრაელი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, არეულობის მაგვარიც კი არაფერი შეიმჩნევა. დილიდან თელ ავივში ვიყავი. ქუჩაში ხალხი მოძრაობს, მანქანები დადის. ერთი სიტყვით, სრული სიმშვიდეა.

**— ეგ მართლაც კარგი ამბავია. არადა, ჩვენები, ცოტა არ იყოს, შეშინებულებიც არიან.**

— საშიში ნაღდად არაფერია. ახლავე თბილისში დავრეკავ და ყველას დავამშვიდებ.

**— მაშ ასე, ალბათ, ნაკრები თხუთმეტში კიდეც გამოფრინდება. შენ კი მანდ დახვდები.**

— აბა, სად წავალ? ერთი ეგაა, ჩვიდმეტში ჩემს კლუბს მივეხმარები და იმ საღამოსვე ვინგეიტის ბაზაზე გავჩნდები.

**გიორგი ბიკაშვილი**

## კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური

A ჯგუფი

ავტოდორი 83:86 პო ორტეზი
ვარეზე 75:84 ჟალგირისი
ტაუგრესი 63:57 ფენერბაჰჩე

B ჯგუფი

ეფესი 81:74 მაკაბი
ტდკ 67:79 ციბონა

C ჯგუფი

ულქერი 64:91 ცსკა
კინდერი 62:53 ზადარი
ოლიმპიაკოსი 94:65 ალბა

D ჯგუფი

რეალი 67:68 ოლიმპია

# რუსთაველები უიღბლობას უჩივიან

## გორდას ფეხბურთელები დემარშით იმუქრებიან



რუსთაველ ვარლამ კილასონიას და კომპანიას მოთმინების ფიალა აევსოთ

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ საქართველოს თასის მერვედფინალის შეხვედრაში რუსთაველი ფეხბურთელები „სიონის“ წინააღმდეგ თამაშს არ აპირებდნენ. მიზეზი, როგორც ყოველთვის, კარგა ხნის ხელფასების აუღებლობა და საერთოდ უფულობა გახლდათ. მატჩის დაწყებამდე „გორდას“ პრეზიდენტი ვალერი ქოქიაშვილი ფეხბურთელებს დაჰპირდა, ამ თვის ბოლოს ყველა ვალს გაგისტუმრებთო. „გორდა“ სათამაშოდ კი გამოვიდა, მაგრამ, არა მგონია კლუბის მესვეურთა სიტყვისთვის დაეჯერებინათ, რადგან ამგვარი დაპირებები არაერთხელ მოუსმენიათ.

შეხვედრის დამთავრებისთანავე ვალერი ქოქიაშვილს დაველაპარაკე:

— გაჭირვებით, ჩვენც გვიჭირს, მაგრამ სხვებთან შედარებით მაინც უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. სულ ორი თვის დავალიანება გვაქვს და ამასაც ქალაქის ხელმძღვანელობის შემწეობით ნოემბრის ბოლოსთვის დავფარავთ.

**— კი მაგრამ, როგორ აპირებს ქალაქის ხელმძღვანელობა თანხის მოცემას, როცა პენსიონრებისთვის და მუშებისთვის რამდენიმე თვის ფული ვერ გადაუხდიათ?**

— რუსთავის ხელმძღვანელობა სწორედ ამის გამო ვერ ახერხებს, ფული მთლიანად მოგვცეს, მაგრამ ყოველდღიურად ორას-სამას ლარს გაიღებენ და მოვახერხებთ საერთო თანხის თავმოყრას. ერთ კაცს ერთიანად არ ვუსტუმრებთ, თითოეულს ორმოცდაათ-ორმოცდაათ ლარს ვაძლევთ ხოლმე და, ალბათ, თვის ბოლომდე ყველა ვალს დავფარავთ.

**— ასი-ორასი ლარით რომ შორს ვერ წახვალთ, ფაქტია. ხომ არაა ლაპარაკი სოლიდური სპონსორის გამოჩენაზე?**

— ამის შესახებ მარტო ლაპარაკი კი არა, შეხვედრებიც გვქონდა. რუსეთის ძლიერი ფირმების წარმომადგენლები დაგვიკავშირდნენ, ისინი ჩვენი ახლო მეგობრები არიან, მაგრამ მე მინდა, თვით „გორდამ“ დააინტერესოს თავისი თამაშით შესაძლო პარტნიორები. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ჩვენი სტუმრები გუნდის იმ მატჩებს დაესწრნენ, რომლებშიც ბიჭებმა შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად ითამაშეს. კარგი იქნებოდა, „დინამოსთან“, „ბათუმთან“, „კოლხეთთან“, „ლოკომოტივთან“ „გორდას“ შეხვედრები ენახათ. თუმცა მოლაპარაკება კვლავ გრძელდება და რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**— ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა თუ გპირდებათ დახმარებას? ამბობენ, თითქოს მასპინძელ კლუბებს პირველ წრეში მსაჯებისთვის გადახდილ თანხას დაუბრუნებენ-**

— მე მივიღე ოფიციალური წერილი ბატონ მერაბ ჟორდანიასგან, სადაც ეწერა, რომ პირველ წრეში მსაჯებისთვის მიცემულ ფულს გაგვისტუმრებენ და მეორე წრიდან თვით ფედერაცია უზრუნველყოფს მათი შრომის ანაზღაურებას. ეს გადაწყვეტილება დადგენილების სახითაა გამოტანილი და იგი უცილობლად შესრულდება. მჯერა, რომ პრეზიდენტი სხვა მხრივაც დაგვეხმარება. ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს მერაბთან და ვიცით, რომ ის დაინტერესებულია, ისევე, როგორც ყველა ფეხბურთის ქომაგი, რუსთავს ძლიერი გუნდი ჰყავდეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

P.S. „გორდას“ ფეხბურთელებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ თვეში ოც-ოც ლარს იღებენ. თუ თხუთმეტ ნოემბრამდე ვალს არ გაისტუმრებენ, აღარ ვითამაშებთო. როგორც ჩანს, რუსთავის კლუბისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ დროზე უნდა მიმართოს გადამჭრელ ზომებს, თორემ თხუთმეტ ნოემბერს, ადვილი შესაძლებელია, ფეხბურთელებმა „ტორპედოსთან“ შინაურ მატჩზე პატარა ბუნტი მოაწყონ.


ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები


# ალეკო კანტიძე ევროპის ნაცვლად მეცხრე ზონაში

მეხუთე ცდა იღბლიანი გამოდგა — „ბათუმი“ საქართველოს თასს დაეუფლა. ოთხჯერ ფინალამდე მისულებმა „დინამოს“ ვერაფერი მოუხერხეს. წლეულს მეხუთედ ითამაშეს გადამწყვეტი მატჩი. ბათუმლები, როგორც არასდროს, ძალიან ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. აუცილებლად მოვიგებთო, ამბობდნენ. მერე ბათუმელმა ფეხბურთელებმა სავარაუდო ანგარიშებიც დაასახელეს. ბოლოს ალეკო კანტიძის ჯერიც დადგა — 2:1, ჩვენ მოვიგებთ. ალბათ, მეც ვითამაშებ, თუმცა მწვრთნელის გადასაწყვეტიაო — გვითხრა ბათუმელთა გამთამაშებელმა.

ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც მაშინ ალეკოს. მწვრთნელმა იგი ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. გაუმართლა. პირველი ტაიმის ბოლო იყო, „ბათუმმა“ ჩემპიონებს შეუტია. საჯარიმოს ხაზიდან ხუთიოდ მეტრის მოშორებით ბურთი კანტიძემ მიიღო, პარტნიორები პასს ითხოვდნენ, ხალხიც ამის მოლოდინშია და...

კანტიძემ ბურთს მარჯვენა ამოჰკრა, დააბზრიალა, ბურთი კარისკენ გაფრინდა, მიწას ერთხელ შეეხო და ანგარიში გახსნა. მშვენიერი გოლი გამოვიდა, ოსტატურად მოჭრილი დარტყმა. ეს უკვე საქმის ნახევარი იყო, ერთი ტაიმიღა დარჩენოდათ სათამაშოდ. თუმცა „დინამომ“ ძალა მოიკრიბა, მეტოქეს შეუტია და მატჩიც გაგრძელდა. დამატებითი დრო და დავით ჭიჭველიშვილს „ოქროს გოლი“. ბათუმლებმა მოიგეს.

ეს თამაში ალეკო კანტიძის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ყოფილა. ერთი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გამარჯვება და მეორე წლევანდელი თასიო — თავად გვითხრა ერთ დროს საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების მცველმა, ამჟამად „ბათუმის“ ცენტრალურმა ნახევარმცველმა ალეკო კანტიძემ.

აბა, კარგად გაიხსენეთ. ან ეგებ არც გსმენიათ. 1985 წელს იმპერიის იუნიორთა ნაკრებში ოთხი ქართველი თამაშობდა — ზაზა რევიშვილი, ვასილ მიქაშავიძე, მამუკა ფანცულაია და ალეკო კანტიძე. ესენი იმჟამად უნგრეთში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის გმირები არიან. ფინალში ბერძნები დაამარცხეს — 4:0. ორი გოლი ფანცულაიამ შეაგდო, ერთი — რევიშვილმა. მიქაშავიძის მსგავსად აღარც რევიშვილის ისმის რამე. ფანცულაია ვაკეში ბავშვებს ავარჯიშებს. კანტიძე კი დღესაც „ბათუმის“ ერთ-ერთი ლიდერია...



წლეულს თასის ფინალში დინამოელმა გუჩუამ (№3) და კიკნაძემ (№7) ალეკო კანტიძეს ამაოდ სდიეს

— ფაქტობრივად, ორ ნაკრებში ერთდროულად ვთამაშობდით — დაიწყო ალეკომ — ქართული ოთხეული 1967 და 1968 წლიანთა ნაკრებებში ვიყავით. ხან ბიშოვეცი მიგვიწვევდა ერთი წლით უფროსებთან, ხანაც კოსტილევი. ხარინი, დობროვოლსკი, კოლივანოვი, პოტნიცკი, გერაშენკო ბიშოვეცთან ერთად გველოდებოდნენ. კობელევი, კასუმოვი, ბალტუშნიკასი და სხვები კოსტილევის განკარგულებაში იყვნენ. ერთ შეკრებას იქით გავივლიდით, მეორეს — აქეთ. 1985 წელს კი კოსტილევთან აღმოვჩნდით, წავედით უნგრეთში და ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. დიდი ამბავი იყო. ხუმრობაა, ევროპაში პირველები გავხდით. ქართველებს გვემადლიერებოდნენ, გამოგვარჩევდნენ, მაგრამ ცხოვრება სხვაგვარად აეწყო. ზოგიერთი მაშინდელი თანაგუნდელი ახლა ევროპის ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებში თამაშობს, ჩვენ კი... არადა, 85-ში ვინმეს იმედი თუ ჰქონდათ, ესენი ჩვენ ვიყავით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბევრი იტრაბახებს ფინალში ორი გოლის გატანით?

**— დიდი ფეხბურთის თამაშის შანსი კი გქონდათ...**

— გვქონდა, როგორ არა, მაგრამ... არც კი ვიცი, რას დავაბრალო. თბილისის „დინამოს“ დუბლებშიც ვიყავი ერთი პერიოდი, მაგრამ 19 წლის რომ შევსრულდი, „დინამოდან“ წავედი. „გურიაში“ თამაში შემეძლო, „ტორპედოში“, ბათუმის „დინამოში“. რატომღაც მეორე ლიგა ვარჩიე, მეცხრე ზონა, რუსთავის „მეტალურგი“. ისე, მიწვევები ნაღდად მქონდა. ქართული კლუბების გარდა მოსკოვის „დინამოში“ და ორჯონკიძის „სპარტაკში“ მელოდნენ. საქართველოში მოვინდომე დარჩენა. ფაქტობრივად, მაშინ დამთავრდა ყველაფერი, მეორე ლიგაში დავიკარგე, მერე აღარავის ვახსოვდი.

**— რვა წელია, უკვე ზღვისპირას ცხოვრობ. ბათუმში როგორ აღმოჩნდი? თბილისელი არ ხარ?**

— ზაფხული იყო, ავად ვიყავი და ბათუმში ვისვენებდი. მაშინ „ბათუმს“ შოთა ჭეიშვილი წვრთნიდა. სხვათა შორის, „მეტალურგშიც“ მან წამიყვანა. ჰოდა, ბათუმში თამაში შემომთავაზა. უარი ვუთხარი. ჩამოვედი თბილისში და დილომში, მეზობლად, ერთი ბათუმელი გოგონა სტუმრობდა. მომეწონა, შემიყვარდა. გავიდა ხანი და ჭეიშვილს იქით შევეხმიანე, ბათუმში ჩამოვდივარ, გუნდში თუ მათამაშებთ-მეთქი. ის გოგონა ახლა ჩემი ცოლია, მეც ბათუმელი ვარ.

**— დარჩი ბათუმში...**

— სხვა რა გზა მქონდა. დღემდე ბათუმში ვარ და, ალბათ, აქვე დავამთავრებ კარიერას. ასაკიც მომეძალა.

**— ეგ როდის იქნება?**

— ბევრი აღარ დამრჩენია. დიდი-დიდი კიდევ ორი წელი ვითამაშო.

**— მერე რას აპირებ?**

— ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ცუდი არ იქნება, მწვრთნელობას თუ მოვსინჯავ.

**— შენზე ამბობენ, თავს არ უვლის, ხშირი ტრავმებიც ამის ბრალიაო.**

— მართალია. ხშირად ტრავმა მოუშუშებელი გავსულვარ სავარჯიშოდ. სამ-ოთხ დღეს ვძლებ უბურთოდ, მაგრამ მერე ველარ ვითმენ, გავიქცევი, დატვირთვას მივიღებ და ნატკენ ფეხს უარესად ვიმიზეზებ. ისე, უიღბლობაცაა. რამდენჯერ ყოფილა, სრულიად უხიფათო სიტუაციაში მძიმე ტრავმა მიმიღია.

**— და მერე ფორმის აღდგენა გიჭირს ხოლმე...**

— ყველა ფეხბურთელი ასეა. როცა იძულებით მოგიწევს დასვენება, ამაზე ცუდი არაფერია, თუმცა თუ მოინდომებ, აღდგენითი პროცესი სწრაფად გაივლის.

**— რა ნაკლი გაქვს?**

— ფიზიკურად ვერ ვარ კარგად მომზადებული. ორივე ტაიმი განუწყვეტლივ სირბილი მიჭირს. არადა, გამთამაშებლისთვის გამძლეობა აუცილებელია.

**— მაშ, რატომ თამაშობ შუაში?**

— რა ვიცი, ეგ მწვრთნელს ჰკითხე მისი გადასაწყვეტია სად, რომელ ამპლუაში უფრო სასარგებლო ვარ. ეტყობა, ჭეიშვილი ასე თვლის საჭიროდ.

**— კარიერის დასაწყისში მარცხენა მცველად რომ თამაშობდი, გამთამაშებლობა პირველად ვინ დაგავალა?**

— შოთა ჭეიშვილმა. „მეტალურგში“, პირველსავე მატჩის შესვენებაზე მწვრთნელმა მითხრა, ახლა შუაში გადაინაცვლე პასები გაანაწილეო. თავიდან კი გამიკვირდა, მაგრამ, რადგან დამავალეს, უნდა შემესრულებინა. დებიუტის კვალობაზე ურიგოდ არ მითამაშია, ჭეიშვილიც კმაყოფილი დარჩა. ჰოდა, იმის შემდეგ დაცვისკენ არც გამიხედავს, სულ ნახევარდაცვაში ვთამაშობ.

**— მოედანს კარგად ხედავ და, ალბათ, ამიტომ შეგიცვალეს პოზიცია.**

— შეიძლება ასეც არის. საკუთარ თავზე ლაპარაკი მიჭირს, ცოტა უხერხულია. თქვენ შეაფასეთ.

**— საუკეთესო პარტნიორად ვინ მიგაჩნია?**

— რა თქმა უნდა, პაატა მაჭუტაძე, როსტომ თორლაშვილი და თენგიზ სიჭინავა. ერმანეთის უსიტყვოდ გვესმის, ცენტრს ჩვენ ვაკონტროლებთ, მერე კი დანარჩენი მაჭუტაძემ იცის, გოლის გატანის უტყუარი ალღო აქვს, თანაც ისე გაგეხსნება, პასი არ მისცე, ცოდვა იქნება.

**— თორლაშვილთან მეგობრობ კიდეც...**

— „ბათუმი“ ძალიან მეგობრული გუნდია. თითქმის სულ ერთად ვართ. ყველასთან ვახლობლობ, მაგრამ თორლაშვილი და შანიძე მაინც... დღე და ღამე არ ვშორდებით ერთმანეთს.

**— სასმელი გიყვარს?**

— არა, ალკოჰოლს არ ვეტანები. იშვიათად სამ-ოთხ ჭიქას თუ დავლევ, ესეც საკმარისია, ორგანიზმი არაა მიჩვეული, თუმცა ლუდს სიამოვნებით შევექცევი.

**— კარგი, ერთსაც გკითხავ, „ბათუმის“ წლევანდელი ჩავარდნის მიზეზი გვაინტერესებს.**

— ყველაფერი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონის ბრალი. ყველა ხედავს, რომ ნელ-ნელა რეგრესს განვიცდით. არა მარტო „ბათუმს“ როდი ვგულისხმობ, ნებისმიერი გუნდი აიღეთ. რა, „დინამო“ ძველი „დინამოა“? ქართული ფეხბურთი სულს ლაფავს. თუ ასე გაგრძელდა, მომავალი სეზონი ამაზე უარესი იქნება. „ბათუმზე“ კი, ალბათ მაინც ახალმა ფეხბურთელებმა იმოქმედეს. ჯერ კიდევ შეუთამაშებელნი ვართ, ცოტაც მოუმზადებლები. თუმცა ჩემპიონატის ბოლომდე საკმაო დროა. ვეცდებით, დაკარგული მეორე წრეში ავინაზღაუროთ.

**ბოგა ინასარიძე**

# სამტრედია, სამტრედია მუდამ მზიანო?

## ისტორია ანუ დაცემა პირველი

ეს ამბავი ერთ პატარა, პროვინციულ ქალაქში მოხდა. ადგილობრივი გუნდის წაგებით აღშფოთებული მაყურებელი საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ შენობას შემოეხვია და იქაურობა იავარჰყო. გუნდის პრეზიდენტი შეეცადა, დაეშოშმინებინა აღელვებული გულშემატკივარი, მაგრამ...

ეს გინდოდა? — მიაძახა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა დაცვით გარშემორტყმულ, გაფითრებულ ტარიელ ჩაჩუას და სხვების ნასროლ ქვებს თავისიც მიაყოლა. — რაღად გინდა აწი სტადიონი — დაუმატა მეორემ და ახლა იმან გაიქნია ქვა. თუმცა ეს მერე მოხდა... მატჩის მერე, მანამდე კი...

მანამდე სამტრედიის „სამტრედია", იგივე „სანავარდო", იგივე „ჯუბა", იგივე „ლოკომოტივი", საქართველოს საფეხბურთო პირველობის პირველი ჯგუფიდან გავარდა. თსუ-ელი ჯუბა ჩუხუას თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილმა გოლმა დაასამარა „სამტრედია". გუნდის ბედი ბეწვზე ეკიდა და ეს ბეწვიც გაწყდა. გაწყდა პირველად მთელი არსებობის მანძილზე.

პატარა, პროვინციული ქალაქია სამტრედია. ერთის შეხედვით, არცთუ უმნიშვნელო — ესაო და სარკინიგზო კვანძიო, ბალნეოლოგიური კურორტიო და მაინც, სამტრედიას, პირველ ყოვლისა, მისი საფეხბურთო გუნდით „ლოკომოტივით" უფრო იცნობდა ხალხი.

ერთ დროს 15 000 გაგიჟებული კაცის ხტომა-დგანდგარს უძლებდა „ეროსი მანჯგალაძის" სტადიონი.

ერთ დროს „ლოკომოტივი" სსრკ პირველობის II ლიგის მეცხრე ზონის აღიარებული ლიდერი იყო. მეორე ლიგა ერქვა, თორემ, მისი დონისა ნეტავ პირველი ჯგუფი მოგვცა ქართველებს. ადგებოდა ეს მეორე ლიგის გუნდი და მოსკოვის „დინამოს" დაამარცხებდა თავის პილგუიგონტარ-ლატიშ-გაზაევებიანად, ადგებოდა და ლაიფციგის „ლოკომოტივს" დაიფრენდა — სწორედ იმ ლაიფციგისას, სამიოდე წლის წინ ბუნდესლიგაშიც რომ წაიფაფხურა ცოტა.

ახლა „გურია" — „ლოკომოტივის" ბატალიები?! უფრო დაძაბული, უფრო დრამატული მეტოქეობა ქართული მასშტაბით არ ყოფილა. ომი იყო, ნამდვილი ომი. იმარჯვა მაშინ „გურიამ" და მარტო დარჩა „ლოკომოტივი" „კოტაიკ" — „ქიაფაზებთან" საჯიღდაოდ.

ამასობაში ეროვნული ჩემპიონატიც გაჩაღეთ. თავიდან კი გაგვიჯანჯლა ფიფაუეფამ, მაგრამ ორიოდე წელიწადში გული მოულბათ, ევროპაში ქართული ფანჯარაც გაიჭრა და გურულებმა რომ ჩაუკრიმანჭულეს „ჩვენთან აწი მარადონაც კი ჩამუაო", მთელმა სამტრედიამ, როგორც ერთმა კაცმა, ასე გაიფიქრა — ჩვენ ვისზე რა ნაკლები ვართო.

ის დრო იდგა, ჯერაც რომ არ გადაჩვეულიყვნენ ადამიანები საქმის ერთად კეთებას. ნუ გაჭირდებოდა, თორემ ქუდზე კაცი იყო გამომსვლელი, გუნდის გულისთვის ყველა წაიკრავდა ჯიბეზე ხელს. თანაც „ლოკომოტივი" რკინიგზის გუნდად ითვლებოდა და არ იყო მაშინდელი რკინიგზის სამმართველო ის ორგანიზაცია — უპატრონოდ მიეგდო შვილობილი.

ჰოდა, გაჩაღდა ეროვნული, მაშინდელი საქართველო „დინამო" — ტორპედო" — „ლოკომოტივებს" ვერ იტანდა და სამტრედიული გუნდიც „სანავარდოდ" მოინათლა (თუმცა არც სახელს აქვს დიდი ჭკუა).

ასე შეება „ლოკომოტივყოფილი" „სანავარდო" ქართულ ალმართებს. იარა, იარა და უფსკრულში გადაიჩეხა. გადაიჩეხა და აზვირთდა ხალხი. აზვირთდა და დამნაშავეს დაუწყო ძებნა. ხელთ გუნდის პრეზიდენტი მოხვდა. ქვები დაუშინა ხალხმა პრეზიდენტს. ხალხს ხომ პრეზიდენტებზე მეტად გმირები უყვარს. ტარიელ ჩაჩუა ვერ გახდა გმირი. აი, პარლამენტარი კი — გახდა. თუმცა უფრო დაწვრილებით.



სამტრედიელებმა პირველი ჯგუფიდან გავარდნა ასე ძალიან განიცადეს

## პრეზიდენტი (მაშინდელი)

ტარიელ ჩაჩუა სამტრედიელი კაცია. იგი მაშინ გამოჩნდა, როცა გუნდი სულს ლაფავდა. აღარ გაამართლა სსრკ პირველობის დროს ნაცადმა და გამომდგარმა პრაქტიკამ, როცა რუსეთის მხარეებიდან ჩამოჰყავდათ ფეხბურთელები. აღარ ინდომეს ქართულგვარიანმა რუსებმა საქართველოში დარჩენა და წავიდნენ. ისინი წავიდნენ და ჩაჩუა მოვიდა. მოვიდა ქართული მასშტაბებისთვის დიდი ფულითა და უფრო დიდი ენთუზიაზმით. მაშინ ჯერაც არ იხმარებოდა ქართულ ფეხბურთში ტერმინი „ერთწლიანი გუნდი" — ის-ის იყო გურჯაანის „ალაზანი" გაკოტრდა. ამ ფონზე შეუდგა ახალი პრეზიდენტი გუნდის აღორძინებას. წინა სეზონების წარუმატებლობით გულგაწყალებული მაყურებელი იმედით შეაჩერდა მომავალს და აგორდა ხმები სამტრედიაში...

— ჩაჩუას ძლიერი ფეხბურთელები ჩამოჰყავსო... ფეხბურთელებს არნახული კონტრაქტები დაუდოო. დღე და ღამ გუნდში ტრიალებსო... კაციც ესა ყოფილა და ქუდიც ამას ხურებიაო. ერთი სიტყვით, ჩემპიონობას წაეპოტინნენ სამტრედიელები.

მერე იყო მოგებები თასზე, მოგებები ჩემპიონატში, „დინამოსთან" მოგებები (როგორია?)...

უკვე მთელს საქართველოში აგორდა ხმები — „სამტრედია" ლიდერია... „სამტრედია" ჩემპიონია.

ვაგლახ, ვერ გახდა „სამტრედია" ჩემპიონი (ეკუთვნოდა კი), ვერც თასი აიღო და მაშინ პირველად მოიძია დამნაშავე ხალხმა. ეძება, ეძება და ფედერაციას მიადგა.

ასი გულიც რომ ჰქონოდა ფედერაციად წოდებულ ორგანოს, ასივე ერთად გაუსკდებოდა, მისდამი მიძღვნილი სამტრედიული მახვილსიტყვაობის ნიმუშები რომ მოესმინა (ზოგი მატჩის კომისრებმაც თქვან).

არც მთლად მტყუანი იყო ხალხი.

— ფედერაციას უთქვამს, „დინამოს" გარდა ჩემპიონი ვერავინ გახდებაო... რუსთავში მატჩის შედეგი ფედერაციამ გაგვიჩალიჩაო... — თბილისშიც ფედერაციამ დაგვჩაგრაო... — ფედერაციის ასე და ისეო...

ეს (უფრო სწორად, ის) მონსტრად ქცეული უგულო ფედერაცია კი მოთმინებით იყრუებდა ყურს ათასგვარ მართალ თუ მოგონილ ბრალდებაზე და სასჯელს სასჯელზე უმატებდა იმერლებს — ხან სტადიონს დაუპატიმრებდა ორიოდე ტურით, ხან წამყვან ფეხბურთელს დაუსჯიდა, ხან ასკაროლლის ანაც ლაცაბიძეს „ჩარევდა" საქმეში დ ესენიც დავალებისამებრ, აკეთებდნენ საკეთებელს. იმსაჯებდნენ და მშვიდი (?) სინდისით ბრუნდებოდნენ შინ („შელამაზებული" ფიზიონომიებითაც).

— მართალია, თასიც წავაგეთ და ვერც ჩემპიონები გავხდით, მაგრამ უეფას თასი ხომ წინა გვაქვსო, დაიარხეინეს თავი სამტრედიელებმა და „ვარდართან" თამაშს დაუწყეს ცდა.

ეს ის დროა, როცა მითი ჩაჩუას ფინანსურ სიძლიერეზე დაიმსხვრა. პრეზიდენტი ვალებში ჩაეფლო, ხალხი კი უკვე გადასჩვეოდა საერთო საქმის ერთად კეთებას. აღარავინ იყო ჯიბეზე ხელის გამკვრელი და აღარც ქუდზე კაცი გამოვიდოდა უკვე.

გასვლაზე 0:1-მა იმედები გააასმაგა.

მეორე წრეში გასვლა ხსნა იყო დაშლადაწყვებული გუნდისა.

მეორე წრეში გასვლა ხსნა იყო ტარიელ ჩაჩუასი.

მეორე წრეში გასვლა შემოსავალს შემოიტანდა...

და ოციოდე წუთი ბდღვირი ადინეს მეტოქეს სამტრედიელებმა. მერე კი... მერე მოედანზე დაუწყო ხალხმა დამნაშავეებს ძებნა. მოედანზე კი არავინ იყო მწვრთნელისა და მოთამაშეების გარდა.

მწვრთნელი და მოთამაშეები ყოველთვის მიდიოდნენ და მოდიოდნენ სამტრედიაში. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი ხალხის გარდა, სამტრედიის საფეხბურთო გუნდზე გულ და ჯიგარ დამწვარი კაცები არასდროს ენახა სამტრედიას. ამიტომაც ფეხბურთელებთან (რომლებიც უკვე მიდიოდნენ) და მწვრთნელთან (რომელიც თითქმის წასული იყო) ჩხუბს აზრი აღარ ჰქონდა.

## დასასრული (მაშინდელი)

ჯუბა ჩუხუას მიერ თამაშგარედან გატანილი გოლის შემდეგ ერთიც გაიფართხალა „სამტრედიამ". ანგარიში გაათანაბრა და ლაცაბიძის ნაადრევ სასტვენთან ერთად გარდაიცვალა პირველი ჯგუფისთვის.

გააფთრებული გულშემატკივარი ადმინისტრაციულ შენობას შემოერტყა და იავარჰყო იქაურობა (ამჯერად აღარავინ დაუსჯია ფედერაციას). გამწარებით იზელდა ნატკენ ყბას მსაჯი და პოლიციის ესკორტით ცდილობდა გასცლოდა იქაურობას.

უხმოდ მიაბიჯებდა გაფითრებული ტარიელ ჩაჩუა მავთულბადით შეჰოღობილ სარბენ ბილიკებზე და უსიტყვოდ იტანდა ხალხის რისხვას. ქვები დაუშინა ხალხმა ჩაჩუას. ქვები დაუშინა, რადგან ჩაჩუა ვერ გახდა გმირი, პარლამენტარი კი — გახდა.

სევდიანი იყო „სამტრედიის" უკვე ყოფილი პრეზიდენტი. მან ჩაიბარა პირველი ჯგუფის გუნდი, უამრავი ჯანი და ნერვი, უფრო მეტი ფული შეალია და მაინც, „სამტრედია" გავარდა.

ვერ შეძლო ტარიელ ჩაჩუამ, მარტოკას გაეტანა ლელო. ვერც პროვინციული „სამტრედიის" კადნიერი ამბიციები იგუა საფეხბურთო საქართველომ.

საცოდავია „სამტრედია" (ის „სამტრედია", დიდი).

სულო ცოდვილო, „სამტრედიის" ყოფილი პრეზიდენტიც საცოდავია...

ტარიელ ჩაჩუა ფეხბურთში ხელმოცარული კაცია.

ტარიელ ჩაჩუა განტევების ვაცია.

## მერე...

მერე დაქვეითებული „სამტრედია" „ჯუბად" იქცა... ჩვეულებრივი, საშუალო გუნდი იყო „ჯუბა", მეორე ჯგუფისთვისაც საშუალო. არადა, ტრადიცია და ამბიცია არც გულშემატკივარს ასვენებდა, არც ახალ ჭირისუფალთ, გამალებულნი რომ ეძებდნენ ფულიან პატრონს.

ეს ფულიანი კაციც გამოიძებნა.

აილო ნუგზარ ნიკოლაიშვილმა და სამტრედიული გუნდის პატრონობა ითავა. საკმაო წარმატებითაც. მართალია, ნუგზარ ნიკოლაიშვილი — პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა — პრეზიდენტივით ცნობილი და ხმაურიანი გუნდის პატრონი ვერ გამოდგა, მაგრამ მის მიერ დახარჯული თანხის საშუალებით „იბერიას" (უკვე „იბერიას") არ სციოდა, არ შიოდა, ეცვა, ეხურა და ბოლოს, პირველ ჯგუფშიც დაბრუნდა.

დაიწყო მეათე ეროვნული ჩემპიონატი და სამტრედიელთა რიგებში ძუკუ — გიორგი დარასელია და კიდევ ოცდაშვიდი ფეხბურთელი ვიხილეთ. ძუკუს სხვათაგან იმადაც გამოვყოფთ, რომ ძუკუ გუნდის ლიდერი იყო, ძუკუ გუნდის თანამფლობელიც იყო, ძუკუ გუნდის საპატიო პრეზიდენტი იყო და საერთოდ ძუკუ ძუკუ იყო.

„იბერიამ" ჩემპიონატი კარგად დაიწყო და მისმა თავკაცმა ქორიძემ საევროპო შანსებზეც წაილაპარაკა. „ეროსი მანჯგალაძის" სტადიონის იავარქმნილ ტრიბუნებსაც ძველებურად არა, მაგრამ მაინც დაუბრუნდა გულშემატკივარი. მაყურებელს ახსოვდა ძველი „სამტრედია" და მასავით ძლიერი „იბერიის" ხილვა სურდა.

„იბერიამ" კი ველარ გასწია ჭაპანი ღირსეულად. „იბერია" აგერ მეექვსე მატჩია ვერ იგებს. 3 ოქტომბრის მერე არ მოუგიათ სამტრედიელებს. ეს ვერ აიტანა მაყურებელმა.

მაყურებელმა, რომლისთვისაც შეიქმნა ფეხბურთი და საერთოდ სპორტი.

## ახლა...

ახლა ძუკუ სამტრედიაში აღარ თამაშობს. გიორგი დარასელია ისრაელს დაუბრუნდა და იქ აგრძელებს თამაშს. რა თქმა უნდა, იგი დარჩა გუნდის საპატიო პრეზიდენტად, თანამფლობელად, ძუკუდ, მაგრამ „იბერიამ" მისი წასვლით ლიდერი დაკარგა. სხვები კი ველარ ახერხებენ ლიდერობას. ამანაც იქონია გავლენა სამტრედიელთა ბოლოდროინდელ შედეგებზე.

ხალხი კი მშველელს, დამნაშავეს, სამართალს ეძებს ძველებურად, ისევე როგორც მაშინ, ადრე ეძებდა.

არ შეიძლება ხალხის, გულშემატკივრის აბუჩად აგდება.

ხალხი „იბერიისგან" არ ითხოვს აუცილებლად ჩემპიონობას, არც პრიზიორობაა სამტრედიელ გულშემატკივართა თვითმიზანი, ისინი ლაღ, ჯიგრიან, ლამაზ ფეხბურთს თხოვენ თავის ფეხბურთელებს და როცა ხედავენ, რომ ფეხბურთელი არ იხარჯება, ჯიგარს არ დებს მოედანზე, გულგრილად ეკიდება ყველას და ყველაფერს — გული სწყდებათ და თავისებურად, გულშემატკივრულად გამოხატავენ ამ გულისწყრომას. გულისწყრომას რაც შეეხება, ქომაგი ყველგან ქომაგია და იგი გულისწყრომას ყველგან ერთნაირად გამოხატავს, რიოშიც, თბილისშიც, მანჩესტერშიც და თქვენ წარმოიდგინეთ, სამტრედიაშიც.



ბოლოხანს ძუკუს „იბერიის" ამბებით ადრინდელივით ვეღარ ახარებენ

ქომაგს ყურისგდება სჭირდება. მაყურებელს ფეხბურთელისგან პატივისცემა ერგება. და როცა ყურისგდებასა და პატივისცემას ვერ გრძნობს ხოლმე, ქომაგიც მაშინ ამსხვრევს, ამტვრევს, ლეწავს და დამნაშავესაც ეძებს, სხვათა შორის.

და ერთიც უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც კი გულშემატკივართან საქმე ჰქონია და აქვს, ქომაგი ყოველთვის მართალია. ქომაგი ასამართლებს და არა პირიქით.

გულშემატკივარი მაშინაც სწორია, როცა... არასწორია. ეს სპორტის, ფეხბურთის დაუწერელი კანონია. ფეხბურთში გულშემატკივარი ყველაფერზე მაღლა დგას.

ფეხბურთი გულშემატკივრისთვის შეიქმნა და იმიტომ.

## პრეზიდენტი (ახლანდელი)

— რაც შეეხება იმას, რასაც გულშემატკივარი მოითხოვს, ვიტყვი: 51 პროცენტი ხომ მე მეკუთვნის, დანარჩენ 49-ს რა ვუყოთ? საყვარელი გუნდის ფანობა კარგი კია, მაგრამ აქეთ რომ გვდებენ ბრალს, თავიანთ გულებში ჩაიხედონ, გააკეთეს რამე, ან მოგვმართეს თხოვნით, რომ ასე და ასე გუნდს შევეწევითო? მე იმაზეც კი თანახმა ვარ, 10 პროცენტი წილად ჩემი იყოს, ის დანარჩენი 90 კი გულშემატკივრებისა, მაგრამ მეეჭვება რომ რამე გაკეთდეს.

ეს სიტყვები სამტრედიელთა ამჟამინდელ პრეზიდენტს ეკუთვნის და მგონი, არ არის სწორი ეს გამონათქვამი.

გულშემატკივარის ფუნქცია და არსი ქომაგობაშია და არა კლუბის მეწილეობაში თუ მეპაიეობაში. საკითხავია, სად, რომელ ქვეყანაში მომხდარა, რომ გულშემატკივარის ჯიბის იმედზე ყოფილიყო გუნდი? ქომაგის საქმე სწორედ და მხოლოდ „საყვარელი გუნდის ფანობაა" და მეტი არაფერი.

და როდესაც ფანი ვინმეთი უკმაყოფილოა, ეს ყველაზე ნაკლებადაა ფანის ბრალი.

იმათ კი, ვისითაც ფანი უკმაყოფილოა, უკეთ უნდა მიხედონ საქმეს.

პრეზიდენტმაც, მწვრთნელმაც, ფეხბურთელმაც და საერთოდ, ყველამ, ვისაც კი პასუხს თხოვს ხალხი.

გულშემატკივარი ის კამეჩია, რომელთანაც ჭიდილში არა ხარს რქები არ შერჩენია. ახალ პრეზიდენტს არაფერი დაუკლია გუნდისთვის — აჭამა, ჩააცვა, პირობებიც შეუქმნა, რისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნის მას, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს „იბერიამ" ფუნქცია დაკარგა ეროვნულ ჩემპიონატში. იგი „საშუალო გუნდად" ჩამოყალიბდა. ტრადიცია სულ სხვას ქადაგებს. სამტრედიელებს სულ ჰყავდათ ამბიციური გუნდი და ეს უნდა გაითვალისწინონ „იბერიის" მესვეურებმა.

## რა უნდა ქომაგს (გულშემატკივარს)?

სამტრედიელები ფუნქციადაკარგულ გუნდს ვერ იგუებენ!

ეს არის ამ ქვეთავის თავიც და ბოლოც.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



„იბერია" ისრაელს წასულმა დავით ხუჭუამაც მიატოვა

# რაც უნახავთ, ველარ ნახეს

## გერმანია

XII ტური

### მიუნხენი 2:1 ჰანზა

1:0 ვინკლერი (34პ), 1:1 ფუქსი (51), 2:1 ვინკლერი (73)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, გრაილიხი, ჩერნი, ზელიჩი, სტევიჩი (ბენდერი 69), ბორიმიროვი (შროტი 54), მალცი (ჰელდტი 54), დინზეი, ჰობში, ვინკლერი
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, ლანგე, იასერი, ელერსი, დოვე (ბრაიტკროიცი 80), ბიკანიჩი (ფუქსი 46), მაიაკი, ნოივილი
გაფრთხილება: ბიკანიჩი, მაიაკი, ელერსი, ვინკლერი
გაძევება: ელერსი (52), ვინკლერი (88)
მსაჯი: ჰაინემანი

### კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰამბურგი

1:0 როსლერი (83)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, რამზი, სამირი, ბუკი, რაიხი (ჟუნიორი 59), ბალაკი, რიდლი, ვაგნერი (როსლერი 46), ხრისტოვი (რიშე 41), მარშალი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფოგელი (დემბინსკი 84), ჰოოგმა, ჰერჩი, ფიშერი, გროთი, ფ. ერნსტი (შტრაუბე 75), ბიოგერი, ჰოლერბახი, კირიაკოვი (დალინი 46), იებოა
გაფრთხილება: რამზი, რიდლი, ერნსტი, ჰერჩი, ჰოლერბახი, ჰოოგმა, ფოგელი
მსაჯი: კემლინგი

### აინტრახტი 3:1 ფრაიბურგი

1:0 ბ. შნაიდერი (12), 1:1 ვასმერი (23), 2:1 ეპი (37), 3:1 გებჰარდტი (89)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კუჩერა (უ. შნაიდერი 46), პისონტი, შური, ბ. შნაიდერი, პედერსენი, სობოტზიკი, ეპი (ცამპახი 55), იანგ ჩენი (გებჰარდტი 63)
ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, კორელი (შუმანი 78), შ. მიულერი, კოლი (რიტპიჩი 63), ბაია, კობიაშვილი, ვაისჰაუპტი, ფრონცეკი, ვასმერი, ბენ სლიმანი (სელიმი 75)
გაფრთხილება: ბ. შნაიდერი, ხუბჩევი, პედერსენი, უ. შნაიდერი, კობიაშვილი, მიულერი, ვაისჰაუპტი
გაძევება: ვაისჰაუპტი (81)
მსაჯი: გეტკე

### ნიურნბერგი 2:2 ბოხუმი

1:0 ვისინგერი (19), 1:1 კუნცი (44პ), 2:1 კუკა (46), 2:2 კუნცი (71პ)
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, რანერი, გრასერი, შტორცენჰოფეკერი, გიუნტერი (ვაიგლი 61), ვისინგერი, პოლუნინი, გერბერი, ფ. ბაუმანი, დრილერი, კუკა
ბოხუმი: ტ. ერნსტი, ვალდოხი (ჯოპე 17), კრახტი, ფარენჰორსტი (პეტროვიჩი 9), ტოპლაკი, შინდცილორცი, ნ.ჰოფმანი, ბემბენი, იონი, დრინჩიჩი, კუნცი
გაფრთხილება: გერბერი, კუკა, პოლუნინი, რანერი, ვისინგერი, ბემბენი, იონი, შინდცილორცი, ტოპლაკი
მსაჯი: ვაგნერი

### შტუტგარტი 1:2 ვოლფსბურგი

1:0 აკპობორი (22), 1:1 პრეგერი (35), 1:2 იუსკოვიაკი (89)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ბერთჰოლდი, სოლდო, ტიამი, ჯორჯევიჩი (ტ. შნაიდერი 66), ცაიერი (ტ. როსტი 46), პოშნერი, ლისტეში, ბალაკოვი, რისტიჩი, აკპობორი (ჰოსნი 75)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, კრიგერი, ონილი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, აკონორი, ბაუმგარტი (იუსკოვიაკი 59), პრეგერი (ბრაიტენრაიტერი 88)
გაფრთხილება: ვოლფარტი, ბალვანცი
მსაჯი: ფრიოლიხი

### ჰერტა 0:1 ლევერკუზენი

0:1 მეიერი (73)
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი (ჩამი 81), ვან ბურიკი, კოვიჩი, ვაიტი, შმიდტი, ტრეჩოკი, მანდრეკო (სვერისონი 86), ტომი (დარდაი 71), პრეეტცი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჰაპე, რეები, ემერსონი (ნ. კოვაჩი 90), ზე რობერტო, ჰაინცე, ბაინლიხი, კირსტენი (ჟივკოვიჩი 86), მეიერი
გაფრთხილება: მანდრეკო, მატიშეკი, მეიერი, რ. კოვაჩი, ზე რობერტო
მსაჯი: კოოპი

### დორტმუნდი 2:0 დუისბურგი

1:0 რიკენი (11), 2:0 შაპუიზა (35)
დორტმუნდი: კლოსი, როიტერი, ნიეგუსი, კოლერი, რიკენი, ფროინდი, ჰესლერი (ვ. ბუტი 85), დედე, ბარბარესი (ა. მიოლერი 46), სალუ (ჰერლიხი 74), შაპუიზა
დუისბურგი: გილი, ვანა, ვოლერტი (ემერლინგი 66), ჰაიტო, ჰოერსენი, კომლიენოვიჩი (ჰირში 57), ოსტჰოფი, ფრიდეკი (ვედაუ 46), ნოინი, ანდერსენი, შპისი
გაფრთხილება: დედე, ფრიდეკი, ჰაიტო, ემერლინგი
გაძევება: ემერლინგი (76)
მსაჯი: ფლაიშერი

ბუნდესლიგაში გამართული მეთორმეტე ტურის შემდეგ „მიუნხენ 1860“-მა შაბათს გათამაშების ლიდერ „ბაიერნთან“ დარღვეული 5-ქულიანი სხვაობა ისევ ალადგინა, თუმცა ამის მიზეზი ოტმარ ჰიტცფელდის გუნდის მარცხი არ ყოფილა. უბრალოდ, „მიონხენგლადბახი“ — „ბაიერნის“ მატჩი უცნობი მიზეზების გამო 16 დეკემბრისთვის გადაიდო. მინდვრის ცუდი მდგომარეობის გამო ასევე გადაიტანეს „შალკე“ — „ვერდერის“ შეხვედრა, თუ როდისთვის, ეს მოგვიანებით გაირკვევა. ასე რომ, დაგეგმილი ცხრის ნაცვლად სამშაბათს და ოთხშაბათს შვიდი მატჩი ჩატარდა.

მათ შორის ყველაზე დიდ ინტერესს კაიზერსლაუტერნში გასამართი შეხვედრა იწვევდა, სადაც ოტო რეჰაგელის შეგირდები „ჰამბურგს“ მასპინძლობდნენ. „ჰამბურგი“ მიმდინარე სეზონში ერთადერთხელ დამარცხდა — 20 სექტემბერს „ბაიერნმა“ „ოლიმპიაშტადიონზე“ 5:3 მოუგო. მას შემდეგ გუნდს თითქმის ორი თვის განმავლობაში წაგების სიმწარე არ განეცადა. „ლაუტერნი“ კი ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩათვლით ზედიზედ სამ მოგებას ითვლიდა.

თამაშმა მოლოდინი ვერ გაამართლა. მთელი 90 წუთის განმავლობაში მასპინძლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. „ჰამბურგი“ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ არც ეს გამოსდიოდა. სტუმრებს რაინკეს კართან ერთი რეალური მომენტიც არ შეუქმნიათ, თავად კი უამრავჯერ გადარჩნენ და დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდნენ, მეკარესა და იღბალს უნდა უმადლოდნენ. თავად განსაჯეთ, მარშალს სამჯერ, რიდლს, ბუკს, ხრისტოვს და რიშეს ორ-ორჯერ მეტად ხელსაყრელი მომენტები შეექმნათ, მაგრამ ხან მეკარე ბუტი თამაშობდა შეუდარებლად, ხანაც თავად მასპინძლები სცოდავდნენ. თუმცა გოლი მაინც გავიდა: 83-ე წუთზე მინდორზე მეორე ტაიმში გამოსულმა როსლერმა გამოიჩინა თავი. გოლამდე ორი წუთით ადრე კი იყო ეპიზოდი, რომელმაც კაიზერსლაუტერნელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მარშალის თავური ბუტმა კარის ხაზიდან მოიგერია, მასპინძლებმა ჩათვალეს, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთაო, მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა და თამაში გააგრძელა.

მატჩის შემდეგ „ლაუტერნის“ თავკაცი ოტო რეჰაგელი კარგ ხასიათზე იყო: „ნამდვილად კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს გასაქანი არ მივეცით, სტუმრებს ჩვენს კართან ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ, რაც დაცვის სიძლიერეზე მიუთითებს, ჩვენ კი გატანის უამრავი შესაძლებლობა დავკარგეთ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და ვეცდებით, ამაზე არ შევჩერდეთ.“

ახლა კი „მიუნხენს“ დავუბრუნდეთ,



ჰერტა — ლევერკუზენი. ემერსონის „ლევერკუზენი“ ჰენდრიკ ჰერცოგის „ჰერტას“ გადაახტა

რომელიც ერთ-ერთ აუტსაიდერ როსტოკის „ჰანზას“ მასპინძლობდა და გაჭირვებით გაიმარჯვა — 2:1. მიუნხენელთაგან ორივე გოლი ბერნდ ვინკლერმა გაიტანა: ჯერ 34-ე წუთზე ნოივილის მიერ სტევიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გახსნა ანგარიში, ხოლო მეორე ტაიმში ჰობშის ძლიერად დარტყმულ ბურთს დაამატა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მეორე გოლამდე „ჰანზამ“ ანგარიში გაათანაბრა. ელერსის ფლანგური გარღვევა ფუქსმა ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა — 1:1. გათანაბრებიდან ორ წუთში მსაჯმა უხეშობისთვის საგოლე პასის ავტორი ელერსი გააძევა. თუმცა, რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, „ჰანზამ“ შეტევები არ შეწყვიტა და 58-ე წუთზე დაწინაურების კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ცალმანმა თავით ძელს მოარტყა ბურთი. შემდეგ ვინკლერის ზემოხსენებული გოლიც გავიდა და მატჩი საბოლოოდ 2:1 დასრულდა. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად, ბუნებრივია, ვინკლერი აღიარეს, რომელიც 9 გოლით ბომბარდირთა სიაშიც დაწინაურდა, მაგრამ კარგი თამაში ფეხბურთელმა 88-ე წუთზე გააუფერულა — იასერს ძალიან ეუხეშა, რისთვისაც მეორე ყვითელი და, შესაბამისად, წითელი ბარათი დაიმსახურა. მატჩის შემდეგ ვერნერ ლორანტი, „მიუნხენის“ დამრიგებელი, სიტყვაძუნწი იყო: „დღეს ჩვენ კარგად არ გვითამაშია, მაგრამ მაინც მოვიგეთ. სამი ქულა კი ყველაზე მნიშვნელოვანია.“

სტუმრად გაიმარჯვა „ლევერკუზენმა“, რომელმაც ბერლინის „ჰერტა“ 1:0 დაამარცხა. „ჰერტას“ აქამდე გამართული ხუთი საშინაო შეხვედრიდან ხუთივე მოგებული ჰქონდა, ამჯერად კი გამარჯვების სიტკბო ველარ იგემა. ერთადერთი გოლი ჯარიმიდან ბაინლიხის ჩაწოდების შემდეგ ლევერკუზენელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ერიკ მეიერმა თავური დარტყმით გაიტანა. პირველ ტაიმში კი „ჰერტას“ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ პრეეტცმა ორჯერ და ვან ბურიკმა ერთხელ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

— შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი და გასაუმჯობესებელი. ერთ კვირაში მესამე ძნელი შეხვედრა ჩავატარეთ და, საბედნიეროდ, მოვიგეთ, თანაც გოლი მეორე ტაიმში გავიტანეთ, როცა მეგონა, დავიღლებოდით და ბურთს აქეთ გავუშვებდით — ასეთი გახლდათ „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის მატჩისშემდგომი კომენტარი.

იოლად გაიმარჯვა დორტმუნდის „ბორუსიამ“, რომელმაც „დუისბურგს“ სძლია იოლად — 2:0. 60 ათასზე მეტი გულშემატკივრის წინაშე დორტმუნდელებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და დიდი ანგარიშით რომ ვერ მოიგეს, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლის გარდა შვიდი ისეთი შესაძლებლობა დაკარგეს, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. დორტმუნდელთა ასეთი ძლიერი თამაში მნიშვნელოვანწილად თომას ჰესლერმაც განაპირობა. ჰესლერი „დორტმუნდში“ სეზონის წინ მივიდა, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ რატომღაც აითვალწუნა და შემადგენლობაში არ აყენებდა. ამ შეხვედრაში სკიბემ ექსკარლსრუელს თავის გამოჩენის შანსი მისცა და არც შემცდარა. 32 წლის ნახევარმცველმა სპეციალისტებისგან მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჟურნალმა „კიკერმა“ კი სულაც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. ანგარიში მასპინძლებმა მე-11 წუთზე გახსნეს. სალუს გარჯა ლარს რიკენმა დაუფასა და ახლოდან თავისიანები დააწინაურა. 35-ე წუთზე კი შაპუიზამ მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე. მეტი გოლი აღარ გასულა და მატჩიც საბოლოოდ 2:0 დასრულდა.

„ჰერტას“ მსგავსად სასიამოვნო ტრადიცია დაარღვია „ფრაიბურგმაც“, რომელიც იაშვილის გარეშე ფრანკფურტის „აინტრახტს“ ეწვია და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. ასეთი რამ კი წლეულს პირველად მოხდა. მასპინძლები მე-12 წუთზე დაწინაურდნენ შნაიდერის გოლით, მაგრამ სტუმრებმა მალე გაქვითეს — ვასმერის დარტყმას ნიკოლოვმა ვერაფერი მოუხერხა. „აინტრახტმა“ პირველივე ტაიმში შეძლო ხელმეორედ დაწინაურება: იანგ ჩენის პასის შემდეგ ეპმა ანგარიში 2:1 გახადა. მეორე ტაიმში თამაში დაიძაბა. საგოლე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ 89-ე წუთამდე ანგარიში არ შეცვლილა. 89-ზე კი გებჰარდტმა მესამედ დააღონა ფრაიბურგელები. ამ დროს სტუმრები ათი კაცით იყვნენ დარჩენილნი, რადგან მსაჯმა უხეშობისთვის ვაისჰაუპტი გააძევა. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მან მთელი შეხვედრა კი ითამაშა, მაგრამ, გაფრთხილებას თუ არ ჩავთვლით, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ეს „ფრაიბურგისთვის“ ზედიზედ მეოთხე მოუგებელი მატჩი იყო.

— შეიძლება ვინმემ ცუდად გაიგოს, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ გუნდმა კარგად ითამაშა, მეტოქეს ეპიზოდებში სჯობდა კიდეც, თუმცა ეს ფეხბურთია, რომელშიც მთავარი გოლის გატანაა. ვეცდებით, მომდევნო შეხვედრებში კარგ თამაშთან ერთად მოგებაც მოვიპოვოთ — გულახდილი ჩანდა ფოლკერ ფინკე, „ფრაიბურგის“ თავკაცი.

კიდევ ერთი მატჩი, რომლის შედეგმაც სპეციალისტები გააოცა, შტუტგარტში გაიმართა. „ვოლფსბურგის“ გამარჯვება ბევრისთვის მოულოდნელი კი იყო, მაგრამ ამ გუნდის მიერ ბოლო ხუთ შეხვედრაში ნაჩვენებ შედეგებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ გასაკვირი არაფერი მომხდარა, რადგან „ვოლფსბურგისთვის“ ეს ზედიზედ მეოთხე მოგება იყო. არადა, პირველი ტაიმის შუაგულში სტუმრები აგებდნენ. 22-ე წუთზე რისტიჩმა ისე ითამაშა, აკპობორის გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. მასპინძელთა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა — პრეგერმა აკონორთან ბურთი გაითამაშა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ თამაში ისე წარიმართა, ყველამ იფიქრა, შეხვედრა ფრედ დასრულდებაო, თუმცა სტუმართა პოლონელმა ლეგიონერმა ანჯეი იუსკოვიაკი სხვაგვარად ფიქრობდა: მის ძლიერად დარტყმულ ბურთს „შტუტგარტის“ მეკარე ვოლფარტი ვერ გაუმკლავდა.

მატჩის შემდეგ „შტუტგარტის“ მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი უკმაყოფილო გახლდათ: „ძალიან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, დაწინაურების შემდეგ მატჩი მოგებულად ჩავთვალეთ და მოვდუნდით, რაც მეტოქემ არ გვაპატია.“

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 11 | 9 | 1 | 1 | 30:10 | +20 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 23:8 | +15 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | +5 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 12 | 6 | 5 | 1 | 26:14 | +12 | 23 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | +3 | 9 | 6 | 4 | 2 | 0 | 16:7 | +9 | 14 |
| 3 | მიუნხენ 1860 | 12 | 7 | 2 | 3 | 24:16 | +8 | 23 | 6 | 4 | 0 | 2 | 12:8 | +4 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | +4 | 11 |
| 4 | ლაუტერნი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:22 | -3 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:10 | +3 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:12 | -6 | 8 |
| 5 | ვოლფსბურგი | 12 | 4 | 5 | 3 | 23:17 | +6 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | +5 | 8 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | +1 | 9 |
| 6 | ჰამბურგი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:13 | +3 | 17 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | +5 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 7 | ჰერტა | 12 | 5 | 2 | 5 | 16:14 | +2 | 17 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:3 | +10 | 15 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | -8 | 2 |
| 8 | ბოხუმი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:16 | +1 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | +3 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 7 |
| 9 | დორტმუნდი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | +4 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | +7 | 12 | 6 | 0 | 4 | 2 | 7:10 | -3 | 4 |
| 10 | შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:14 | +3 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | +5 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 11 | ფრაიბურგი | 12 | 3 | 6 | 3 | 15:16 | -1 | 15 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | +2 | 11 |
| 12 | აინტრახტი | 12 | 3 | 4 | 5 | 17:20 | -3 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | +2 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 13 | ნიურნბერგი | 12 | 2 | 7 | 3 | 17:22 | -5 | 13 | 6 | 0 | 5 | 1 | 7:11 | -4 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | -1 | 8 |
| 14 | დუისბურგი | 12 | 2 | 6 | 4 | 13:20 | -7 | 12 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | +3 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 15 | შალკე 04 | 11 | 2 | 5 | 4 | 11:17 | -6 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 6 |
| 16 | ჰანზა | 12 | 2 | 3 | 7 | 17:27 | -10 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:10 | +2 | 9 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:17 | -12 | 0 |
| 17 | ვერდერი | 11 | 1 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 7 | 6 | 0 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | გლადბახი | 11 | 1 | 2 | 8 | 15:34 | -19 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 4 | 6 | 0 | 1 | 5 | 7:20 | -13 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 8 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |
| პოლსტერი (გლადბახი) | 7 |

**XIII ტური**

13 ნოემბერი
ვერდერი - ლაუტერნი
ჰანზა - გლადბახი
14 ნოემბერი
ვოლფსბურგი - ჰერტა
ლევერკუზენი - ნიურნბერგი
ჰამბურგი - აინტრახტი
დუისბურგი - ბოხუმი
ბაიერნი - შტუტგარტი
დორტმუნდი - შალკე
15 ნოემბერი
ფრაიბურგი - მიუნხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საფრანგეთი

XIII ტური

**ლორიანი 0:2 ბორდო**

0:1 პავონი (9), 0:2 ვილტორდი (80)

**ლანსი 3:1 რენი**

1:0 ელუა (4), 1:1 ნონდა (17), 2:1 დებევი (75), 3:1 ვერელი (82)

**მონაკო 3:2 ოსერი**

1:0 ტრეზეგე (50), 2:0 კონჯიჩი (52), 2:1 დენიო (58), 3:1 ტრეზეგე (59), 3:2 კარნო (85)

**ლიონი 2:0 მონპელიე**

1:0 კავეგლია (48), 2:0 ვიოლო (89)

**სოშო 2:1 ბასტია**

0:1 ნე (6), 1:1, 2:1 ბუჟე (25, 26)

**პსჟ 2:2 მეცი**

0:1 მერიო (30), 1:1 კასტენდოჩი (63 ს.კ.), 2:1 სიმონე (67ვ), 2:2 როდრიგესი (75)

**ტულუზი 0:1 სტრასბური**

0:1 ბერტენი (45)

**ნანტი 1:1 ლე ავრი**

1:0 სიუფო (11), 1:1 ნალისი (24)

**ნანსი 2:3 მარსელი**

0:1 მორისი (10), 0:2 გურვენეკი (21), 1:2 კასკარინო (50), 1:3 მორისი (76), 2:3 კონე (89)

# რენი შეაჩერეს, მარსელი ვერა



მონაკო — ოსერი. ვიქტორ იკპება ბევრს ეცადა, მაგრამ გოლი მაინც ვერ შეაგდო

ტურის პირველი ორი მატჩი სამშაბათს ჩატარდა. „ნანტმა“ „ლე ავრის“ დამარცხება ვერ შეძლო, „მარსელმა“ კი ზედიზედ მეშვიდე გაიმარჯვა, ამჯერად ნანსიში. ოთხშაბათს „ბორდოს“ აუცილებლად უნდა მოეგო, რათა ლიდერი ძალიან წინ არ გა-[illegible]ა. ელი ბოპის გუნდმა დასახული ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა და „ლორიანს“ საშუალება არ მისცა, პირველი საშინაო გამარჯვება ეზეიმა. მესამე ადგილზე მყოფი „რენი“ ჩემპიონ „ლანსს“ ესტუმრა და წააგო, თუმცა გათამაშების ცხრილში იმავე პოზიციაზე დარჩა. „მონაკომ“ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა „ოსერს“ და მეოთხე ადგილზეც მყარად დამკვიდრდა. მეხუთეზე კი „მონპელიეს“ მძლეველმა „ლიონმა“ აინაცვლა. პსჟ-მ კვლავ ვერ მოიგო, ამჯერად „მეცთან“ და მეთერთმეტე ადგილამდე დაქვეითდა.

ლორან ბლანის არყოფნაში „მარსელს“ „ნანსისთან“ ფაბრიციო რავანელიმ უკაპიტნა, „ოლიმპიკი“ გამარჯვებას ცოტათი ფორტუნას უნდა უმადლოდეს. მატჩის ბოლოს მასპინძლები ძალიან გამოცოცხლდნენ და კინაღამ ორი ქულა დააკარგვინეს ლიდერს. შეხვედრის დასაწყისი კი მთლიანად სტუმრების იყო. მათ ლოტარინგიელთა დაცვის [illegible] შეცდომა ორ გოლად აქციეს. ჯერ მორისმა იხეირა, შემდეგ კი გურვენეკმა. „ნანსიმ“ ისე ითამაშა, როგორც საჭირო [illegible], განსაკუთრებით ბოლო წუთებში, მაგრამ დღეს საღამოს იღბალი ჩვენ მხარეს [illegible]“ — თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა რობერ პირესმა, რომელმაც მეორე ტაიმში გოლის ავტორი გურვენეკი შეცვალა. „ჩვენი დღევანდელი მეტოქე საკმაოდ კარგი გუნდია და სხვებსაც ბევრ პრობლემებს შეუქმნის, ისევე როგორც ჩვენ. მატჩის მიწურულს დიდი შიში ვჭამე, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ და კვლავ პირველები ვართ“ — სამხრეთელთა თავკაცი როლან კურბისი ცოტა შეფიქრიანებული იყო. მისმა გუნდმა მოწინააღმდეგეს შეტევათა დამაგვირგვინებელ ფაზაში აჯობა. ოთხი სახიფათო მომენტიდან „მარსელმა“ სამი გამოიყენა, „ნანსის“ თავდამსხმელებს კი ბევრჯერ მოეცარათ ხელი. შეხვედრის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე კრისტოფ ბასტიენმა პენალტიც ვერ გაუტანა კეპკეს შემცვლელ სტეფან პორატოს. ჯერჯერობით დაუმარცხებელ ლიდერებს ახლა ოთხი საკმაოდ ძნელი მატჩი ელით. ისინი „ლანსს“, „ლიონს“, პსჟ-ს და „ოსერს“ შეხვდებიან და მათი ნაღდი ძალაც მაშინ გამოჩნდება. დაბოლოს, ანდრეას კეპკემ, რომელსაც როლან კურბისი სულ უფრო და უფრო ხშირად სვამდა სათადარიგოთა სკამზე, საბოლოოდ გადაწყვიტა საფრანგეთის დატოვება, სადაც უკვე მესამე სეზონს ატარებდა. რომელ კლუბში გადავა გერმანელი კარის დარაჯი, ჯერჯერობით უცნობია.

ლორიანში ზუსტად მატჩის დაწყების წინ „ბორდომ“ საკმაოდ მძიმე დანაკლისი განიცადა. მის გამთამაშებელ ალი ბენარბიას მოთელვაზე ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და შეხვედრაც გამოატოვებინა. ექსმონაკოელის არყოფნის მიუხედავად, ჟირონდელები მინდორზე მაინც სიტუაციის ბატონ-პატრონნი იყვნენ. პირველი გოლი მათ უკვე მე-9 წუთზე გაიტანეს: ვილტორდის წამოწყებული იერიში ლასლანდმა გააგრძელა. მისი პასი კი მიშელ პავონს მიუვიდა და მანაც მასპინძელთა მეკარე ანჟელო იუგს შანსი არ დაუტოვა. ამ გოლმა ამაყი ბრეტონელები ვერ გატეხა და კრისტიან კურკოუფის შეგირდებმაც შეტევას მიხედეს. პირველი ტაიმის ბოლოს იანიკ ფიშერის დარტყმული ბურთი ულრიხ რამეს კარის ზედა ძელს მოხვდა. მეორე ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, „ბორდო“ კი კონტრშეტევებზე ცდილობდა მათ გამოჭერას, რაც ჟირონდელებს ძალიან კარგად გამოსდით. მე-80 წუთზე, ერთ-ერთი კონტრშეტევისას, საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა სილვენ ვილტორდმა თავისი მე-10 გოლი გაიტანა და მატჩსაც წერტილი დაუსვა. სეზონის დასაწყისში იმედისმომცემი დებიუტანტი „ლორიანი“ კი 8 ქულით გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურზე დამკვიდრდა და თუ ასე გააგრძელა, მალე მე-2 დივიზიონს დაუბრუნდება.

შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენამ, „ლანსმა“, წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენას, „რენს“, უმასპინძლა. ჩემპიონებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ჯერ კიდევ შესწევთ მოგების უნარი და მთლად არ დაუძლურებულან. „რენი“ კი ხუთმატჩიანი მოგებების სერიის გაგრძელებას იმედოვნებდა. მიუხედავად მეორე ტაიმის მძიმე დასაწყისისა, „სისხლისა და ოქროს ფერებმა“ მატჩის ბოლო მეოთხედში შეძლეს სტუმართა წინააღმდეგობის გატეხვა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს. „შვებით ამოვისუნთქეთ. ძნელი დრო გვიდგას. ასეთი თამაშის მოგება მოწმობს, რომ ჩვენს გუნდს კიდევ შერჩა ხარისხი და გამარჯვების ჟინი“ — მასპინძელთა მეორე გოლის გამტანი მიქაელ დებევი კარგ ხასიათზე იყო. 33 500 მაყურებლის თვალწინ „სტრასბურიდან“ ინგლისში წასული და „ლანსში“ ახლახან გადმობარგებული ვალერიან ისმაილი პირველად გამოვიდა მინდორზე თავისი ახალი კლუბის მაისურით. მასპინძელთა შორის ყველაზე მეტად სწორედ ის აქტიურობდა და სამი ქულის აღებაც უმეტესწილად მისი დამსახურებაა. „ლანსური მითი კვლავ გაცოცხლდა. ყველას, ვინც გვესტუმრება, ძალიან გაუჭირდება. მარსელშიც იმედიანად მივდივართ“ — ისმაილი უკვე შაბათის მატჩზე ფიქრობდა. „ჩვენ მშვენიერ განწყობაზე ვართ და „მარსელს“, ალბათ, ზედიზედ მერვე თამაშის მოგების საშუალებას არ მივცემთ“ — დებევიც მუქარის ხასიათზე მოსულიყო. სტუმართა თავკაცმა პოლ ლე გუენმა კი ლაკონურად განაცხადა: „ჩვენი მარცხი ლოგიკური იყო“.

„შინ ვიგებთ, მაგრამ გაჭირვებით. გასვლაზე კი ხშირად ბოლო წუთებში ვმარცხდებით, როგორც მაგალითად მარსელში“ — ჟან ტიგანა თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა. გი რუს „ოსერის“ მოწინააღმდეგე „მონაკოს“ თავკაცს, მატჩის ბოლომდე საკმაოდ ჰქონდა სანერვიულო. პირველი ტაიმი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მათ გოლის გატანა ვერ შეძლეს. გასატანი კი მართლაც ბევრი ჰქონდათ — იკპება მარცხნიდან, ჟიული მარჯვნიდან და ტრეზეგე შუიდან უამრავ სახიფათო მომენტს ქმნიდნენ „ოსერის“ კართან, მაგრამ ფაბიენ კული დიდებულად ირჯებოდა. მეორე ნახევარი კი უხვგოლიანი გამოდგა. ჯერ ტრეზეგემ დააწინაურა მასპინძლები ჟიულის მოწოდებული კუთხურის შემდეგ, მერე კი კონჯიჩმა აიღო მეორედ სტუმართა კარი. ცოტა ხანში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. შეხვედრის ბოლოს კი „ოსერმა“ მეორედაც შეაგდო ბურთი ფაბიენ ბარტეზის კარში, თუმც სტუმრებმა მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს და მშვიდე გასვლით თამაშში მეოთხედ დამარცხდნენ. „ახლა გასვლაზეც უნდა შევძლოთ ქულების მოპოვება, რათა „ბორდოს“ და „მარსელს“ კიდევ უფრო არ ჩამოვრჩეთ. ამისთვის კი ბევრი მუშაობა გვმართებს“ — ტიგანას საფრანგეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილის დაკავება გულზე დიდად არ ეხატება.

მესამედ იმარჯვა საკუთარ კედლებში „ლიონმა“, თუმცა წარმატების მისაღწევად ბერნარ ლაკომბის შეგირდებს, გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ. ისევე, როგორც მონაკოში, მატჩის პირველი ტაიმი აქაც უგოლოდ ჩათავდა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა მასპინძელთა კაპიტანმა ალენ კავეგლიამ „მონპელიეს“ მცველის სილვესტრის შეცდომა გამოიყენა და თავისიანები დააწინაურა. მეორე გოლი კი ფილიპ ვიოლომ გაიტანა საჯარიმოდან, რომელიც „მონპელიეს“ კარიდან ოციოდ მეტრში დაინიშნა.

პსჟ-ში არტურ ჟორჟე ერთი თვის წინ დაბრუნდა. მისი ხელმძღვანელობით პარიზელებმა საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე ხუთი მატჩი გამართეს. შედეგი? შედეგი არაფრით სჯობს ჟირესის ხანმოკლე ეპოქას — 1 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება. ოთხშაბათსაც პსჟ-მ „მეცთან“ მოგება ვერ შეძლო, თუმცა ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდა. თავიდან „მეცი“ დაწინაურდა — მერიომ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბურთი ლამას კარის ცხრილში გახვია. დედაქალაქელებმა გათანაბრება ლოტარინგიელთა კაპიტნის დახმარებით შეძლეს — ლაშუერის დარტყმული ბურთი კასტენდოჩს მოხვდა და ლეტიზის კარის ბადეში აღმოჩნდა. ამის მერე მეტოქეებმა თითოც გაიტანეს და თითო ქულაც მიითვალეს.

მომდევნო ტური საფრანგეთში შაბათკვირას გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 13 | 10 | 3 | 0 | 28:10 | 33 |
| ბორდო | 13 | 10 | 1 | 2 | 29:12 | 31 |
| რენი | 13 | 8 | 2 | 3 | 18:14 | 26 |
| მონაკო | 13 | 7 | 2 | 4 | 21:11 | 23 |
| ლიონი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:11 | 20 |
| ოსერი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| ნანტი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:15 | 19 |
| ლანსი | 13 | 5 | 2 | 6 | 21:21 | 17 |
| ბასტია | 13 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 17 |
| მონპელიე | 13 | 5 | 2 | 6 | 23:24 | 17 |
| პსჟ | 13 | 4 | 4 | 5 | 12:12 | 16 |
| სტრასბური | 13 | 4 | 4 | 5 | 10:13 | 16 |
| ნანსი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:18 | 13 |
| ლე ავრი | 13 | 2 | 6 | 5 | 10:13 | 12 |
| მეცი | 13 | 2 | 6 | 5 | 10:17 | 12 |
| სოშო | 13 | 3 | 2 | 8 | 12:29 | 11 |
| ტულუზი | 13 | 2 | 4 | 7 | 9:22 | 10 |
| ლორიანი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:21 | 8 |

## ჰოლანდია

XIII ტური

**აიაქსი 2:1 როდა**

1:0 ვამბერტო (9), 2:0 მაკართი (17), 2:1 ვან უდტი (48)

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ფ. დე ბური, სიერი, რ. დე ბური (გორი 24), დანი, ვიჩხე, ვამბერტო, მაკართი (სიბონი 69), ჰუქსტრა (რუდი 87)

**ბრედა 1:2 ნაიმეგენი**

0:1 დე გიური (30), 0:2 იანსენი (39), 1:2 არველაძე (40)

ბრედა: კარელსე, ატმოდიკორო, ვან დერ ლოოი (ბოჟი 42), შროიდერი, ნოპი, სტიუარტი, მილიჩიჩი, არველაძე (ზელინიო 83), ვან ასი, ფესკენსი

**ტილბურგი 3:0 ვალვაიკი**

1:0, 2:0, 3:0 ბომბარდა (14, 74, 82)

**მაასტრიხტი 1:3 ფეიენოორდი**

0:1 კინტერმანი (30), 0:2 კრუზი (35), 1:2 პერესი (80), 1:3 ვან გასტელი (83)

**ტვენტე 1:2 ჰერენვენი**

0:1 ტენ ჰაგი (15 ს.კ.), 1:1 შტაინმანი (66), 1:2 პალპაცი (90)

**კამბური 0:0 ალკმაარი**

**სიტარდი 0:0 გრააფსხაპი**

როგორც ჩანს, ჰერენვენში მართლაც სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი — კლუბის სვლა ლიდერობისკენ, დროებითი სულაც არ აღმოჩნდა. გუნდი საკმაოდ დამაჯერებლად მიიწევს წინ, რაც მეცამეტე ტურში სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა. შეძლებენ თუ არა ჰერენვენელები ლიდერობის შენარჩუნებას და საბოლოო გამარჯვებას, ამაზე ახლა საუბარი ნაადრევია, თუმცა კლუბი ისეთ ფეხბურთს თამაშობს, მომავალი გამარჯვებები გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

ენსხედეში, სადაც თავის დროზე თბილისის „დინამომ“ ევროტურნირებზე პირველად წააგო, გამარჯვებას, უპირველეს ყოვლისა, მასპინძლებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მხედველობიდან არც „ჰერენვენის“ ლიდერის რანგში სტუმრობა გამორჩენიათ. მიუხედავად შინ, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თამაშისა, „ტვენტემ“ უპირატესობა ხელთ ვერ იგდო, ხანდახან კი საერთოდაც საკუთარი კარის გამუდმებული დაცვა უხდებოდა. პირველი გოლი მასპინძლებმა სწორედ მაშინ გაუშვეს, როცა კარს იყვნენ მიჯაჭვულნი — მცველმა იან ტენ ჰაგმა, იმის მაგივრად, რომ ბურთი საჯარიმოს გარეთ გაეგდო, ორიენტაცია დაკარგა და საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

პირველი ტაიმის ბოლო ხუთმა წუთმა, ისევე როგორც შესვენების შემდგომმა, მასპინძლების აშკარა ტერიტორიული უპირატესობით ჩაიარა, თუმც „ჰერენვენის“ კართან სერიოზული საგოლე მომენტები არ შექმნილა. მასპინძლებმა მოგვიანებით მაინც გაიტანეს — რიკო შტაინმანის გოლმა „ტვენტეს“ ქულის მოპოვების შანსი გაუჩინა, მაგრამ ენსხედელებს ოთხშაბათ საღამოს დამარცხება ეწერათ — მაშინ, როცა საკმაოდ დაძაბული მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, დენის დე ნოიერმა ბუდევინ პალპაცი ძალიან კარგ პოზიციაზე დალანდა და ბურთი უმალ მიაწოდა. პალპაცს ძველი კლუბის ქომაგთა დამწუხრება არ გასჭირვებია. 1:2 და „ჰერენვენი“ კიდევ ერთი ტურით შერჩა პირველ ადგილს.

მდევარი „აიაქსი“ კერკრადეს „როდას“ მასპინძლობდა. შეხვედრის ბედი ვამბერტოს და სამხრეთი აფრიკელი ბენი მაკართის მეცხრამეტე წუთისთვის გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა. დარჩენილ დროში ამსტერდამელებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. „როდამ“ კი ერთი ბურთი გაქვითა. ერთბურთიანი უპირატესობა, „აიაქსის“ დაცვის გადამკიდე, საიმედო სულაც არაა, მაგრამ მასპინძლებმა ყოველგვარი გართულების გარეშე მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

ცოტაც და ჰოლანდიის ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდება. სხვა კლუბებისა ჯერ არაფერი ისმის, „აიაქსის“ ხელმძღვანელებმა კი განაცხადეს, იანვარში სამხრეთი აფრიკაში ტურნეს ვაწყობთო. ჰოლანდიის ჩემპიონს სხვა შეხვედრებთან ერთად ბენი მაკართის ყოფილ კლუბ „სევენ სტარზთანაც“ ჰქონია გაჯიბრება დაგეგმილი.

ტილბურგში, ჰოლანდიის მეფის, ვილემ II-ის სახელობის სტადიონზე მასპინძლებმა „ვალვაიკი“ გაანადგურეს ზუსტად იმ ანგარიშით, როგორითაც მათ უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ სძლიეს. მაშინ გვარამაძის კარი სამმა მასპინძელმა დალაშქრა, ამჯერად კი ვალვაიკელები სამჯერ ერთმა თავდამსხმელმა დაამწუხრა — ტილბურგელთა არგენტინელმა ფორვარდმა მარიო ბომბარდამ ჰეთ თრიქი შეასრულა.

ტილბურგიდან ოცდაათი კილომეტრით დაშორებულ ბრედაში აჩიკო არველაძის გუნდი კვლავ დამარცხდა, ამჯერად შინ. მართალია, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა გოლი გაიტანა, მაგრამ მანამდე „ნაიმეგენის“ ფეხბურთელებს ორის გატანა მოესწროთ. დარჩენილ დროში არაფერი შეცვლილა.

როტერდამის „ფეიენოორდმა“, ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყო და მოგვიანებით ქულები მიმოფანტა, მაასტრიხტში იმარჯვა. მეორე გოლი, რომელიც არგენტინელმა ხულიო კრუზმა გაიტანა, მატჩისულამაზეს გოლად ცნეს. 83-ე წუთზე ჟან პოლ ვან გასტელმა შეძლო, როტერდამელთა გამარჯვება განემტკიცებინა.

მთლიანობაში ეს ტური მასპინძელთათვის ტრაგიკული გამოდგა. ერთადერთი გუნდი, რომელმაც შინ იმარჯვა, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ამსტერდამის „აიაქსია“.

პირველობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა.




აიაქსი — როდა. პირველი გოლი კერკრადელთა კარში — ვამბერტოს დარტყმულმა ბურთმა მიზანს უწია

**ირაკლი ილაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერენვენი | 13 | 9 | 1 | 3 | 22:13 | 28 |
| აიაქსი | 13 | 8 | 3 | 2 | 29:9 | 27 |
| ფეიენოორდი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:11 | 26 |
| ტვენტე | 13 | 7 | 3 | 3 | 19:14 | 24 |
| ვიტესი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 23 |
| ნაიმეგენი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:18 | 19 |
| ტილბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 24:21 | 19 |
| ალკმაარი | 13 | 4 | 7 | 2 | 20:19 | 19 |
| როდა | 12 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 18 |
| ეინდჰოვენი | 11 | 4 | 3 | 4 | 22:20 | 15 |
| უტრეხტი | 12 | 4 | 3 | 5 | 23:21 | 15 |
| გრააფსხაპი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:20 | 15 |
| მაასტრიხტი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:21 | 14 |
| სპარტა | 12 | 3 | 2 | 7 | 13:21 | 11 |
| კამბური | 13 | 2 | 4 | 7 | 12:24 | 10 |
| ბრედა | 11 | 2 | 3 | 6 | 13:18 | 9 |
| სიტარდი | 13 | 2 | 3 | 8 | 10:22 | 9 |
| ვალვაიკი | 13 | 0 | 3 | 10 | 11:29 | 3 |

## ინგლისი

ლიგის თასის
მერვედფინალი

ლესტერი 2:1 ლიდსი
მანჩესტერი 2:1 ნოტინგემი
არსენალი 0:5 ჩელსი
ევერტონი 1:1 (4:5პ) სანდერლენდი
ნიუკასლი 1:1 (2:4პ) ბლექბერნი

# ცნობარები და პენალტები

ამბობენ 73 წელია, „არსენალს“ ასე საძაგლად არ წაუგიაო — „ჩელსიმ“ 5:0 დაამარცხა და ლიგის თასის მეოთხედფინალში გავიდა. „ჩელსისთან“ ერთად რვა უძლიერესს შორის ადგილი დაიმკვიდრეს „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ლესტერ სიტიმ“, „ბლექბერნ როვერსმა“ და პირველი დივიზიონის წარმომადგენელმა „სანდერლენდმაც“.

„ჩელსი“ თასის მფლობელია, წინა გათამაშებაში გამარჯვებული, მაგრამ მისი შთამბეჭდავი მოგება, რომ რომ მეტოქესთან შედარებით კლასში დიდი უპირატესობით არ იყო განპირობებული, ყველასთვის ნათელია. მიზეზი სულ სხვა გახლდათ. „არსენალის“ ფრანგ თავკაცს, არსენ ვენგერს, ლიგის თასი ღირსეულ ჯილდოდ არ მიაჩნია და თავის ფეხბურთელებსაც ნიადაგ ამას ჩასჩიჩინებს. ბუნებრივია, მწვრთნელის განწყობილება მოთამაშეებსაც გადაედოთ, თანაც გუნდი მოედანზე მეორე შემადგენლობით იყო გასული.

„ჩელსი“ მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანკ ლებეფმა დააწინაურა. 34-ე წუთზე მის მიერ უშეცდომოდ დარტყმულმა თერთმეტმეტრიანმა გუნდის მწვრთნელსა და იმავდროულად ფეხბურთელს, იტალიელ ჯანლუკა ვიალის საშუალება მისცა, შესვენებიდან ოთხი წუთის შემდეგ მეორე გოლი შეეგდო მეთოფეთა კარში.

ამის შემდეგ ცალკარა გაჩაღდა. 3:0 გუსტავო პოიეტის დარტყმის შემდეგ გახდა, მეოთხე ისევ ვიალიმ გაიტანა, მეხუთეს ავტორი კი კვლავ პოიეტი გამოდგა.

სტატისტიკოსები ტაბლოზე ასახული შეხვედრის შემყურე მყისვე ცნობარებს ჩაუსხდნენ და გამოიკვლიეს, რომ 0:5 „რასენალმა“ ბოლოს 1925 წელს „ჰადერსფილდ თაუნთან“ წააგო. მართალია, იყო 1985 წელიც, როდესაც ინგლისში პრემიერლიგა ჯერ არ არსებობდა, უმაღლეს ეშელონს პირველ დივიზიონს უწოდებდნენ და „არსენალმა“ „ევერტონთან“ 1:6 წააგო, მაგრამ ალბიონელ სტატისტიკოსთა აზრით, იმ შეხვედრაში მეთოფეებმა ერთი გოლი მაინც გაიტანეს და ამიტომ სხვაობათა ტოლობის მიუხედავად, უარეს წაგებად 0:5 მიიჩნიეს. ჩვენ, როგორც გვსურს, ისე განვსაჯოთ, ერთი კი ფაქტია, 0:5 1925 წლის მერე არ ყოფილა.



არსენალი — ჩელსი. არსენალელი დევიდ გროდინი „ჩელსის“ მარკ ნიკოლსს ფეხებში ჩაუვარდა

REUTERS ლონდონიდან

ცნობარების ქექვამ გამოაჩინა, რომ „ჩელსისთან“ „არსენალი“ 90 წელია ასე არ დამარცხებულა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ნოტინგემ ფორესტს“ ორი გაუტანა, ხოლო გაშვებით ალექს ფერგიუსონის ხელქვეითებმა ერთი გაუშვეს. საინტერესო ისაა, რომ მანჩესტერელთა პირველ და მეორე გოლებს შორის წამზომმა მხოლოდ სამჯერ მოასწრო ციფერბლატისთვის შემორბენა. ორივე გოლი ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკაიერმა შეაგდო. ნოტინგემელთაგან 30 მეტრიდან ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა სტივ სტოუნმა უპასუხა.

ლესტერში „ლიდს იუნაიტედი“ იყო სტუმრად. პირველ ტაიმში ანგარიში ლიდსელთა ავსტრალიელმა მოთამაშემ, ჰარი კიუელმა თავური დარტყმით გახსნა და გუნდმა ლამის ასეც დაამთავრა შეხვედრა, მაგრამ დადგა 88-ე წუთი და მაზი იზეტმა ჯერ გაათანაბრა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი მეგობრებს პენალტი მოუნადირა, რომელსაც გარი პარკერმა შეასხა ხორცი.

პენალტები არც ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკს“ დაკლებია. საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთი იყო დარჩენილი, ნიუკასლელთაგან ალან შირერმა, ხოლო ბლექბერნელთაგან ტიმ შერვუდმა თითო თერთმეტმეტრიანი რომ დაარტყეს და ანგარიში 1:1 დაადგინეს, თუმცა თურმე ჯერ სადა ხარ. სულ ცოტა ხანში შირერი ერთხელაც მივიდა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან, ბურთსაც ამოსცხო, და ხარიხას გადააცილა. გავიდა კიდევ ერთიორი წუთი და მსაჯის მიერ წამატებულ დროში მასპინძელთა მეკარემ შეი გივენმა სტუმარ ჯეფ კუნას მოუგერია პენალტი.

ის, რაც თამაშის დროს დანიშნული პენალტებით ვერ გაირკვა, თამაშის ბოლოს მოწყობილმა პენალტების სერიამ გაარკვია. აქ უკვე შირერმაც ივარგა და კენამაც, მაგრამ მარტო მათზე ხომ არ იდგა საქმე. დანარჩენი დარტყმები კენას თანაგუნდელებმა უფრო ზუსტად შეასრულეს, ვიდრე შირერისამ და მეოთხედფინალისკენ გაიკაფეს გზა.

პენალტებით გაარჩიეს გამსვლელ-გამვარდნი „ევერტონმა“ და „სანდერლენდმაც“. გაიმარჯვა პირველი დივიზიონის გუნდმა, რომელმაც მატჩის ძირითად დროში მაიკლ ბრიჯიზის გოლით გახსნა ანგარიში, მაგრამ მერე ჯონ კოლინზის დარტყმული გაუშვა და ამიტომაც გაუხდა საქმე საპენალტოდ.

თერთმეტმეტრიანების სერიაში ჯერი „უეცარ სიკვდილზე“ რომ მიდგა, სწორედ მაშინ ივარგა „სანდერლენდის“ მეკარემ თომას სორენსენმა. მან იბრაჰიმ ბაკაიოკოს დარტყმული მოიგერია და მეოთხედფინალში მეორე დივიზიონის „ლუტონ თაუნთან“ შინ თამაში დაიბევა.

სხვა მეოთხედფინალური წყვილები გახლავან: უიმბლდონი — ჩელსი, ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი და ლესტერ სიტი — ბლექბერნ როვერსი.

**მიხეილ სურგულაძე**

## იტალია

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

ვენეცია 2:2 (დ.დ.) იუვენტუსი (0:0)
ბოლონია 2:1 სამპდორია (0:0)
ვიჩენცა 0:1 უდინეზე (0:0)
პარმა 0:0 ბარი (2:1)
დი სანგრო 1:1 ინტერი (0:1)
მილანი 1:1 ლაციო (1:3)

# დანემზმება რა საპადრისია

109-ე წუთზე ვეტერანმა მცველმა ჩირო ფერარამ ანგარიში გაქვითა — იტალიის ჩემპიონი, „იუვენტუსი“ ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალშია.

ტურინელებმა „ვენეციასთან“ შეხვედრაში ორჯერ გაათანაბრეს. ფერარას გოლი „იუვენტუსის“ მეორე, ხოლო მატჩის მეოთხე გახლდათ. მოგეხსენებათ, ეს გამოცდილი ფეხბურთელი გასულ სეზონში ძალიან დაშავდა, ტრავმის გამო არათუ სეზონის ბოლო, არამედ თვით მსოფლიოს ჩემპიონატიც კი გამოტოვა და გამოჯანმრთელების შემდეგ მხოლოდ მესამედ იყო მოედანზე.

ფერერამ შორეული დარტყმით მიაღწია საწადელს. საინტერესოა, რომ ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ტურინელთა ერთ-ერთი უმთავრესი კოზირის ძალა. ეს კოზირი ერთი შეხედვით მეტად უბრალოა. ის არაა ტექნიკასთან, ტაქტიკასთან, მზადების მეცნიერულ მეთოდებთან და ფილოსოფიასთან დაკავშირებული. ეს დაუნებებელი სული გახლავთ. „იუვენტუსი“ ამ თვალსაზრისით საგანგებოა. მას, როგორც ნებისმიერ სხვა გუნდს, აქვს უკეთესი და უარესი პერიოდები, მაგრამ არასდროს კარგავს თავმოყვარეობას, რომელიც კარნახობს, რომ ბედთან შეგუება დაუშვებელია.

განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ ის, რომ ფერარამ ვენეციელთა მეორე გოლიდან რამდენიმე წუთში გაქვითა ანგარიში. დიახ, მანამდე სულ ცოტა ხნით ადრე „იუვენტუსის“ ყოფილმა მცველმა ჯანლუკა ლუპიმ თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიში 2:1 გახადა ვენეციელთა სასარგებლოდ. ეს ამბები დამატებით დროში დატრიალდა.

პირველ შეხვედრაში, ტურინში, „ვენეციამ“ 1:1 მოახერხა და საპასუხოშიც მანვე გახსნა ანგარიში. საოცარია, ვენეციის გუნდის ბრაზილიელმა მოთამაშემ, ტუტამ გოლის გატანა ძირითადი დროის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შეძლო, მაგრამ დაუნებებელმა „ბებერმა ქალბატონმა“ უმალ მოინადირა თერთმეტმეტრიანი, რომელსაც ურუგვაელმა დანიელ ფონსეკამ შედეგიანი უწოდა.

როგორც გითხარით, დამატებით დროში ისევ „ვენეცია“ დაწინაურდა: მოუსვენარმა თავდამსხმელმა ფაბიენ ვალტოლინომ სტუმარი გუნდის მცველებს საკუთარ საჯარიმოში წესები დაარღვევინა და ლუპიმ პენალტის ნიშნულიდან ზუსტად დაარტყა, მაგრამ დაუნებებელმა სულმა ფერარას ისევ გაათანაბრებინა.

მეოთხედფინალში „იუვენტუსს“ „ბოლონია“ შეხვდება.

იტალიურ გიგანტთაგან მეოთხედფინალისკენ გზის გაკაფვა გაუჭირდა „ინტერსაც“. მილანელების მოწინააღმდეგე „იუვენტუსისაზე“ განუზომლად სუსტი იყო, იგი გახლდათ სერია C-ს წარმომადგენელი „კასტელ დი სანგრო“, რომელმაც იმდენი შეძლო, რომ „შავ-ლურჯებს“ არ მოაგებინა — 1:1.

ამ თამაშშიც ანგარიში სუსტებმა გახსნეს. 76-ე წუთზე „რომას“ ყოფილმა ფეხბურთელმა ანტონიო ბერნარდიმ ორი შეხვედრის ჯამური ანგარიში გაათანაბრა. თუმცა სამი წუთის შემდეგ „ინტერის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა ნიკოლა ვენტოლამ მეტოქის საჯარიმოში წაქცევა მოიფიქრა. პატიოსნად რომ ვთქვათ, ვენტოლას წინააღმდეგ წესი არავის დაურღვევია, მაგრამ მსაჯმა დაუსტვინა და ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა. პენალტი იური ჯორკაეფმა დაარტყა.

„ინტერს“ მეოთხედფინალში თასის გასული სეზონის გათამაშების გამარჯვებული, „ლაციო“ ელის.

„ლაციომ“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად „სან სიროზე“, „მილანთან“ 1:1 ითამაშა. რომაელები მათმა ჩილელმა თავდამსხმელმა, მარსელო სალასმა დააწინაურა. მან აჯობა მილანელთა უკანა ხაზს და გამართული დარტყმით გერმანელ მეკარეს იენს ლემანს გაუტანა გოლი, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ მოედნიდან სალასის პორტუგალიელი თანაგუნდელი სერჟიო კონსეისაო გააძევეს, რამაც მასპინძლები გამოაცოცხლა. მათ ანგარიში გაათანაბრეს. გოლი მაურიციო განცმა შეაგდო, თუმცა ეს პირველ შეხვედრაში 1:3 დამარცხებული გუნდისთვის, ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა.

„სამპდორიამ“ „ბოლონიასთან“ მატჩში 1:0 დაწინაურება შეძლო, ოღონდ ბოლო წუთზე, მოედანზე რვა ფეხბურთელით დარჩენილმა ნახა, როგორ შეაგდეს მის კარში ბურთი პენალტის ნიშნულიდან, როგორ გახდა ანგარიში 1:2 და როგორ გავიდა „ბოლონია“ მეოთხედფინალში.

პირველ შეხვედრაში 0:0 იყო და ამიტომაც გენუელი ფრანჩესკო პალმიერის მე-9 წუთზე გატანილმა გოლმა დუელი თითქოს „სამპდორიას“ სასარგებლო კალაპოტში ჩააგდო, მაგრამ პალმიერის მეწყვილე თავდამსხმელი ვინჩენცო იაკოპინი მეორე ტაიმის დასაწყისში მოედნიდან გააძევეს და ჯუზეპე სინიორიმ ანგარიში გაქვითა. ასეთი შედეგი მაინც „სამპდორიას“ აძლევდა ხელს. მდგომარეობა 90-ე წუთზე შეიცვალა, როდესაც მსაჯმა მის კარში პენალტი დანიშნა. არბიტრის გადაწყვეტილებით განრისხებულმა გენუელებმა მარკო ფრანჩესკეტიმ და დავიდე ბალერიმ პროტესტი გამოხატეს, რისთვისაც მოედანი დატოვეს, ბოლონიელთა გუნდის რუსმა თავდამსხმელმა იგორ კოლივანოვმა კი გამარჯვების გოლი გაიტანა.

„პარმამ“ შინ, „ბარისთან“, 0:0 ითამაშა, მაგრამ ვინაიდან პირველ შეხვედრაში 2:1 ჰქონდა მოგებული, მეოთხედფინალში გავიდა, ხოლო „უდინეზემ“ „ვიჩენცას“ 1:0 აჯობა და პირველი 0:0-ის წყალობით რვა უძლიერესს შეუერთდა.

**ბაპუნა ქედია**

## ავსტრია

მე-16 ტური: აუსტრია — გრაცი 0:0; რიდი — ზალცბურგი 0:0; შტურმი — რაპიდი 2:1; ტიროლი — ლინცი 1:4; შტაირი — ლუშტენაუ 17 ნოემბერს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 16 | 12 | 1 | 3 | 34:11 | 37 |
| ლინცი | 16 | 11 | 2 | 3 | 33:17 | 35 |
| რაპიდი | 16 | 9 | 4 | 3 | 25:12 | 31 |
| გრაცი | 16 | 9 | 4 | 3 | 21:13 | 31 |
| აუსტრია | 16 | 5 | 5 | 6 | 16:20 | 20 |
| ზალცბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 21:24 | 18 |
| ტიროლი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:23 | 17 |
| რიდი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:18 | 16 |
| ლუშტენაუ | 15 | 1 | 5 | 9 | 11:31 | 8 |
| შტაირი | 15 | 1 | 2 | 12 | 12:37 | 2 |

## ალბანეთი

მე-10 ტური. პარტიზანი — ვლაზნია 1:1; ბესა — ტომორი 1:1; ბურელი — ტეუტა 3:0; ტირანა — შკუმბინი 4:1; ელბასანი — დინამო 0:0; ლუშნია — სკენდერბუ 5:1; ფლამურტარი — ბილიში 0:0; აპოლონია — ლაჩი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 10 | 6 | 2 | 2 | 16:11 | 20 |
| ლუშნია | 10 | 6 | 1 | 3 | 26:12 | 19 |
| ბილიში | 10 | 6 | 1 | 3 | 12:8 | 19 |
| ვლაზნია | 10 | 5 | 2 | 3 | 14:8 | 17 |
| დინამო | 10 | 4 | 4 | 2 | 16:15 | 16 |
| ლაჩი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| ელბასანი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:8 | 14 |
| პარტიზანი | 10 | 3 | 5 | 2 | 10:11 | 14 |
| ტომორი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:6 | 13 |
| ბესა | 10 | 4 | 1 | 5 | 9:13 | 13 |
| ტეუტა | 10 | 4 | 1 | 5 | 10:21 | 13 |
| აპოლონია | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| შკუმბინი | 10 | 4 | 0 | 6 | 8:14 | 12 |
| ბურელი | 10 | 3 | 1 | 6 | 18:17 | 10 |
| სკენდერბუ | 10 | 3 | 0 | 7 | 13:18 | 9 |
| ფლამურტარი | 10 | 1 | 5 | 4 | 9:13 | 8 |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 17 | 10 | 7 | 0 | 40:12 | 37 |
| იფსვიჩი | 17 | 9 | 5 | 3 | 25:10 | 32 |
| ბირმინგემი | 18 | 9 | 5 | 4 | 25:16 | 32 |
| უოტფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:26 | 31 |
| ჰადერსფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 25:25 | 29 |
| ბრედფორდი | 17 | 8 | 4 | 5 | 31:20 | 28 |
| ვულვზი | 18 | 8 | 4 | 6 | 27:18 | 28 |
| ნორვიჩი | 16 | 8 | 4 | 4 | 27:21 | 28 |
| შეფილდი | 18 | 7 | 6 | 5 | 28:27 | 27 |
| გრიმსბი | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 7 | 3 | 7 | 33:32 | 24 |
| ბოლტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 31:27 | 24 |
| კრ. პალასი | 15 | 7 | 2 | 6 | 26:25 | 23 |
| სტოკპორტი | 17 | 4 | 9 | 4 | 22:23 | 21 |
| პორტ ველი | 18 | 6 | 3 | 9 | 21:34 | 21 |
| ბერი | 18 | 5 | 6 | 7 | 13:17 | 21 |
| სვინდონი | 18 | 5 | 5 | 8 | 27:30 | 20 |
| ბარნსლი | 18 | 4 | 8 | 6 | 22:26 | 20 |
| ტრანმერი | 17 | 4 | 8 | 5 | 21:24 | 20 |
| პორტსმუთი | 18 | 4 | 5 | 9 | 26:31 | 17 |
| ბრისტოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 26:42 | 15 |
| ქუინზ პარკი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:27 | 15 |
| ოქსფორდი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:33 | 14 |
| ქრიუ | 17 | 2 | 5 | 10 | 19:35 | 11 |

## ესპანეთი

თასის საპასუხო მატჩები

ესტრემადურა 0:0 (1:4პ) ლევანტე (0:0)
სალამანკა 0:2 სევილია (0:0)
ტენერიფე 4:0 (დ.დ.) რეიესი (0:2)
სარაგოსა 2:2 სპორტინგი (1:1)
ვალიადოლიდი 3:2 მალაგა (2:1)
ალავესი 2:2 ლას პალმასი (0:0)
ვილიარეალი 3:0 ტალავერა (1:0)
რასინგი 1:1 ნუმანსია (1:0)
ოვიედო 0:1 ბადახოსი (1:3)
ოსასუნა 2:0 ლეიდა (1:1)
დეპორტივო 3:1 ხერესი (3:1)
ბენიდორმი 1:0 ბეასაინი (0:0)

თასის გათამაშებას, მომდევნო, მეოთხე წრიდან ის კლუბები შეუერთდებიან, დღესდღეობით ევროტურნირებზე რომ მონაწილეობენ, თუმცა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ესპანეთის ფეხბურთის უმაღლეს, პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე მეტოქეებად ქვედალიგელები ერგებათ — ამ ეტაპზე გათამაშებას ხუთი უმაღლესლიგელი გამოეთიშა. „სარაგოსამ“, „სალამანკამ“, „ალავესმა“, „ოვიედომ“ და „ესტრემადურამ“ მეტოქეებს ვერ აჯობეს და ტურნირს გამოემშვიდობნენ.

შერცხვენილი პრიმერადივიზიონელთა რაოდენობა იქნებ ექვსამდეც გაზრდილიყო, მაგრამ „ტენერიფემ“ მოახერხა მესამელიგელი „სან სებასტიანის“ წინააღმდეგობის დაძლევა. პირველი მატჩი მასპინძლებმა 0:2 წააგეს, და მაინც საპასუხო შეხვედრაში იოლ გამარჯვებას ელოდნენ, ვერ მიართვეს. ერთადერთი, რასაც ძირითად დროში „ტენერიფემ“ მიაღწია, ორი გოლის გატანა იყო, რომლის წყალობითაც მასპინძლებმა დამატებით დროს გამოჰკრეს ხელი. საბოლოოდ ძლიერთა ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა — კანარის კუნძულელებმა აშკარად დაღლილ მეტოქეს კიდევ ორი ბურთი გაუტანეს და სირცხვილს გადაურჩნენ.

არანაკლებ დრამატული შეხვედრა გაიმართა სარაგოსაში, „ლა რომარედაზე“. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის თასების მფლობელთა თასის მფლობელი კლუბი ქვედადივიზიონელ მეტოქეს ეპაექრებოდა, გულშემატკივრებმა 35-ათასიანი სტადიონი პირთამდე გაავსეს. ატმოსფერო უდავოდ საზეიმო იყო და შეხვედრაც დაძაბული, კარგი სანახავი გამოდგა, მაგრამ, მასპინძელთა სამწუხაროდ, „სარაგოსას“ დამარცხებით დასრულდა. არაგუნდს არც პირველი შეხვედრა წაუგია და არც საპასუხო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში დამარცხებული დარჩა.

თამაში სარაგოსელთათვის კარგად დაიწყო. მათ საგრძნობი უპირატესობა მალე გოლებშიც ასახეს და შეხვედრის დასასრულამდე ოცი წუთით ადრე 2:0-საც იგებდნენ, მაგრამ გავიდა განკუთვნილი დრო და სტუმრებმა დამხვდურთ თავზარი დასცეს. ჯერ იყო და ხიხონელთა რუსმა თავდამსხმელმა დმიტრი ჩერიშევმა გაქვითა ერთი გოლი, თამაშის ბოლოს კი ტაკის გონიასმა მეორედ დალაშქრა კონრადის კარი — 2:2. ანგარიშმა სავსებით იკმარა იმისთვის, რომ ხიხონის „სპორტინგი“ მეოთხე წრეში გასულიყო, პრიმერა დივიზიონში მეექვსე ადგილზე მყოფი კლუბი კი ორი შეხვედრის ჯამში დამარცხებულიყო.

მატჩის შემდგომ „ლა რომარედას“ ხელმძღვანელობას საქმეში პოლიციელების ჩართვა მოუხდათ — „სარაგოსას“ გულშემატკივრებმა, კლუბის წარუმატებლობით რომ იყვნენ გაგულისებულნი, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ფანჯრების მტვრევა დაიწყეს. საბოლოოდ დაახლებით ნახევარ საათში, სამართალდამცავებმა გულშემატკივართა უსაქციელობა აღკვეთეს.

თუ „სარაგოსა“, „ალავესი“ და „ესტრემადურა“ ქვედადივიზიონელებთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ, ოვიედოელებმა მეორელიგელ „ბადახოსთან“ საპასუხო შეხვედრაშიც აიღეს ნამუსზე ხელი. პირველი მატჩი ფერნანდო ვასკეს პენიას გუნდს 1:3 ჰქონდა წაგებული, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს კიდევ ინარჩუნებდა. ყველაფრის მიუხედავად, „ოვიედომ“ ქომაგებს იმედი გაუწბილა — შინაც წააგო. ეტყობა, გულშემატკივრებმა წინდაწინვე იცოდნენ, რომ მათი საყვარელი კლუბი არაფრის მაქნისი იყო და 24-ათასიან „ესტადიო კარლოს ტარტიერზე“ მისვლა მხოლოდ 1500-მა კაცმა არ დაიზარა.

**ირაკლი ილაშვილი**



# ვან გაალი და ის ერთი

თავდაპირველად ვან გაალს გაუჭირდა. რატომ, ვერავინ მიხვდა, მაგრამ ერთმა მაინც იპოვა საიდუმლოს გასაღები.

მოგვიანებით ვან გაალმა თითქოს დაძლია კრიზისი, ისე, როგორც ფოტოზე, სავარძელში შვებით ჩაჯდა, „ბარსელონაც" კარგად ათამაშდა, ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიგო. მაგრამ იმ ერთმა იცოდა, რომ წარმატება დროებითი იყო და მწვრთნელის სწორ საქმიანობაზე სულაც არ მიუთითებდა.

„ბარსელონას" პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა ჩათვალა, რომ ლუის ვან გაალი მალე აუღებდა ალღოს „ბარსელონას" და მწვრთნელობა აცალა. იმ ერთმა იცოდა, რომ ლუის ვან გაალის წარმატება კატალონიურ კლუბში მოჩვენებითი იყო.

ჰოლანდიელმა მწვრთნელმა „კამპ ნოუ" თანამემამულეებით გაავსო. კატალონიელებმა ეს საჭიროდ მიიჩნიეს, მაგრამ იმ ერთმა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მწვრთნელის ასეთი ნაბიჯი უარყოფით შედეგს გამოიღებდა.

და საერთოდ: იმ ერთმა იცოდა, რომ ამსტერდამის „აიაქსის" ამაღორძინებელი ლუის ვან გაალი „ბარსელონას" ევროპის უძლიერეს კლუბად ვერ აქცევდა, რადგან მწვრთნელი ვერ გრძნობდა თავისუფლებისმოყვარე კატალონიელთა სუნთქვას...

როდესაც ვან გაალი პირველად გამოჩნდა „კამპ ნოუზე", „ბარსელონამ" მეფის თასის გათამაშების მატჩში „ატლეტიკო" ბრწყინვალე, დიად შეხვედრაში 5:4 დაამარცხა. ხმები ვან გაალის „ბარსელონაში" გადასვლის შესახებ სწორედ მაშინ დაირხა, მაგრამ იმ ხანებში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „აიაქსი" „ატლეტიკოსთან" საპაექროდ ემზადებოდა, აქედან გამომდინარე, ჭორებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ.

ნათქვამია, ჭორში სიმართლის მარცვალიც ურევიაო. ეს სიბრძნე კიდევ ერთხელ დამტკიცდა, როდესაც ლუის ვან გაალი „ბარსელონას" ჩაუდგა სათავეში.

ჰოლანდიელის კატალონიური კარიერის დასაწყისი ისეთი ცუდი გამოდგა, სჯობდა, კლუბის მწვრთნელად ხოსე ლუის ნუნიესს ინგლისელი ბობი რობსონი დაეტოვებინა — პრიმერა დივიზიონში მეტნაკლებად კარგად დაწყებულ ასპარეზობას ჩემპიონთა ლიგაში განადგურება დაემთხვა. კლუბის შარშანდელი კრიზისის გასახსენებლად კიევის „დინამოსთან" ორი მატჩის ჯამში 0:7 წაგებაც კმარა. ასეთი ანგარიშით „ბარსელონა" ევროტურნირებში არასდროს არავისთან დამარცხებულა.

— ეტყობა, „ბარსელონას" ხელმძღვანელებს ალღომ უმტყუნა. მესმის, ადამიანმა რაღაც საქმე ცუდად დაიწყოს, მაგრამ იმას, რაც „ბარსელონას" ლუის ვან გაალის მისვლისთანავე დაემართა, ცუდს ვერ უწოდებ. ეს საშინელება იყო — განაცხადა იმ ერთმა გუშინ.

წლეულს გაზაფხულზე „ბარსელონამ" თამაში გამოასწორა და შინაურ სარბიელზე საქმე სრულ ტრიუმფამდე მიიყვანა — ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონობაც მოიპოვა, გარდა ამისა, ზედიზედ მოიგო ქვეყნის თასი, მთლიანობაში კი თითქმის ოცდაათწლიანი შესვენების შემდეგ დუბლი შეასრულა — უდიდესი სიხარული კატალონიელთა გულშემატკივრებისთვის.

„ბარსელონას" თავკაცები მიღწეულმა დაარწმუნა იმაში, რომ ლუის ვან გაალი კლუბს დაუმარცხებლად აქცევდა. გამართლებულად მიიჩნიეს ხოსე ლუის ნუნიესმა კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული ჰოლანდიელი მწვრთნელი რომ არ გაუშვა. იმ ერთმა კი „ბარსელონას" წარმატება მოსალოდნელადაც ჩათვალა. მეტიც, მისი აზრით, კლუბის ჩემპიონობა და თასის მოგებაში მწვრთნელს ნამდვილად არ მიუძღოდა იმხელა წვლილი, როგორსაც მიაწერდნენ.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ გაზაფხულზე, სეზონის ბოლოს, „ბარსელონა" ევროტურნირებისგან თავისუფალი გახლდათ, მისი მთავარი მეტოქენი კი ევროსარბიელზე თამაშობდნენ. წლეულს, გაზაფხულზე კლუბის წარმატება გუნდში თავმოყრილი ბრწყინვალე ინდივიდუალისტების დამსახურება უფრო იყო, ვიდრე მწვრთნელის შედეგიანი მოღვაწეობისა — კვლავ ის ერთი

...მსოფლიოს ჩემპიონატი გასრულდა. ახალი სეზონიც დაიწყო და ლუის ვან გაალმა მოიმოქმედა ის, რაც ბარსელონაში საჭიროდ, მართებულად მიიჩნიეს, იმ ერთმა კი ძალიან უხეშ შეცდომად, „ბარსელონას" გადაგვარებად აღიქვა. ლუის ვან გაალმა სეზონის წინ და ჩემპიონატის დასაწყისში განხორციელებული ტრანსფერებით კატალონიური კლუბი ლამის „აიაქსად" აქცია. მან „კამპ ნოუზე" ექვს ჰოლანდიელ ფეხბურთელს მოუყარა თავი — რუდ ჰესპი, მიხაელ რაიციგერი, უინსტონ ბოგარდი, ფილიპ კოკუ, ბუდევინ ზენდენი და პატრიკ კლუივერტი.

— მისი საქციელი გაუმართლებელია. იგი არ იცნობს „ბარსელონას" და ამიტომაც მოიწადინა, იგი „აიაქსისთვის" დაემსგავსებინა, მაგრამ საბოლოოდ ავადმყოფი სხეული მიიღო. განა დასაშვებია ესპანურ კლუბში ექვსი ჰოლანდიელის ყოლა? არავითარ შემთხვევაში. წარმოიდგინეთ „აიაქსი" ექვსი ესპანელით. ეს საშინელებაა. „ბარსელონაში" სწორედ მე მივიყვანე რონალდ კუმანი და რიხარდ ვიჩხე, მაგრამ არასდროს მიფიქრია, „კამპ ნოუ" ჰოლანდიელების სარბიელად გადამექცია — ეს სიტყვებიც იმ ერთის მიერაა ნათქვამი.

ლუის ვან გაალს აქამდეც აკრიტიკებდნენ და ალბათ მომავალშიც გააკრიტიკებენ, მაგრამ იმ ერთის შენიშვნებს მაინც სხვა ფასი აქვს.

ის ერთი ხომ იოჰან კრუიფია.

**ლაშა გოდუაძე**

# ასოცდამეათედ?

... 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი. გფრ — ჰოლანდია. სუპერთავდამსხმელ მარკო ვან ბასტენს ბოლო წუთებზე აიკე იმელის კარში მეორე გოლი გააქვს და ნაკრები ტურნირის ფინალში გაჰყავს. შესანიშნავი შეხვედრა იყო.

... 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი. გფრ — ჰოლანდია. ამჯერად ძლიერი ფრანც ბეკენბაუერის გუნდი აღმოჩნდა. გერმანელებმა ორი წლის წინანდელი წყენისთვის რევანში აიღეს და „ნარინჯისფრები". 2:1 დაამარცხეს. ძალიან დაძაბული მატჩი იყო.

... 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია — გერმანია. ლამაზ და დაძაბულ შეხვედრაში ევროპის ჩემპიონებმა მსოფლიოს ჩემპიონები 3:1 დაამარცხეს. თვალსასეირო შეხვედრა გახლდათ.

საფეხბურთო ისტორიას ჰოლანდიის და გერმანიის უამრავი შესანიშნავი დაპირისპირება ახსოვს. ოთხშაბათს, გელზენკირხენში, გერმანელები კვლავ მასპინძლობენ მეზობლებს. არავინ იცის, იქნება თუ არა ეს შეხვედრა ისეთივე კარგი და დაძაბული, როგორც წინამორბედები.

ხუთშაბათს გერმანელთა თავკაცმა ერიხ რიბეკმა ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ჰოლანდიელებთან საპაექროდ მოემზადებიან.

რიბეკმა გუნდში დააბრუნა ვეტერანი ლოთარ მათეუსი, რომელსაც ქვეყნის ღირსება 129 შეხვედრაში დაუცავს. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ხორვატებთან 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ ბერტი ფოგტსმა მათეუსზე უარი თქვა, თუმცა მოგვიანებით გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ თავად ბერტი ფოგტსი მოკვეთა. ერთი სიტყვით, 1980 წლის ევროპის ჩემპიონი მათეუსი ნაკრებშია.

მიწვეულთა შორისაა ფრანგული პსჟ-ს თავდამსხმელი კრისტიან ვიორნსი, რომელიც ერიხ რიბეკმა პირველად გამოიძახა. ნაკრებში იხმეს დორტმუნდის „ბორუსის" შესანიშნავი მეკარე შტეფან კლოსი. გერმანელთა ეროვნულ გუნდში დებიუტის შანსი ამ ბოლო დროს ათამაშებულ ალექსანდრ ციკლერსაც აქვს.

მთლიანად გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება : მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), შტეფან კლოსი (დორტმუნდი), იენს ლემანი (მილანი, იტალია); მცველები — მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი); ნახევარმცველები — მარიო ბასლერი, იენს იერემისი, ტომას შტრუნცი (ბაიერნი), შტეფან ბაინლიხი, კარსტენ რამელო (ლევერკუზენი), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი, ინგლისი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), ანრეას მიოლერი, ლარს რიკენი (დორტმუნდი); თავდასხმელები - ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), ალექსანდრ ციკლერი (ბაიერნი).

# საქმე გაიჩარხა

იუგოსლავიის და ირლანდიის ნაკრებთა 10 ოქტომბრიდან 18 ნოემბრისთვის გადადებული შეხვედრა ერთი აურზაურის მიზეზად რომ იქცა, ცნობილი ამბავია. გეხსომებათ, რომ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ყველაზე მეტად ვიზების ამბავმა ალაშფოთა. კერძოდ, მათ 10 ოქტომბრისათვის აღებული ჰქონდათ იუგოსლავიაში შესასვლელი ვიზები და იმედოვნებდნენ, რომ 18 ნოემბრისათვის მათი ხელახალი აღება აღარ დაჭირდებოდათ, მაგრამ სლავებმა პირი ტეხეს და კუნძულებს საელჩოში ხელახალი სირბილი მოსთხოვეს.

ირლანდიელებმა საქმეში ცალკე უეფა და ცალკე თავიანთი საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩარიეს: სატელეფონო ზარებმა და ფაქსების გაგზავნა-მიღებამ შედეგი გამოიღო.

„ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დახმარება გვთხოვა. ჩვენც გამოვეხმაურეთ კოლეგებს დავუკავშირდით იუგოსლავიის მთავრობას და საქმე გავჩარხეთ: 10 ოქტომბრისათვის აღებული ვიზები ირლანდიის დელეგაციას 18 ნოემბრისათვის გამოადგება" - განაცხადა იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატი** თავდამსხმელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გორან ვლაოვიჩი მზადაა დატოვოს ესპანური „ვალენსია". საქმე ის გახლავთ, რომ აგვისტოში გაკეთებული თიაქრის ოპერაციის შემდეგ იგი თვლის, რომ კვლავ აღიდგინა ძველებური ფორმა, გუნდის მწვრთნელი კლაუდიო რანიერი კი სულ სხვა აზრისაა. „ეს ვითარება თუ არ შეიცვლება, „ვალენსიაში" ერთ დღესაც ვერ გავჩერდები. დროის გაცდენა ჩამთვის ბევრის დაკარგვს ნიშნავს" — უთხრა ვლაოვიჩმა ჟურნალისტებს.

**ბელგიელი** თავდამსხმელი ლორან დელორგი ინგლისურ „ქოვენტრი სიტიში" გადავიდა. გარიგება მას მერე შედგა, რაც პრემიერლიგის კლუბი „გენტისთვის" 2,08 მილიონი დოლარის გადახდას დაყაბულდა. დელორგი 19 წლის ჭაბუკია, რომელსაც ბელგიელები 21 წლამდელთა ნაკრებში ათამაშებენ, „ქოვენთრი" კი ხუთნახევარი წლით დაიტოვებს. სხვათა შორის, ეს თავდამსხმელი „გენტში" დიდხანს არ ყოფილა. ამ კლუბთან მან გასულ ზაფხულს დადო კონტრაქტი, მაგრამ ძალიან იყოჩაღა, 10 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო და ხელად მიიპყრო მდიდარ ინგლისელთა ყურადღება. „ჩვენ იგი მომავლის იმედით შევიძინეთ" — განაცხადა „ქოვენთრის" მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა — „თუმცა ის დღესვე ისე თამაშობს, რომ არაა გამორიცხული უახლოეს მომავალშივე გავსინჯოთ ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში."

**ინგლისელი** ვეტერანი პიტერ ბერდსლი 37 წლისაა, მაგრამ ფეხბურთელობას თავს არ ანებებს. ბოლოს იგი „ბოლტონში" თამაშობდა, სადაც კონტრაქტის ვადა გაელია და თავისუფალი აგენტის სტატუსით ლონდონის „ფულემში" მივიდა. „ფულემი" მეორე დივიზიონის გუნდია, რომელიც პირველ დივიზიონში ასვლას ლამობს და მწვრთნელად ცნობილი კევინ კიგანი ჰყავს. „ფულემის" მეპატრონეა მოჰამედ ალ ფაედი, მილიონერი, იმ დოდი ალ ფაედის მამა, რომელიც ბრიტანეთის პრინცესა დაიანასთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა. კიგანმა თურმე გააფრთხილა ბერდსლი, ცოტა ხანში ძირითად შემადგენლობაში ავტომატურად ველარ მოხვდები, მანამდე კი შენი გამოცდილება ძალიან გამომადგებაო. ბერდსლის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 1986-96 წლებში 59 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**ჩეხეთის** ნაკრების მეკარე პაველ სრნიჩეკი ინგლისურ „შეფილდ უენსდეიში" ორნახევარი წლით გადავიდა. არაა გამორიცხული, მან პირველი შეხვედრა ჩაატაროს ახალ გუნდში, ძველის, „ნიუკასლ იუნაიტედის" წინააღმდეგ. სრნიჩეკი 30 წლისაა. ნიუკასლიდან წასვლის შემდეგ კი სამშობლოში, ოსტრავის „ბრანიკში" თამაშობდა, ოღონდ ხანგრძლივი ხელშეკრულებით არ ყოფილა მასთან შეკრული, ყოველ ტურში შემდეგზე ურიგდებოდა. ორი კვირის წინ ჩეხი გოლკიპერი შეფილდში ჩავიდა, სადაც ამ ხნის მანძილზე ივარჯიშა და კონტრაქტიც გააფორმა. სრნიჩეკს „ნიუკასლში" შვიდი სეზონი აქვს გატარებული, ჩაატარა 185 შეხვედრა, მერე კი შაკა ჰისლოპსა და შეი გივენს კონკურენცია ვეღარ გაუწია.

**ინგლისში** „ლივერპულის" ორი მთავარი მწვრთნელისგან ერთ-ერთმა, ცნობილმა როი ევანსმა განაცხადა, რომ თანამდებობას სტოვებს და გუნდის მართვის სადავეებს მთლიანად ფრანგ კოლეგას, საფრანგეთის ნაკრების ძველ თავკაცს, ჟერარ ულიეს უტოვებს. როგორც ამბობენ, ევანსი ამით არ დაჩაგრულა. პირიქით, იერარქიულ კიბეზე მან ზევითაც კი შეიძლება გადადგას ნაბიჯი და გენერალურ მენეჯერად მოევლინოს კლუბს. რაც ულიე და ევანსი ერთად მუშაობენ, ეს კი გასული ზაფხულის მერე ხდება, „ლივერპულმა" ბოლო რვა თამაშში ერთადერთხელ გაიმარჯვა.

**ინგლისური** „ჩელსი" ყვავილების წინააღმდეგ — ასე შეიძლება ეწოდოს ამბავს, რომელიც გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა" აცნობა საზოგადოებრიობას. თურმე ნუ იტყვით და ამ ლონდონურ კლუბს თავისი ადგილსამყოფლის გადაკეთება-გალამაზება განუზრახავს, საამისოდ 130 მილიონი გირვანქის დახარჯვა ჩაუფიქრებია და პროექტიც შეუდგენია, რომლის თანახმადაც ჩელსი ვილიჯისკენ ფეხით მოსიარულეთა გზაც უნდა გაიჭრას, მაგრამ მისდა საუბედუროდ სწორედ ამ ტერიტორიაზე ხარობს უიშვიათესი, გადაშენების პირას მისული ორქიდეა, რომელსაც ღონიერი დამცველები გამოუჩნდნენ. ორქიდეას, რომელიც მხოლოდ გაზაფხულზე ყვავილობს, მხარში ბუნებისა და გარემოს დაცვის სოლიდური ორგანიზაციები უდგანან. ომი ახალდაწყებულია და საეჭვოა, რომ „ჩელსის" ფულიანმა თავკაცებმა ის ადვილად მოიგონ. შესაძლოა გაგვიკვირდეს, მაგრამ ბრიტანეთში მართლა იცავენ ფლორასა და ფაუნას. „ჩელსის" მოწინააღმდეგე ორგანიზაციებს ყვავილის ამბავი ქრთამის გამოსაძალავად არ მოუგონებიათ.

**დანიელმა** მეკარემ, ყოველმხრივ პატივცემულმა და დაფასებულმა პიტერ შმაიხელმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წავა. „ინგლისის ჩემპიონატში ძალიან ბევრი მატჩია და უკვე მიჭირს ისე მომზადება, „იუნაიტედს" რომ სჭირდება" — განაცხადა შმაიხელმა, რომელიც ნაკრებში თამაშისთვის თავის დანებებას სულაც არ აპირებს.

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი თავისმა კლუბმა, მიუნხენის „ბაიერნმა" დააჯარიმა. მიზეზი: იგი დაუდევრად თამაშობს და ძალიან ბევრ ყვითელ ბარათებს იღებს. „ბაიერნმა" ფრანკფურტის „აინტრახტთან" 0:1 რომ წააგო, ელბერმა სეზონში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დაჯარიმდა კიდეც 5 ათასი მარკით ანუ 2964 დოლარით. „როდესაც წესებს პატივს არ სცემ, ცუდ შედეგს მოიმკი" — თქვა გაბრაზებულმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა. დაუდევრობის გამო ოქტომბერში „ბაიერნმა" შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერიც დააჯარიმა. ეფენბერგის დასჯის მიზეზი საჭესთან ნასვამი ჯდომა გახლდათ, ბასლერი კი ლუდის ფესტივალზე ძალიან დიდხანს დაყოვნებულა.

**პოლონელი** გამომძიებლების თქმით, მათ მიაგნეს ადამიანს, რომელმაც ოქტომბერში, კრაკოვში, იტალიური „პარმასა" და „სკუადრა აძურას" ფეხბურთელი დინო ბაჯო დაჭრა. ბაჯო კრაკოვში უეფას თასზე „ვისლასთან" სათამაშოდ იყო ჩასული. შეხვედრა 1:1 დასრულდა, ტრიბუნიდან ნასროლი დანა კი ბაჯოს თავში მოხვდა. „ჩვენ უკვე გვყავს ეჭვმიტანილი. ახლა პროკურატურას მისი დაპატიმრებისა და სასამართლოზე გაყვანის ორდერსაც გამოვართმევთ" — განუცხადა სააგენტო „როიტერს" კრაკოვის პოლიციის წარმომადგენელმა. მან, ცხდია, ეჭვმიტანილის სახელი და გვარი არ დაასახელა, მაგრამ თქვა, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა. „ვისლას" ხელმძღვანელობა ცდილობდა საქმე ისე მოექცია, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ჩაეწერათ — არა დანის, არამედ ქვის ან რაიმე სხვა საგნის სროლა, მაგრამ ტელევიზიის მიერ ჩაწერილ მასალაში ჩანს, რომ ის საგანი უფრო დანაა, ვიდრე სხვა რამ.

**პორტუგალიელი** ჭაბუკი ნახევარმცველი, „ბენფიკას" ფეხბურთელი უგო ლიალი ესპანურ „ბარსელონას" თავისთვის მოსდომებია. ლიალი 18 წლისაა, წლეულს ჩემპიონთა თასზე უკვე ათამაშეს და საყოველთაოდ ძალიან დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. „ბარსელონას" მხრივ მოლაპარაკებებს კლუბის საფეხბურთო დირექტორი ლორენსო სერა ფერერი აწარმოებს. პორტუგალიელ ვარსკვლავ-ბიჭუნას „ბენფიკასთან" 2004 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. მას „ბარსელონას" გარდა ესპანეთის მეორე დიდი გუნდი, მადრიდის „ატლეტიკოც" უტრიალებს. საუბარია, რომ „ბენფიკა" ლიალს 13,18 მილიონ დოლარად ყიდის.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| ვერდერი — კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰანზა — მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| **14 ნოემბერი** | | | |
| ლევერკუზენი — ნიურნბერგი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ჰამბურგი — აინტრახტი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| დუისბურგი — ბოხუმი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| კოტბუსი — ობერჰაუზენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მაინცი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰანოვერი — კიკერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უნტერჰახინგი — ბერლინი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| კიოლნი — ფიურტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ზანკტ პაული — ფორტუნა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ულმი — ურდინგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| არმინია — ვატენშტაიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| **16 ნოემბერი** | | | |
| კარლსრუე — გიუტერსლო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| არსენალი— ტოტენჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჩელსი — უიმბლდონი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლივერპული — ლიდსი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მანჩესტერი — ბლექბერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| საუთჰემპტონი — ასტონ ვილა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვესტ ჰემი — ლესტერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ქოვენთრი — ევერტონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **16 ნოემბერი** | | | |
| ნოტინგემი — დერბი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| ბარნსლი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ბირმინგემი — ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბოლტონი — ტრანმერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ბრედფორდი — სვინდონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ქრიუ — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კრ. პალასი — ბრისტოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გრიმსბი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პორტ ვეილი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბერი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| სტოკპორტი — უოტფორდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვესტ ბრომვიჩი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| რენი — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მარსელი — ლანსი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| ბასტია — მონაკო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — სოშო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ტულუზი — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მონპელიე — ოსერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| მეცი — ნანტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ლე ავრი — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სტრასბური — ლორიანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **15 ნოემბერი** | | | |
| ბარი — მილანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ემპოლი — კალიარი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ინტერი — სამპდორია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| პარმა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| პიაჩენცა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| რომა — იუვენტუსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სალერნიტანა — პერუჯა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ვენეცია — ლაციო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ვიჩენცა — ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| ტერნანა — რავენა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ბრეშა — ნაპოლი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ჩეზენა — რეჯინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კოზენცა — მონცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ფ. ანდრია — ტრევიზო | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| ჯენოა — კრემონეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ლუკეზე — ლეჩე | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| რეჯანა — კიევო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — პესკარა | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| ვერონა — ატალანტა | 1,6 | 2,8 | 6,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| რეალი — სელტა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| დეპორტივო — ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვილიარეალი — ატლეტიკო | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ვალიადოლიდი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა — ტენერიფე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ოვიედო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ბეტისი — სოსიედადი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სარაგოსა — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რასინგი — სალამანკა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ესტრემადურა — ვალენსია | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| ეიბარი — ორენსე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ბარსელონა B — ლეგანესი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლას პალმასი — კომპოსტელა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ოსასუნა — მალაგა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ალბასეტე — მერიდა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტოლედო — რეკრეატივო | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| სპორტინგი — სევილია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მალიორკა B — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ატლეტიკო B — ლეიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რაიო ვალეკანო — ლოგრონიესი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| აკადემიკა — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| **14 ნოემბერი** | | | |
| ამადორა — გიმარაეში | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| კამპომაიორენსე — პორტო | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| შავეში — ლეირია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სეტუბალი — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სპორტინგი — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ბენფიკა — ბრაგა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| რიუ ავე — მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეირამარი — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| გრააფსხაპი — როდა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მაასტრიხტი — აკლმაარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნაიმეგენი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ტილბურგი — ბრედა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვიტესი — უტრეხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვალვაიკი — სპარტა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ფეიენოორდი — სიტარდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| აიაქსი — ეინდჰოვენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| სტ. ტრუიდენი — გენკი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლომელი — გენტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოკერენი — ლიერსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მუსკრონი — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვესტერლო — ბევერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ანდერლეხტი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეკერენი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ბრიუგე — შერლერუა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ჰარელბეკი — ოსტენდე | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| ლკს — ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გურნიკი — რუხი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პოგონი — ვისლა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ოდრა — ბელხატოვი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პოლონია — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სტომილი — ამიცა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლეხი — რაძიონკოვი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,7 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ზაგლებე — კატოვიცე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| ქოჯაელი — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| **14 ნოემბერი** | | | |
| ერზურუმი — ალთაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქარაბუქი — საქარია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ისთანბული — ბურსა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ადანა — ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გენჩლერბირლიგი — ანთალია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| გალათასარაი — ტრაბზონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| სამსუნი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| დანდი — კილმარნოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მოზერველი — ჰართსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეინჯერსი — აბერდინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **14 ნოემბერი** | | | |
| გრაცერი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |
| ტიროლი — შტაირი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ლინცერი — შტურმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| რაპიდი — აუსტრია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| სერვეტი — გრასჰოპერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **14 ნოემბერი** | | | |
| ციურიხი — ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ბაზელი — სტ. გალენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუცერნი — ქსამაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| არაუ — იანგ ბოისი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სიონი — ლუგანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

## ჰოკეი

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 ნოემბერი** | | | |
| ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — ბოსტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დეტროიტი — დალასი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კოლორადო — ტამპა ბეი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვანკუვერი — ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| **14 ნოემბერი** | | | |
| ბოსტონი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ბუფალო — ჩიკაგო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტორონტო — ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| მონრეალი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| პიტსბურგი — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| სენტ ლუისი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფინიქსი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| **15 ნოემბერი** | | | |
| ჩიკაგო — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| **16 ნოემბერი** | | | |
| კალგარი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-13 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (მე-13 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (მე-14 ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-9 ტური) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-10 ტური) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-11 ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-14 ტური) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პოლონეთი (მე-15 ტური) | 20 და ნაკლები | 1,9 | 22 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (მე-12 ტური) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ის უბედური ლენინი

მეორე ქართული ჰიმალაური ექსპედიციის წევრმა დავით ჩანტლაძემ, რომელიც მერაბ ნემსიწვერიძესთან ერთად თანაგუნდელებზე ადრე დაბრუნდა ნეპალიდან, როგორც ვიუწყებოდით ინტერვიუში „მანასლუს კაცი მოუკლავს“, გვიამბო იმის თაობაზე, თუ ჩვენი და სხვა ქვეყნის მთამსვლელებიც როგორ არ გაიკარა ახლოს ამ მწვერვალმა.

მან ისიც გვითხრა, რომ მანასლუზე, დედამიწის თოთხმეტიდან ამ ერთ-ერთ რვაათასიანი ბუმბერაზის ფერდობზე ერთი კოლუმბიელი ალპინისტი ჩვენი წამოსვლის მერე დაღუპულა და ვინ იცის, იქნებ მისი ბედი გაიზიარეს სხვებმაც, ვინც იმ რაიონის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლას მანამდე უშედეგოდ ცდილობდნენო.

სამწუხაროდ დავით ჩანტლაძის ეჭვი გამართლდა — კიდევ ორი მთამსვლელი დაღუპულა, რაზეც უკვე ჩვენი ექსპედიციის მეთაურმა გია თორთლაძემ გვიამბო. ისიც და საქართველოს მთამსვლელთა გუნდის დანარჩენი წევრები: ბიძინა გუჯაბიძე, გელა ოთარაშვილი, ზურაბ კუჭავა და ექსპედიციის ექიმი ზურაბ ასტახიშვილი გაწბილებულნი დაბრუნდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, დაბრუნდნენ ჯანმრთელნი და საღ-სალამათნი. არადა, როგორც იტყვიან, ერთი ფეხის ნაბიჯზე გამოასწრეს მანასლუს საშინელ რისხვას.

— წლეულს მთელ ჰიმალაიზე, განსაკუთრებით კი მანასლუზე და მის რაიონში აღმართულ სხვა რვაათასიანებზე დჰაულაგირსა და ანაპურნაზე, საშინელი დიდთოვლობა იყო, — გვიამბობს გია თორთლაძე — საკვირველი ის იქნება, მწვერვალებზე, განსაკუთრებით დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე რომ არ თოვდეს, რომ არ იყოს ქარბუქი და ქარიშხალი, მაგრამ ისეთ დიდთოვლობას, ასეთ გადაუღებელ თოვას და უამინდობას ჯერ არ შევსწრებივარ. ჰიმალაიზე ნაადრევი ზამთარი დაიწყო, ამიტომაც გაგვიგრძელდა იქ ყოფნა. ამდენხანს ჯერ არცერთ ექსპედიციაში არ ვყოფილვარ. რაკი მანასლუს ფერდობებს დაგეგმილზე მეტხანს შევრჩით, საკვები ბოლოს მთლად გამოგველია. მერე სოფელ სამაში ჩავდიოდით ბრინჯისა და რაღაც-რაღაცეების საყიდლად და ამასობაში ფულიც შემოგვაკლდა. თვითმფრინავის ბილეთები, ცხადია, წინასწარ გვქონდა აღებული, მაგრამ რაკი გათვალისწინებულზე დიდხანს დარჩენამ მოგვიწია, გამოფრენის ვადა ორჯერ შევაცვლევინეთ.

ერთი სიტყვით, მწვერვალზე ასვლის ნებართვის ვადის გარდა ყველაფერი შემოგველია, მათ შორის იმ რაიონში ყოფნის დროსაც საკმაოდ გადავაცილეთ და ამის გამო დასაჭერები თუ არა, რაღაც ფორმით დასასჯელები ვიყავით, მაგრამ გადავრჩით.

**— თქვენზე ადრე დაბრუნებულ დავით ჩანტლაძესთან ინტერვიუ რაკი უკვე გამოვაქვეყნეთ, მოდით, ახლა იმაზე ვისაუბროთ, რაც მისი ჩამოსვლის მერე მანასლუს ფერდობებზე მოხდა.**

— დიახ, ის ინტერვიუ წავიკითხე და სხვა წერილებიც, რომლებიც ჩვენს ექსპედიციას ეხებოდა. ამისთვის და იმისთვისაც, რომ მუდამ იხსენიებთ ექსპედიციის გენერალურ სპონსორ „ომეგას“, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „სარბიელის“ რედაქციას. რომ არა „ომეგა“, ეს ექსპედიცია იქნებ ჩაშლილიყო.

**— მაგრამ მწვერვალზე ვერ ახვედით და ამის გამო „ომეგას“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილო ხომ არაა?**

— უკმაყოფილონი ყველანი ვართ. „ომეგას“ ხელმძღვანელებს ჯერ არ შევხვედრივართ, მაგრამ ჰიმალაისკენ გამგზავრებამდე მათთან ექსპედიციის შესაძლო წარუმატებლობაზეც ვისაუბრეთ. მაშინ აქეთ დაგვამშვიდეს, ვიცით მთამსვლელები ყოველთვის ვერ ადიან მწვერვალზე. მთავარია, შინ მშვიდობით დაბრუნდეთ, ასვლით კი ახლა თუ ვერა, მერე ახვალთო.

**— მართალი უთქვამთ, მაგრამ იმას გეკითხებოდით, ჩანტლაძისა და ნემსიწვერაძის დაბრუნების მერე მანასლუს ფერდობებზე რა მოხდა.**



ქართველებმა ეს ყინულის კედელი დაძლიეს



ჩვენები ცასაც მიუახლოვდნენ, მაგრამ...

— დათოს ნათქვამს გავიმეორებ — მწვერვალისკენ მიმავალ „გზაზე“ ყველაზე ზემოთ ჩვენ ავედით. პირველი მეტრებიდან ბოლომდე ჩვენ გავკვალეთ „ბილიკი“. ჩვენ დავამუშავეთ მარშრუტი და თოკებიც ჩვენ დავკიდეთ. დანარჩენი ექსპედიციის წევრებს ხელი არაფერში შეუშველებიათ. ისინი სულ გვატყუებდნენ, აი, ახლა ეს მონაკვეთი თქვენ დაამუშავეთ, მერე კი ჩვენ გავაგრძელებთო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. მთელი ჩვენი თოკები გამოვიყენეთ და დავკიდეთ. მეტი ერთი მეტრიც აღარ დაგვრჩა. თითო თოკი 50-მეტრიანია და 3 კილოგრამს იწონის. სულ 2650 მეტრზე დავკიდეთ თოკები. გამოდის, რომ გამოგვიყენებია 53 თოკი, რაც 160 კილოგრამს იწონის.

მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშის მოლოდინში თერთმეტი დღით, ვინ იცის მერამდენედ, უამინდობამ იქ მყოფი ყველა ექსპედიციის წევრები საბაზო ბანაკში გამოგვკეტა. კოლუმბიელებს ჰქონდათ ინტერნეტი და იმის საშუალებით შევიტყვეთ, რომ მანასლუს ფერდობებზე რამდენიმე დღით თოვა შეწყდებოდა და ჩვენც ზემოთ წავედით. კარვები და თოკები გზადაგზა თოვლიდან ამოსათხრელი გაგვიხდა. 7300 მეტრზე ასულებს სიმაღლეში კიდევ კილომეტრამდე გვრჩებოდა. მწვერვალამდე სულ ცოტა 400 მეტრზე უნდა დაგვეკიდა თოკები. საამისოდ ოთხი თოკი იყო საჭირო და კიდევ ორი, რათა ჩაბმულებს გვეტარებინა, მაგრამ, როგორც ვთქვი, ყველა ჩვენი თოკი მარშრუტზე ეკიდა. შეთანხმებისამებრ შერპებთან ერთად კვალდაკვალ უნდა ამოსულიყვნენ ავსტრიელები და ბულგარელები. შვიდის ნაცვლად მეორე ბანაკში ორი ბულგარელი და ერთი ავსტრიელი ამოვიდა, თანაც ერთი თოკის ამარა. სხვებმა სიხარული ვეღარ შეძლეს. ისინი ქვემოთ დაბანაკდნენ და ხვალ ამოვალთო. არ ამოვიდნენ. ორი დღე ამაოდ ვუცადეთ. მერე ჩვენც ქვემოთ ჩავედით. უქმად როდემდე უნდა ვმჯდარიყავით.



გია თორთლაძე

ამასობაში ამინდი ისევ გაფუჭდა. აშკარა იყო, ამინდს აღარაფერი ეშველებოდა და ბანაკებსაც ვკარგავდით, თოკებსაც. ამიტომ თოკები ჩამოვხსენით, ბანაკებიც ავყარეთ და დავეშვით.

ეს რომ 200 მეტრით ქვემოთ დაბანაკებულმა კოლუმბიელებმა გაიგეს, ლამის გაგიჟდნენ, ასვლა გვინდა ვცადოთ და ახლა რაღა გვეშველებაო. ვურჩიე, ხელი აეღოთ იერიშზე, რადგან მარშრუტზე აღარც თოკები იყო და თანაც ბოლო დღეებში ისედაც ზვავსაშიში ფერდობები უფრო სახიფათო გახდა. მაგრამ კოლუმბიელებმა არ დაიშალეს. ბულგარელებიც ზემოთ დარჩნენ 7000 მეტრზე, სადაც ჩვენი ბანაკი იყო.

ჩვენ რომ სოფელ სამასთან დავეშვით და მის ახლოს მდებარე კოლუმბიელთა საბაზო ბანაკს მივუახლოვდით, დავინახეთ, იქიდან კვამლი მოდიოდა. ახლოს რომ მივედით, ვნახეთ, რომ კოლუმბიელთა შერპებს სალოცავი დროშები აეფრიალებინათ და წიწვებს წვავდნენ. გულმა რეჩხი მიყო, რადგან შერპები ასეთ რიტუალს მაშინ ასრულებენ, როცა მწვერვალზე ასვლას ზეიმობენ. ან მაშინ, როცა თავიანთი ექსპედიციის წევრი მთაში ეღუპებათ. მწვერვალზე ამსვლელი არავინ იყო, შერპთა რიტუალი ტრაგედიას ნიშნავდა.

გავიგეთ, რომ კოლუმბიელებს რაციით მათთვის ერთი თანაგუნდელის დაღუპვა უცნობებიათ. ორ კოლუმბიელს ჩვენს ბანაკთან, რომელიც ერთი დღით ადრე მივატოვეთ, თავს საშინელი ზვავი დატყდომია და ერთი დაღუპულა. იმ უბედურს ლენინი ერქვა და ქართველები ხუმრობით ვლადიმერ ილიჩს ვეძახდით. მეორე კოლუმბიელი ქალი, ზვავს 150 მეტრი უთრევია, მაგრამ რაღაც სასწაულად ცოცხალი გადარჩა.

დაიღუპა ერთი ბულგარელიც. ხრისტო ერქვა. მისმა დაღუპვამ ქართველებს ძალზე დაგვწყვიტა გული. ერთხელ შემოაღამდა, გზა აებნა და ჩვენს ბანაკს მოადგა. ის ღამე ჩვენს კარავში გაათენა და ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. უბის ჯიბეში ცოლ-შვილის სურათები ჰქონდა, ხშირად ათვალიერებდა, ჩვენც გვაჩვენებდა.

ხრისტოც თავის სამ თანამემამულესთან და ერთ თურქთან 7000 მეტრზე ჩვენს ნაბანაკარში დარჩა. მათაც დაშვებას და იერიშზე ხელის აღებას ისევე ამაოდ ვურჩევდით, როგორც კოლუმბიელებს, მაგრამ ბულგარელები დიდ სიმაღლეზე ხუთი დღის ყურყუტისა და დაღლილობისგან ჭკუაზე ვეღარ იყვნენ და საღი აზროვნების უნარი წართმეოდათ. თანაც ზოგს ხელები მოყინვოდა, ზოგს ფეხები. ბოლოს მაინც დაშვება დაუწყიათ, მაგრამ დასუსტებულ ხრისტოს ფეხი დაცდენია, გადმოვარდნილა და 600 მეტრი უფრენია. ცხედარი კი იპოვეს, მაგრამ ცხადია, მისი ჩამომსვენებელი არავინ იყო.

საერთოდ, ბულგარელების ექსპედიცია ძალზე არაორგანიზებული იყო. იგი კომერციული ექსპედიცია იყო და ბორის დიმიტროვი მეთაურობდა, ოღონდ უთაოდ. უკაცრავად და, ფეხებზე ეკიდა ექსპედიციის წევრები: სულ იმას ამბობდა, კარგი იქნება, თუ ამათგან ნახევარი მაინც ცოცხალი გადარჩებაო... ტრაგედიის ასაცილებლად იგი არაფერს აკეთებდა. მეტიც, თავისი ხალხი მწვერვალის ფერდობებზე უპატრონოდ მიატოვა, თავად კატმანდუში ჩავიდა და შორტებით სეირნობდა, დროდადრო ტურისტულ ლაშქრობებს აწყობდა და საღლაც დაბორიალობდა. ხრისტოს დაღუპვის ამბავი მან კატმანდუში ჩვენგან რომ გაიგო, როგორ ფიქრობთ რა რეაქცია ჰქონდა?

**— როგორი უნდა ჰქონოდა, თავზარი დაეცემოდა.**

— ჰო, შუბლზე ხელი შემოირტყა და თქვა, აუ, როგორ მეწყინა. გაისად ევერესტზე ვაწყობ ექსპედიციას და ხრისტო ისევ ჩემი კლიენტი უნდა ყოფილიყოო.

**— რას ჰქვია „კლიენტი“?**

— ხომ გითხარით, კომერციული ექსპედიცია იყო-მეთქი, ეს კი ნიშნავს, რომ ბორისლავ დიმიტროვი მწვერვალზე ასვლის მსურველებს აგროვებს, მათგან იმაზე მეტ თანხას იღებს, ვიდრე ეს რეალურად საჭიროა. ერთი სიტყვით, დიმიტროვი ამგვარ ბიზნესს მისდევს. მისი ცემა გვინდოდა, მაგრამ იმ ნაძირალას გულისთვის შეიძლება ნეპალის ციხეში ამოგვეყო თავი.

**— კი მაგრამ, მას პასუხს არავინ აგებინებს?**

— იურიდიულად მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, მორალი და ზნეობა კი ეტყობა არ აწუხებს.

სხვათა შორის, მან შემომთავაზა საგაისოდ დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასასვლელად მთამსვლელებს ვაგროვებ და წამოდიო. მასთან ევერესტზე კი არა ჭკუათმყოფელი კაცი უბრალო ტურისტულ ლაშქრობაშიც არ წავა. ისე კი, როგორც ადრე გითხარით, რამდენიმე თვის წინათ ევერესტზე საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. ეს საქმე გადაწყვეტილია და მასში ალბათ სხვა ქართველებიც იქნებიან.

**— დიახ, ამის თაობაზე თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველს. უფრო დაწვრილებით მერე ვისაუბროთ, დღეს კი ის გვითხარით, მანასლუს მეზობელ რვაათასიანებზე სხვა ქვეყნების მთამსვლელებმა როგორ დაასრულეს ექსპედიციები?**

— ცუდად. ანაპურნაზე ვერავინ ავიდა, ვერც დჰაულაგირზე. იქ ოთხი ექსპედიცია იყო. მათი ერთი წევრი დაიღუპა...

**— აღმოსავლეთ ჰიმალაის რვაათასიანებზე?**

— იქაც უჩვეულო დიდთოვლობა იყო, მაგრამ შედარებით ნაკლები. კანჩენჯანგაზე ერთი ექსპედიციის წევრები ამაოდ დაშვრნენ. ევერესტზე ხუთი ექსპედიციის წევრთაგან მიზანს მხოლოდ ორმა შერპამ მიაღწია. ამათგან ერთს — სახელგანთქმულ კაზუ შერპას სარეკორდო ასვლა ჰქონდა და მიზანს მიაღწია. მწვერვალზე, მანამ ამინდები გაფუჭდებოდა, გავარდა და 20 საათსა და 24 წუთში აირბინ-ჩამოირბინა. მას მარშრუტის სხვადასხვა მონაკვეთზე სხვა შერპები ხვდებოდნენ და რაღაც მონაკვეთზე მონაცვლეობით მიჰყვებოდნენ... ბოლო მონაკვეთზე, 8000 მეტრზე შემხვედრი შერპი მას ბოლომდე გაჰყვა და ორივენი ასე ავიდნენ მწვერვალზე.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ კაზუ შერპა მეცხრედ ავიდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე და იგი ამაშიც რეკორდსმენი გახდა.

ისიც საინტერესოა, რომ ძველი რეკორდი ჩრდილოეთის მხრიდან დამყარდა.

**— ამ ორ მარშრუტს შორის რა განსხვავებაა?**

—ჩრდილოეთისა 6500 მეტრის სიმაღლიდან იწყება და სამხრეთისაზე ცოტა რთულია. სამაგიეროდ, სამხრეთის მარშრუტი უფრო გრძელია. კაზუ შერპამ ასვლა გაცილებით ქვემოდან, 5200 მეტრიდან დაიწყო.

რაც შეეხება დანარჩენ ასვლებს, აღსანიშნავია თითქმის რვაათასიან ლჰოცეზე შარზე რუსთა მეტად ძლიერი თექვსმეტკაციანი ექსპედიციის 4 წევრის ასვლა.

ასე რომ, ამ სეზონში რვაათასიანებზე მეტად წარუმატებელი ცდები იყო. სულ მხოლოდ სამმა კაცმა მიაღწია მიზანს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ჩვენი მთამსვლელების მიერ ამოვლილ ხეობაში ნისლი ჩაწოლილა



ისინი ახლა ევერესტზე ფიქრობენ

# პიტს მზე მოენატრა

**სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. დარბაზი, ხალიჩა საპრიზო 825 ათასი $**

პიტ სამპრასს რომ ჯიმი კონორსის რეკორდის გაუმჯობესება და ზედიზედ მეექვსედ სეზონის პირველ ჩოგნად დასრულება სურს, საიდუმლო არავისთვის არის. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკელმა თავი გადადო, მზიანი ფლორიდა ორი თვით მიატოვა და, მეორედ თავის კარიერაში,


REUTERS სტოკჰოლმიდან

ჯეისონ სტოლტენბერგი

მიყოლებით ექვს ტურნირზეც იასპარეზა. და ეს იმიტომ, რომ პიტს ამ რეკორდის გამაუმჯობესებლად საკუთარი თავის გარდა მომავალში არავინ ეგულება, ისტორიაში დარჩენა კი მისი მთავარი მიზანია.

„ამ მიღწევას გაუჯობესება არ უწერია. პირველ ჩოგნად გახდომა უსაშველოდ ძნელია, ამ ადგილის წლების მანძილზე შენარჩუნება კი ორმაგად რთულია და იგი ცხოვრების ყოველ ასპექტში რაიმეს დათმობას მოითხოვს. მეც ბევრი რამ გავილე მსხვერპლად ჩოგბურთის გამო (მათ შორის ძველი საცოლეც). არა მგონია, ამაზე ბევრი ჩემი კოლეგა დათანხმდეს" — განაცხადა შვედეთის ტელევიზიით პიტმა, რომელიც სტოკჰოლმს თავის მთავარ კონკურენტ მარსელო რიოსთან ქულათა უპირატესობის გასაზრდელად ეწვია.

მაგრამ სკანდინავიური მოგზაურობა მსოფლიოს პირველ ჩოგნისთვის მთლად სასურველად ვერ წარიმართა. ავსტრალიელ ჯეისონ სტოლტენბერგთან პირველი სეტის წაგების შემდეგ ჩვეულებრივ თავშეკავებულმა პიტმა ჩოგანი კორტზე დახეთქებით დაამტვრია, რისთვისაც მსაჯს შენიშვნას გამორჩა, მაყურებლებს კი — სტვენას. ამერიკელმა ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მესამე ხელის დასაწყისში საკუთარი მოწოდება დათმო და თავი ისევ მძიმე სიტუაციაში ჩაიგდო. 3:5-დან მოყოლებული იგი ბევრს ეცადა, 7 მატჩ-პოინტი გადარჩინა, როგორღაც ბრეიკ-პოინტსაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ 2 საათი და 16 წუთიანი ორთაბრძოლა მაინც ოზის სასარგებლოდ დასრულდა 7:6 (7:5), 4:6, 6:4.

„ასე მგონია, 7 კი არა, 15 მატჩ-პოინტი მაინც ვერ გამოვიყენე, ისიც ვიფიქრე, გამარჯვება ხელიდან გავუშვი-მეთქი, მაგრამ ბოლოში გამძლეობა მეყო. თავადაც გაოცებული ვარ, რომ მოვიგე. მაყურებლებს დაძაბული შეხვედრის ნახვა სურდათ, ამაზე უკეთეს სცენარს კი ფინალური სცენისთვის თავადაც ვერ მოვიფიქრებდი. კიდევ კარგი, იგი „ჰეფი-ენდით" დასრულდა" — გახარებული გახლდათ 28 წლის ავსტრალიელი, რომელმაც მსოფლიოს პირველ ჩოგანს ოთხი პირადი მარცხის შემდეგ აჯობა.

რაც შეეხება სამპრასს, მან კარგი თამაში არ დაუკარგა მეტოქეს, თუმც ისიც აღიარა, თავს გასავათებულად ვგრძნობო: „შევეცდები, სტოკჰოლმიდან ამაღამვე გავფრინდე. ამჟამად მზის სხივები და ჩოგბურთიდან დასვენება მჭირდება. დროა, შინ დავბრუნდე, განვიტვირთო და ჰანოვერის მსოფლიო ჩემპიონატს მზადყოფნაში შევხვდე".

სამაგიეროდ, პარიზის ღია პირველობის ფინალში სამპრასის გამამწარებელ გრეგ რუზეცკის პირველ წრეში არანაირი პრობლემები არ შექმნია. 20 წლის გერმანელ ტომი ჰასს მან საათზე ნაკლებში მოუგო 6:1, 6:4, ამ მცირე დროში კი 9 ეისის მოწოდებაც მოასწრო.

„პარიზის ტურნირმა საკუთარი ძალების რწმენა შემმატა. პიტის დამარცხება, ალბათ, ჩემი საჩოგბურთო კარიერის უდიდესი მიღწევაა. არა მგონია, ბევრს მოეგოს მისთვის ზედიზედ სამ სეტში — განაცხადა ინგლისელმა, რომელსაც თავდაჯერება და სტოკჰოლმში წარმატებით ასპარეზობა ჰაერივით სჭირდება მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად — მთავარია, თამაში ასე გავაგრძელო და ყველაფერს თავად მოევლება. ჰანოვერზე, ქულებზე ფიქრით კი თავს მაინცდამაინც არ ვიწუხებ".

პირველი წრე: უეინ არტურსი (ავსტრალია) — კაროლ კუჩერა (2, სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:3, 6:2; იონას ბიორკმანი (5, შვედეთი) — მარკ კევინ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:2; სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) — ანდრეას ვინსიგურა (შვედეთი) 6:3, 7:5; ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (10:8); ტაკაო სუძუკი (იაპონია) — ტომას ენკვისტი (8, შვედეთი) 6:4, 2:6, 6:4;

**ფილადელფია. აშშ ადვანტას ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 450 ათასი $**

ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ლაიფციგის ტურნირზე ტრიუმფით დაბრუნებულმა შტეფი გრაფმა უკვე ოკეანის გაღმა გადაინაცვლა და პრესტიჟული „ადვანტას ჩემპთიონატი" გამარჯვებითაც დაიწყო. დიდი გერმანელის მეტოქე თავადაც ტრავმებით გატანჯული ვეტერანი — მერი ჯო ფერნანდესი გახლდათ და ისევე, როგორც მათი წინა 16 შეხვედრა, ესეც ამერიკელისთვის სავალალოდ დასრულდა — 3:6; 6:7 (4:7)

„ბოლო ხანებში თავს შესამჩნევად უკეთ ვგრძნობ. იმედია, ტრავმები, რომლებმაც მთელი სეზონი ჩამაშხამა, წარსულს ჩაბარდება — განაცხადა მატჩის შემდეგ გრაფმა, რომელსაც „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატზე დარჩენილი უკანასკნელი, მეთექვსმეტე საგზურის მოსაპოვებლად მერვედფინალში რუსი ელენა ლიხოვცევას დამარცხებაღა სჭირდება — თუ ჩემპიონატზე მოვხვდები, ამას რა აჯობებს, მაგრამ ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ თამაში შემიძლია".

გრაფს სამსახური უნებლიედ ძველმა მეტოქემ — მონიკა სელეშმა (5) გაუწია. ამერიკელმა შტეფის მთავარ კონკურენტს, აქამდე მე-16 ადგილოსან რუმინელ ირინა სპირლეას აჯობა 6:3, 6:4. ზემოხსენებულმა ლიხოვცევამ კი გერმანელი მერვედფინალში მერვედ განთესილ სანდრინ ტესტიუსთან შეხვედრას გადაარჩინა ფრანგის 7:6 (7:4), 6:7 (2:7), 6:3 დამარცხებით.

პირველი წრე: ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 6:2; პატი შნიდერი (7, შვეიცარია) — სილვია ფარინა (იტალია) 7:6 (7:0), 4:6, 6:4; ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) — სანდრა საკიჩი (აშშ) 6:2, 6:0; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ტარა სნიდერი (აშშ) 6:2, 6:1; ემი ფრეზერი (აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 2:6, 6:2, 6:4.

# მარტინა ისევ მდევარია

წელიწადის იმ დროს, როდესაც ჩოგბურთელების უმეტესობას სეზონის მანძილზე დაგროვილი ტრავმების მოშუშებასა და თბილ თუ ცივ ქვეყნებში არდადეგების გატარებაზე უჭირავს თვალი, მარტინა ჰინგისი კლასიფიკაციაში დაკარგული პოზიციების დაბრუნებასა და თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე ფიქრობს: „სეზონის ბოლოს ყველა დაღლილია, მე კი ერთთვიანი შესვენება მქონდა და ენერგიით სავსე ვარ" — განუცხადა ჟურნალისტებს ნიუ იორკში მყოფმა შვეიცარიელმა.

„მსოფლიოს დედაქალაქში" მარტინას საქმე მართლაც რომ თავზე საყრელი ჰქონდა — ცალკერძ მომავალი კვირის „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ევალებოდა რეკლამის გაწევა, ცალკერძ საათების კომპანია „ომეგასთვის", რომელთანაც მრავალმილიონიანი კონტრაქტი აკავშირებს. 18 წლის ჩოგბურთელმა ამ მიზნით ცხენშებმული კარეტით მეხუთე ავენიუზე გაისეირნა, ხელზე მაჯის საათით და გამომცხვარი ღიმილით უამრავი სურათი გადაიღო, ბოლოს კი თავის ძირითად საქმიანობაზე სასაუბროდაც მოიცალა.

„ეს წელი შარშანდელივით წარმატებული არ ყოფილა, მაგრამ ტყუილად დაკარგულადაც ვერავინ ჩამითვლის — ავსტრალიის ღია პირველობა მოვიგე, აშშ-ისაზე ფინალში ვიყავი. ვიცოდი, რომ ეს სეზონი გაცილებით რთული გამოდგებოდა, იმდენი ტიტული მქონდა შესანარჩუნებელი, ამიტომ შევეცადე, საკუთარი თავისადმი ძალიან პრეტენზიული არ ვყოფილიყავი" — არადა, 18 წლის შვეიცარიელმა მართლაც ძალიან უკლო: შარშან ისტორიული დიდი სლემის მოპოვებას ერთადერთი მოგება დააკლდა(როლან გაროსის ფინალში), 12 ტურნირზე იმარჯვა და წაგებული მატჩები თითებზე დაეთვლებოდა. წლეულს კი უშუალო კონკურენტებთან — ლინდსი დევენპორტთან, ვინუს უილიამსთან, ანა კურნიკოვასთან, თუ მონიკა სელეშთან წვნეულ მარცხებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაისის შემდეგ არც ერთი ტიტული არ მიუთვლია და ერთი თვე იქნება, მსოფლიოს პირველი ჩოგნობაც დევენპორტს გადაულოცა.

„ალბათ, ბევრი რამ ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალია. როდესაც ყველას ამდენით უსწრებ, კონცენტრაციისა და მოტივაციის შენარჩუნება ძალიან ძნელია. მაგრამ ამასთან მაღალ დონეზე უკვე სამი ან ოთხი კი არა, 10 ან 15 ჩოგბურთელი ასპარეზობს და მოგებაც სულ უფრო ძნელი ხდება" -გამძაფრებულ კონკურენციას მოშორებულმა მარტინამ ეს ერთი თვე სასიამოვნო კომპანიაში გაატარა. რაკილა კოჭის ტკივილი ვარჯიშში ხელს უშლიდა, თავისი მეორე გატაცება — ცხენები გაიხსენა და სულ რჩეულ ბედაურებზე იჯირითა.


REUTERS ნიუ იორკიდან

ჰინგისმა მეხუთე ავენიუზე გაისეირნა

ბოლო დღეები კი ჰინგისმა ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში დაჰყო, სადაც საგანგებოდ მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადებოდა. „პირველი ის იქნება, ვინც ნიუ იორკში გაიმარჯვებს. ისევ მდევარი გავხდი, ჩემი ადგილის დაბრუნება მსურს და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ - ალბათ, დევენპორტის გასაგებად განაცხადა შვეიცარიელმა და ჩვეული ღიმილით დაასრულა - შარშან ვთქვი, წყვილებში კლასიფიკაციის გაუმჯობესება მინდა-მეთქი, რაც გადაჭარბებითაც შევასრულე. ახლა კი ისევ ერთეულების დრო დადგა".

**ავთანდილ სვანიძე**



# ბოსნიელმა ამერიკელს იტალიელობა დაუწუნა

კარლტონ მაიერსი იტალიის ნაკრების უდავოდ საუკეთესო კალათბურთელია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის (მათ შორის საქართველოსთან) იგი ნაკრებიდან დაითხოვეს. თამაშის დონე აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ნაკრების მწვრთნელი ბოგდან ტანევიჩი თვლის, რომ მაიერსის გული ეროვნულ ნაკრებს აღარ ეკუთვნის და მაშინ ვათამაშებ, როცა გონზე მოვაო და ეროვნულობის გრძნობას დაიბრუნებსო. ტანევიჩმა არ აპატია მაიერსს ის ამბავი, რომ კალათბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდთან ერთად არ გაემგზავრა და ცალკე თვითმფრინავით ჩავიდა ათენს. მაიერსი კომედიურ ფილმში გადაღებით იყო დაკავებული. ამასთანავე, კარლტონი თურმე არაფრად აგდებს იტალიის ნაკრების ექიმებს და ტრავმებს მათთან დაუკითხავად, სხვაგან და სხვებთან იშუშებს.

საინტერესო ის გახლავთ, რომ არცერთია ნაღდია იტალიელი: ტანევიჩი ბოსნიელია, ხოლო მაიერსი — ამერიკელი ზანგი.

**კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10-11 ნოემბერი**

### A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 3 | 2 | 1 | 20&164 | 5 |
| რადნიჩკი | 3 | 2 | 1 | 229:210 | 5 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 235:298 | 5 |

IV ტური. 18.11: გალათასარაი — რადნიჩკი

### B ჯგუფი

სპარტაკი (სანკტ პეტერბურგი, რუსეთი) — კომფორტი (პოლონეთი) 90:68; დოლფინსი (შვედეთი) — ალიტა (ლიტვა) 80:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დოლფინსი | 5 | 3 | 2 | 460:427 | 8 |
| სპარტაკი | 5 | 3 | 2 | 436:426 | 8 |
| ალიტა | 5 | 3 | 2 | 395:386 | 8 |
| კომფორტი | 5 | 1 | 4 | 370:422 | 6 |

VI ტური. 18.11: ალიტა — სპარტაკი, კომფორტი — დოლფინსი

### C ჯგუფი

ოსტენდე (ბელგია) — ძუკეტი (იტალია) 99:55; უნიკახა (ესპანეთი) — ტატამი (გერმანია) 80:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოსტენდე | 5 | 4 | 1 | 437:366 | 9 |
| ტატამი | 5 | 2 | 3 | 396:389 | 7 |
| უნიკახა | 5 | 2 | 3 | 34&379 | 7 |
| ძუუკეტი | 5 | 2 | 3 | 356:403 | 7 |

VI ტური. 18.11: ტატამი — ოსტენდე, ძუკეტი — უნიკახა

### D ჯგუფი

პანიონიოსი (საბერძნეთი) — კერავნოსი (კვიპროსი) 81:74; ფრიბურგი (შვეიცარია) — ჟელეზნიკი (იუგოსლავია) 73:86

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანიონიოსი | 5 | 4 | 1 | 379:352 | 9 |
| ჟელეზნიკი | 5 | 3 | 2 | 353:362 | 8 |
| კერავნოსი | 5 | 2 | 3 | 341:351 | 7 |
| ფრიბურგი | 5 | 1 | 4 | 34&356 | 6 |

VI ტური. 18.11: ჟელეზნიკი — პანიონიოსი, კერავნოსი — ფრიბურგი

### E ჯგუფი

პეპსი (იტალია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 73:83; ბიტომი (პოლონეთი) — ფალკო (უნგრეთი) 84:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 5 | 4 | 1 | 393:380 | 9 |
| ბიტომი | 5 | 3 | 2 | 387:358 | 8 |
| პეპსი | 5 | 2 | 3 | 367:368 | 7 |
| ფალკო | 5 | 1 | 4 | 373:414 | 6 |

VI ტური. 18.11: ბეშიქთაში — ბიტომი, ფალკო — პეპსი

### F ჯგუფი

ფორუმი (ესპანეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 79:85; მონსი (ბელგია) — ნოვა პუტი (ჩეხეთი) 84:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დიჟონი | 5 | 4 | 1 | 412:382 | 9 |
| მონსი | 5 | 3 | 2 | 389:368 | 8 |
| ფორუმი | 5 | 3 | 2 | 376:365 | 8 |
| ნოვა ჰუტი | 5 | 0 | 5 | 352:414 | 5 |

VI ტური. 18.11: ფორუმი — მონსი, ნოვა ჰუტი — დიჟონი

### G ჯგუფი

აპოლონი (საბერძნეთი) — მაკაბი (ირონი, ისრაელი) 74:52; სპარტა (ჩეხეთი) — ციტლიუკი (ბოსნია) 43:55

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აპოლონი | 5 | 4 | 1 | 393:345 | 9 |
| ციტლიუკი | 5 | 3 | 2 | 343:326 | 8 |
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | 370:359 | 8 |
| სპარტა | 5 | 0 | 5 | 302:378 | 5 |

VI ტური. 18.11: ციტლიუკი — აპოლონი, მაკაბი — სპარტა

### H ჯგუფი

მაკაბი (რიშონ ლე ციონი, ისრაელი) — ბამბერგი (გერმანია) 72:62; ლე მანი (საფრანგეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) 78:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 5 | 4 | 1 | 401:363 | 9 |
| ბამბერგი | 5 | 3 | 2 | 355:353 | 8 |
| ლე მანი | 5 | 2 | 3 | 384:391 | 7 |
| ბენფიკა | 5 | 1 | 4 | 366:399 | 6 |

VI ტური. 18.11: ლე მანი — მაკაბი, ბენფიკა — ბამბერგი

### I ჯგუფი

ადეკო (ესპანეთი) — ატომიქსი (ბელგია) 79:62; ბეზანსონი (საფრანგეთი) — პორტუ (პორტუგალია) 86:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ადეკო | 5 | 5 | 0 | 40&355 | 10 |
| პორტუ | 5 | 3 | 2 | 39&375 | 8 |
| ბეზანსონი | 5 | 2 | 3 | 364:344 | 7 |
| ატომიქსი | 5 | 0 | 5 | 337:434 | 5 |

VI ტური. 18.11: პორტუ — ადეკო, ატომიქსი — ბეზანსონი

### J ჯგუფი

დუკატო (იტალია) — ბორაცი (ბოსნია) 77:56; ტუბორგი (თურქეთი) — ბენსტონი (ხორვატია) 66:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დუკატო | 5 | 4 | 1 | 385:293 | 9 |
| ბენსტონი | 5 | 3 | 2 | 330:353 | 8 |
| ბორაცი | 5 | 2 | 3 | 319:332 | 7 |
| ტუბორგი | 5 | 1 | 4 | 329:385 | 6 |

VI ტური. 18.11: ბენსტონი — დუკატო. 19.11: ბორაცი — ტუბორგი

### K ჯგუფი

სლობოდა (ბოსნია) — პაპაგოსი (საბერძნეთი) 67:51; ტელეკომი (გერმანია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 78:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 5 | 4 | 1 | 38&348 | 9 |
| პაპაგოსი | 5 | 3 | 2 | 365:352 | 8 |
| სლობოდა | 5 | 3 | 2 | 311:333 | 8 |
| ზრინიევაცი | 5 | 0 | 5 | 351:382 | 5 |

VI ტური. 18.11: პაპაგოსი — ტელეკომი, ზრინიევაცი — სლობოდა

### L ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი) — პოგონი (პოლონეთი) 76:72; შახტიორი (უკრაინა) — შიაულიაი (ლიტვა) 84:92

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შიაულიაი | 5 | 3 | 2 | 454:422 | 8 |
| პოგონი | 5 | 3 | 2 | 396:388 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 441:447 | 8 |
| შახტიორი | 5 | 1 | 4 | 430:464 | 6 |

VI ტური. 18.11: შიაულიაი — ლოკომოტივი, პოგონი — შახტიორი

### M ჯგუფი

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — აეროპორტი (იტალია) 75:77; ლოვჩენი (იუგოსლავია) — კრკა (სლოვენია) 61:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეროპორტი | 5 | 4 | 1 | 385:357 | 9 |
| კრკა | 5 | 4 | 1 | 392:366 | 9 |
| ჰაპოელი | 5 | 1 | 4 | 384:411 | 6 |
| ლოვჩენი | 5 | 1 | 4 | 347:374 | 6 |

VI ტური. 18.11: აეროპორტი — ლოვჩენი, კრკა — ჰაპოელი

### N ჯგუფი

ოკაპი (ბელგია) — პსჟ (საფრანგეთი) 98:91; ბაიერი (გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) 53:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 42&351 | 10 |
| ოკაპი | 5 | 3 | 2 | 43&437 | 8 |
| პსჟ | 5 | 2 | 3 | 39&393 | 7 |
| ბაიერი | 5 | 0 | 5 | 351:434 | 5 |

VI ტური. 18.11: ბარსელონა — ოკაპი, პსჟ — ბაიერი

### O ჯგუფი

ნეპტუნასი (ლიტვა) — არსენალი (რუსეთი) 94:76; ჰონკა (ფინეთი) — აზოვბასკეტი (უკრაინა) 93:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 4 | 1 | 40&323 | 9 |
| ნეპტუნასი | 5 | 3 | 2 | 432:400 | 8 |
| ჰონკა | 5 | 3 | 2 | 374:378 | 8 |
| აზოვბასკეტი | 5 | 0 | 5 | 343:456 | 5 |

VI ტური. 18.11: არსენალი — ჰონკა, აზოვბასკეტი — ნეპტუნასი

### P ჯგუფი

დარუშაფაკა (თურქეთი) — ირაკლიონი (საბერძნეთი) 88:66; სვიტი (სლოვაკეთი) — ბეობანკა (იუგოსლავია) 57:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 5 | 4 | 1 | 432:342 | 9 |
| ბეობანკა | 5 | 3 | 2 | 395:372 | 8 |
| ირაკლიონი | 5 | 3 | 2 | 391:403 | 8 |
| სვიტი | 5 | 0 | 5 | 336:437 | 5 |

VI ტური. 18.11: ბეობანკა — დარუშაფაკა, ირაკლიონი — სვიტი

# ვივა კუბა!

VOLLEYBALL 1998 WORLD CHAMPIONSHIPS

იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში გასრულდა ფრენბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გუშინ გაიმართა ოთხი მატჩი. სანამ სარბიელზე ფინალის მონაწილენი — კუბა და ჩინეთი გავიდოდნენ, მაყურებელი მე-3, მე-5 და მე-7 ადგილებისთვის გამართული შეხვედრებით ირთობდა თავს.

იაპონელებს ძალიან აინტერესებდათ, საბოლოოდ რომელ ადგილს დაიკავებდა მათი ნაკრები. ამიტომაც ჰოლანდია-იაპონიის მატჩს 4 200 კაცი დაესწრო, რაც ამ ჩემპიონატისთვის საკმაოდ ბევრია. პირველი პარტია ევროპელებმა მოიგეს. მეორე სულ სხვაგვარი სცენარით წარიმართა. მასპინძლები საუცხოოდ ათამაშდნენ და 5:1 დაწინაურდნენ. ამის მერე უპირატესობა მათი იყო, ონუკის მოწოდებებს და იაპონელთა დაფარებებს ჰოლანდიელებმა ვერაფერი მოუხერხეს — 15:3. მესამე ხელში სიტუაცია ისევ შეიცვალა და ჰოლანდია 10:4 დაწინაურდა. აქ იაპონელთა თავაცმა კუძუვამ ტაიმ-აუტი აიღო და თავისი არეული გუნდის დალაგებაც მოახერხა, მაგრამ მასპინძლებმა მესამე ხელი მაინც დათმეს, რასაც მეოთხე პარტიის და მატჩის წაგებაც მიაყოლეს და საბოლოოდ მე-8 ადგილს დასჯერდნენ. „ხორვატებთან თამაშის შემდეგ ძალების სრულად აღდგენა ვერ შევძელით და ამიტომაც წავაგეთ" — იაპონელთა კაპიტანმა საკო ტაჯიმიმ მარცხი დაღლილობას დააბრალა. „იაპონელთა თამაში კარგად შევისწავლეთ. ხორვატებთან მატჩისას მათი შეცდომები გავაანალიზეთ და ჩვენც ბალკანელების დარად ვითამაშეთ" — ჰოლანდიელთა მწვრთნელმა პიერ მატიომაც გუშინწინდელ შეხვედრას დაუკავშირა გუშინდელი მარცხი.

ხორვატები კი მე-5 ადგილისთვის მატჩში იტალიელებს შეხვდნენ და 0:3 დამარცხდნენ. „შევძლებთ თუ არა ბარბარა ელიჩის ნეიტრალიზებას?" — ამ კითხვას გამუდმებით იმეორებდა იტალიელთა თავკაცი ფრიგონი, რომელიც სრულიად მართალი იყო, ეს პრობლემა რომ წამოჭრა. ბარბარა ელიჩმა გუშინ, თავისი გუნდის მარცხის მიუხედავად, ტურნირი მაინც ყველაზე შედეგიან ფრენბურთელად დაამთავრა და ჯილდოდ 50 000 ამერიკული დოლარი მიიღო. მატჩი კი მთლიანად იტალიელთა უპირატესობით წარიმართა. მათ ჩინებულად შეასრულეს მწვრთნელის დავალება და იოლადაც მოიგეს. „მიხარია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ გული მწყდება — ეს ხომ მხოლოდ მე-5 ადგილისთვის მატჩი იყო: — თქვა იტალიელთა საუკეთესო მოთამაშემ და კაპიტანმა მაურიცია კაჩიატორიმ.

ნიკოლაი კარპოლისთვის ეს მესამე მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. მისი თავკაცობით სსრკ-ს ქალთა ნაკრებმა 1990 წელს ოქროს მედლებს დაეუფლა, რუსეთის ნაკრები კი 1994-ში ბრინჯაოს. რუსი ქალები იაპონიაშიც მესამე ადგილზე გავიდნენ, ბრაზილიას 3:1 მოუგეს. თუმცა შეხვედრა ბრაზილიელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი პარტიაც მათი გამარჯვებით დასრულდა 15:13. ამის შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად სლავების ხელში გადავიდა და ბრინჯაოს მედლებიც მათ დაისაკუთრეს. მათ რიგებში საუკეთესოდ გაისარჯნენ ტიშჩენკო, გოდინა და არტამონოვა. „ამ შედეგით კმაყოფილი ვარ. ახალბედები კარგად შეთამაშდნენ ძველებთან და საკმაოდ ძლიერი გუნდიც ჩამოვაყალიბეთ. სიდნეის ოლიმპიადისთვის კიდევ უფრო გავძლიერდებით და ავსტრალიაში მე-3 ადგილით აღარ დავკმაყოფილდებით" — მომავალს იმედიანად უყურებს კარპოლი, რომელიც სპორტულ სამყაროში პროფესიონალიზმის გარდა ბილწსიტყვაობითაცაა ცნობილი.

ფინალში კი, რა თქმა უნდა, კუბამ გაიმარჯვა. სწორედ ამას წინასწარმეტყველებდა თითქმის ყველა, ვინც ფრენბურთში კარგად ერკვევა. თამაშზე კი რის თქმა შეიძლება? ალბათ, ბევრის არაფრის. მსოფლიოს ჩემპიონებმა იოლად მოუგეს აზიის ჩემპიონებს და სენსაციაც არ მოხდა. კუბელებს განსაკუთრებით პირველი ხელის მოგება გაუიოლდათ. მეორე და მესამე პარტიებში ჩინელებმა გამოიღეს ხელი და თითქოს ბრძოლაც გააჩაღეს, მაგრამ აშკარად ჩანდა, „თავისუფლების კუნძულის" წარმომადგენლების მძლეველები ვერ იქნენ. მართლაც, ოქროს მედლები კუბელებს დარჩათ, ჩინელები კი ვერცხლისას დასჯერდნენ.

„ვფიქრობდი, გამარჯვება გაგვიჭირდებოდა, რადგან გუშინ ჩინელები იოლად გაუსწორდნენ რუსებს და ვნახე, რომ მშვენიერი გუნდიც ჰყავდათ. ჩვენდა საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ყველა კუბელმა ფრენბურთელმა უმაღლეს დონეზე ითამაშა. მინდა, მათ მადლობა ვუთხრა. გაისად მსოფლიოს თასის მოგებასაც შევეცდებით, მერე ოლიმპიადისას, მერე კი..." — კარიბელთა მწვრთნელი ანტონიო პერდომო საუცხოო გუნებაზე იყო.

**ბაიოჭ თალაკვაძე**

### ფინალი

კუბა — ჩინეთი 3:0 (15:4, 16:14, 15:12)

### მე-3 ადგილისთვის

რუსეთი — ბრაზილია 3:1 (13:15, 15:6, 15:11, 15:3)

### მე-5 ადგილისთვის

იტალია — ხორვატია 3:0 (15:7, 15:10, 15:8)

### მე-7 ადგილისთვის

ჰოლანდია — იაპონია 3:1 (15:12, 3:15, 15:10, 15:8)

1. კუბა, 2. ჩინეთი, 3. რუსეთი, 4. ბრაზილია, 5. იტალია, 6. ხორვატია, 7. ჰოლანდია, 8. იაპონია

დღეს კი ფრენბურთელი კაცები დაიწყებენ ჩემპიონატს. პირველ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: კორეა-ეგვიპტე, ესპანეთი-იაპონია, კანადა-იტალია, აშშ-ტაილანდი, ჩინეთი-უკრაინა, ჩეხეთი-ჰოლანდია, არგენტინა-ირანი, პოლონეთი-კუბა, ბულგარეთი-ალჟირი, საბერძნეთი-ბრაზილია, იუგოსლავია-ავსტრალია და თურქეთი-რუსეთი.




ბრაზილიელი ანა მოზერის შეტევას რუსები გაუმკლავდნენ



# რა ჩიტი ყოფილა ფინიქსი?!

NHL

11 ნოემბერი

**დალასი — ფინიქსი 0:2**

0:1 0:1 0:0

0:1 ტკაჩუკი 14'15 (8); 0:2 ლუმე 20'22 (2)

სეზონის წინ ავტორიტეტულმა გაზეთმა „THE HOCKEY NEWS"-მა ფინიქსის მწვრთნელ ჯონ შონფელდს ნაადრევი დათხოვნა უწინასწარმეტყველა. ეს ვარაუდი ბოლო წლებში ფინიქსის არასტაბილურ ასპარეზობას ეფუძნებოდა. ჩემპიონატის სტარტზეც „კოიოტები" ზედიზედ რამდენჯერმე დამარცხდნენ და მათი თავკაცის ბედიც ყველას გადაწყვეტილი ეგონა. მაგრამ 11 მატჩის შემდეგ სურათი საოცრად შეიცვალა. კლუბის გულშემატკივრები უკვე სტენლის თასზე ოცნებობენ. ხუმრობა როდია — ფინიქსელებმა სამ გრანდთან, დეტროიტთან, დალასთან და კოლორადოსთან 5 ქულა დააგროვეს და სულ 2 გოლი (!) გაუშვეს, თანაც „ვარსკვლავები", რომლებმაც მანამდე 7 საშინაო მატჩში მხოლოდ 1 ქულა დაკარგეს, სტუმრად დაამარცხეს. „კოიოტების" გამოცოცხლება, უპირველეს ყოვლისა, დაცვის საიმედო თამაშის წყალობაა, რომელიც ერთ შეხვედრაში საშუალოდ 1,5 გოლს უშვებს. ასე იყო დალასთანაც: მიუხედავად იმისა, რომ „ვარსკვლავებმა" 38-ჯერ დაარტყეს კარში, ფინიქსელებმა რეალურ საფრთხემდე მხოლოდ რამდენჯერმე მიიყვანეს საქმე, ამ მომენტებშიც ჯიმი უეიტმა იყოჩაღა. „კოიოტებს" 2-3 გოლის გატანა არასდროს უჭირდათ, მით უმეტეს, რომ მათი ჩინებული სნაიპერი კეიტ ტკაჩუკი (6 მატჩში 6 გოლი) დღითიდღე უმატებს.

**ნიუ ჯერსი — მონრეალი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 ოლივა 12'12 (1); 2:0 ნიდერმაიერი 21'04 (1); 3:0 ბრილინი 43'05 (1)

ყველაფერი მეორე პერიოდის დასაწყისში გადაწყდა, როცა ორკაციან რიცხვმრავლობაში მყოფ მონრეალელებს ნიდერმაიერის გარღვევის ჩაშლა ბულიტის ფასად დაუჯდათ და ტექნიკურმა მცველმაც ხელიდან არ გაუშვა ეს შანსი. მისმა პარტნიორმა, მეკარე მარტინ ბროდომ (კარიერაში 33-ე „შათაუტი") სულ ცოტა ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები.

**ანაჰაიმი — კაროლინა 5:4**

0:1 1:2 3:1 1:0

0:1 პრიმო 18'48 (5); 1:1 მაკინისი 22'11 (3); 1:2 კაპანენი 23'26 (6); 1:3 ემერსონი 24'48 (4); 2:3 სელიანე 42'32 (7); 3:3 მაკენზი 54'34 (2); 3:4 პრიმო 56'55 (6); 4:4 კარია 58'53 (7); 5:4 რუჩინი 61'04 (3).



REUTERS ფოტოქრონიკა

ტორონტოელები ალინ მაკოლი (№18) და ჯეისონ სმიტი ედმონტონელ რომან ჰამრლიკის დევნაში ერთმანეთს შეასკდნენ

ანაჰაიმელებმა ამ ურთულეს ორთაბრძოლაში უდიდესი ნებისყოფა გამოავლინეს. მაგალითი პარტნიორებს ტეემუ სელიანემ უჩვენა, რომელიც მეორე შესვენების დროს ფეხის ტკივილმა შეაწუხა, მაგრამ გასახდელს მხოლოდ გოლის გატანის შემდეგ მიაშურა. მისმა მუდმივმა პარტნიორებმა პოლ კარიამ და სტივ რუჩინმა, ისევე, როგორც სეზონის მსვლელობისას აილენდერსიდან ანაჰაიმში გადასულმა მარტი მაკინისმა, თითო გოლი და პასი მიითვალეს, სტუმრებს კი ვერც მათი ლიდერების — კეიტ პრიმოსა (2+1) და დეივ შეპარდის (3 პასი) ძალისხმევამ უშველა.

**დეტროიტი — სენტ ლუისი 6:2**

4:0 2:0 0:2

1:0 კოშური 6'11 (1); 2:0 კოშური 6'36 (2); 3:0 დრეიპერი 17'38 (1); 4:0 კოზლოვი 18'29 (1); 5:0 მაკარტი 26'05 (5); 6:0 აიზერმანი 39'41 (5); 6:1 პელერინი 45'57 (2); 6:2 კემპბელი 50'35 (1)

დეტროიტის ამასწინანდელი ოთხმატჩიანი უიღბლობა სწორედ სენტ ლუისთან მარცხის შემდეგ დაიწყო. გაცხარებული ჩემპიონიც საგანგებოდ მოემზადა რევანშისთვის და პირველივე პერიოდში გაანადგურა მოწინააღმდეგე. სტუმრები განსაკუთრებით „წითელფრთიანთა" მეომრებმა ჯო კოშურმა (2+1) და კირკ მოლტბიმ (3 პასი) არ დაინდეს, რომლებმაც უჩვეულოდ შედეგიანად ითამაშეს.

გუნდის კაპიტანმა სტივ აიზერმანმა (1+1) 1426-ე ქულის დაგროვებით ბრაიან ტროტიეს გაუსწრო და ნჰლ-ის ბომბარდირთა პირველ ათეულში შევიდა.

**ფლორიდა — რეინჯერსი 4:1**

1:0 1:1 2:0

1:0 კვაშა 2'57 (2); 1:1 გრეივსი 36'14 (5); 2:1 ჟოვანოვსკი 39'38 (1); 3:1 შვეჩლა 43'33 (1); 4:1 უიტნი 51'44 (4)

სამწუხაროდ, ნიუიორკელებს მონდომება მხოლოდ ორი თამაშისთვის ეყოთ და ფლორიდაში ჩასულნი ისევ უფერულად გამოიყურებოდნენ. მასპინძელმა დეივ განიემ (1 პასი) კარიერაში მე-700 ქულა დააგროვა.

**ტორონტო — ედმონტონი 3:2**

0:0 3:1 0:1

0:1 მიურეი 29'56 (2); 1:1 მარკოვი 34'43 (1); 2:1 მაკოლი 35'03 (4); 3:1 ტომასი 38'22 (5); 3:2 კოვალენკო 43'55 (5)

ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფმა უდიდეს დატვირთვას გაუძლო და სეზონში მეორედ გაამწარა თავისი ყოფილი პარტნიორები. სტუმრებმა ბოლო პერიოდში 20-ჯერ (!) დაარტყეს, მაგრამ შეუდარებელი „კოუჯოს" კარის დალაშქვრა მხოლოდ ერთხელ შეძლეს.

**სამველ ლარიბიანი**

# მთავარი, მთავარი, მთავარი..

დასრულდა ნჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატის პირველი თვე. განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი ბევრი რამ მოხდა. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი:

### მთავარი მოვლენა: პიტსბურგის გაკოტრება

პიტსბურგი რომ გაკოტრდა, ადრეც გამცნეთ, მაგრამ ამ ისტორიაში თუ რამ შეიძლება სასიამოვნო იყოს, ის, რომ ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაციასა და კლუბებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ჰოკეისტები ჩვეულებრივ, დროულად იღებენ ხელფასს. თუმცა, კლუბმა ჯერჯერობით ვერ მოაგვარა პრობლემები და გამორიცხული არ არის, ან სხვა ქალაქში მოუხდეს გადასვლა, ანაც სხვა მფლობელი მოეძებნოს.

### მთავარი სიურპრიზი: ნეშვილი

პირველი თვის მთავარი სიურპრიზი ნეშვილის თამაში გახლდათ. მართალია, „მტაცებლები" ცაში ვარსკვლავებს არ წყვეტენ (13 მატჩის შემდეგ 11 ქულა), მაგრამ ოტავას, ტამპასა და სან ხოსესგან განსხვავებით, სადებიუტო სეზონში არცთუ ურიგოდ გამოიყურებიან. გუნდის მწვრთნელმა ბერი ტროტცმა როგორც იქნა, შეაგნებინა მოთამაშეებს, რომ მხოლოდ მისი დარიგებების ზედმიწევნით შესრულება მოუტანს გამოუცდელ ნეშვილს გარკვეულ წარმატებას. აშკარა ჩავარდნა კლუბს ჯერჯერობით არ ჰქონია. „მტაცებლებს" ლიდერებიც გამოუჩნდნენ — მეკარე მაიკ დანჰემი და ფორვარდები: სერგეი კრივოკრასოვი და გრეგ ჯონსონი. ეს უკანასკნელნი თავის დროზე ჩიკაგოში თამაშობდნენ, მაგრამ ვერ დაფასდნენ ისე, როგორც იმსახურებდნენ.

### მთავარი მოულოდნელობა: კოლორადო

90-იანი წლების მეორე ნახევარში კოლორადო მოლონიერდა და საკუთარი თამაშიც იპოვა. ამგვარი კლუბი ისე რომ დაეცემა, ზედიზედ ორ მატჩს ხეირიანად ვერ წარმართავს, ერთობ საწყენია. დღეისათვის საშინლად გამოიყურება მეკარე პატრიკ რუა, ხოლო ფორსბერგი და კომპანია იშვიათად თუ გამოიჩენენ თავს.

### მთავარი გმირი: არტურ ირბე

ნათქვამია, ახლა გვიანია თითზე კბენანიო. ვანკუვერის მწვრთნელმა მაიკ კინენმა რაც უნდა ინანოს, აღარაფერი უშველის. შარშან სწორედ მან გაუშვა არტურ ირბე გუნდიდა. ამჟამად კაროლინაში მოთამაშე მეკარემ ჩინებულად ჩაატავა პირველი თვე და ქებაც მრავლად დაიმსახურა. რაც მთავარია, „ქარიშხლები" ამჟამად სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში იმყოფებიან.

### მთავარი ანტიგმირი: ალექსეი კოვალიოვი

კარგა ხანია, რეინჯერსის ხელმძღვანელები უაღრესად ნიჭიერი ალექსეი კოვალიოვისგან სასწაულს ელიან, მაგრამ ამაოდ. 1994 წლის პლეი ოფში ბრწყინვალე თამაშის მერე რუსი ვერა და ვერ ამართლებს იმედებს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იგი ან პარტნიორებს ვერ უგებს (თუმც გრეცკიზე უკეთესი რომელია), ან კლუბის გამოცვლა ესაჭიროება. ასეა თუ ისე, ფორვარდმა პირველ მატჩებში გოლიც ვერ გაიტანა, მერე კი ტრავმა მიიღო და „რეინჯერებს" ამით თითქოს საშველიც კი დაადგათ.

### მთავარი მატჩი: დალასი 3:2 დეტროიტი

ამ მატჩში მნიშვნელოვანი დალასელთა მოგება იყო, რის შემდეგაც ნათელი გახდა, რომ წლეულს დეტროიტს პლეი ოფში გვარიანად გაუჭირდება. ჩემპიონებმა სწორედ ამის შემდეგ დაკარგეს თავიანთი თავის რწმენა და ჯერაც გონს ვერ მოსულან. ისე, მათ კიდევ ექნებათ რევანშის შესაძლებლობა, ჩვენ კი 90-იანი წლების ბოლოს კლასიკურ დაპირისპირებად ქცეულ ამ მეტოქეთა სამ ბრძოლას ვიხილავთ.

### მთავარი სკანდალი: ლინდროსისგან დაკელის გამეტება

ამ გახმაურებულ ისტორიაში მთავარი ის იყო, რომ ლინდროსის საქციელი წესების დარღვევად არ მიიჩნიეს და პირიქით, დაკელს უყურადღებობა დასწამეს. თითქოს არაფერი მომხდარა. ისე, განა არ აჯობებდა, ლინდროსს მოჭარბებული ენერგია დარტყმებსა და კარის სიახლოვეს მარჯვედ ტრიალში დაეხარჯა.

### მთავარი თავისებურება: სიმჭიდროვე სატურნირო ცხრილში

ასეთ შეუპოვარ ბრძოლას ნამდვილად არავინ ელოდა. თითქმის ყველა დივიზიონში ერთნაირი მდგომარეობაა — აშკარად არც ლიდერი გამოკვეთილა და არც აუტსაიდერი, ქულების სხვაობა ერთობ მცირეა. ამის მიზეზი კი, ალბათ, ის არის, რომ ან ფავორიტებს ვერ მოუკრებიათ ჯერჯერობით ძალ-ღონე (მხოლოდ დალასი ამართლებს იმედებს), ანაც სუსტებმა ჭკუა ისწავლეს. რა გვეთქმის, ეს ხომ ჩემპიონატს ინტერესს მატებს.

### მთავარი დებიუტი: მარკ პერიში

განა საკმარისი არ იყო ჩიკაგოს კარში გატანილი ოთხი გოლი, ფლორიდელ დებიუტანტს სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება რომ მიეპყრო. პერიში არც სხვა მატჩებში გამოიყურება ურიგოდ და 9 (6+3) ქულით ახალბედებს შორის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

# ოლიმპიური ჩემპიონის საუკუნე

ცოცხალ ოლიმპიურ ჩემპიონთაგან უხუცესი 100 წლის გამხდარა. სლოვენიელმა ტანმოვარჯიშემ ლეონ შტუკელიმ გუშინ მშობლიურ ქალაქ ნოვო მესტოში საუკუნოვანი იუბილე გადაიხადა.

შტუკელი 1924 წელს, პარიზის ოლიმპიადაზე ორჯერ გახდა ჩემპიონი, ოთხი წლის შემდეგ, ამსტერდამში კი კოლექციას ერთი ოქროს მედალიც წაუმატა. ამად იყო, ასწლოვანი ჩემპიონის დასაფასებლად ნოვო მესტოში თავად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, თავადაც მხცოვანი, მაგრამ შტუკელისთან შედარებით ჯეელი ხუან ანტონიო სამარანჩი რომ ჩაბრძანდა. დონ ხუანმა ჯერ ზეიმის ოფიციალურ ნაწილში მიიღო მონაწილეობა, მერე კი ძველ მეგობართან ერთად შუასაუკუნოვან კოშკში სადილს შეექცა.

შტუკელი ოლიმპიური ორდენით 1987 წელს დაჯილდოვდა. განდიდება არც სამშობლოში აკლია — მისი პორტრეტი სლოვენიურ ხურდა ფულზე და სატელეფონო ბარათებზეა გამოსახული. სადაც სამართალია, შტუკელი იუგოსლავიელებმაც უნდა დააფასონ: იგი ხომ ამ ქვეყნის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო.





ლეონ შტუკელი ხუან ანტონიო სამარანჩმა სიდნეიშიც დაპატიჟა

# პროფესია: ცემა-ტყეპა

მოგეხსენებათ, ნჰლ-ის „პოლიციელებმა“ წლების განმავლობაში შეიმუშავეს თავიანთი, ზოგადი წესებისგან განსხვავებული კოდექსი, რომლის თანახმად ჩხუბის დროს ყინულზე აუცილებლად უნდა დააგდო ხელთათმანები და ყვანჯი სხვათა ანგარიშსწორებაში არ უნდა ჩაერიო და რაც მთავარია, სხვა ამპლუის მოთამაშეს არ უნდა შეეჯახო. ამიტომაცაა, რომ არცთუ მრავალრიცხოვან მეომრებს (ყოველ კლუბში მათი რაოდენობა საშუალოდ 2-დან 5-მდეა) ხშირად უხდებათ ერთსა და იმავე მეტოქესთან შერკინება, რაც ხშირად პრინციპულ დაპირისპირებაშიც გადაზრდილა. 90-იანი წლების ნჰლ-ში ყველაზე ღირსშესანიშნავი ბობ პრობერისა და ტაი დომის პაექრობა იყო.

სურათზე აღბეჭდილი ფინიქსელი ჯიმ კამინსი და კოლორადოელ ჯეფ ოჯერსიც, ბოლო ხანს მოჩხუბართა რეიტინგში რომ აღზევდნენ, თავიანთი სახელოვანი კოლეგების დარად თითქმის ყველა მატჩში სასტიკად უსწორდებიან ერთმანეთს. გამონაკლისი არც მათი კლუბების 10 ნოემბრის შეხვედრა გახლდათ, როცა „პოლიციელებმა“ მთელ ერთ წუთს ჟეჟეს ერთმანეთი.

## იტალია

თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი

**რომა 1:1 (5:43) ატალანტა** (1:1)

## ჰოლანდია

ჰოლანდიის ჩემპიონატი

XIII ტური

**ეინდჰოვენი 3:1 ვიტესი**

1:0, 2:0 ნილისი (11, 35), 2:1 იოხემსენი (72), 3:1 ნისტერლოი (80)

# რაგბი ტკივილის თმენაა

რატომ არის რაგბი ვაჟკაცური? იმიტომ, რომ გამუდმებით უნდა ითმინო ტკივილი. ისე, როგორც ამას ჩვენი ნაკრების წევრი ფრანგულ „ორილიაკში“ მოთამაშე ზაზა ლეჟავა ახერხებს.



ბადრი კეთილაძის ფოტო




# პიტ სამპრასის შოუ-ტური

ამ ბოლო ხანს მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი ტურნირებს ხელცარიელი აღარ ტოვებს. ვენაში ყოფნისას „პისტოლ პიტმა“ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, „ჰერმინატორად“ წოდებულ ჰერმან მაიერს ჩოგნის სანაცვლოდ თხილამურები დასტყუა. პარიზში კი ბარტერულ გარიგებაში უკვე მაისურები მონაწილეობდა- თავისი „ნაიკის“ ნაცვლად ამერიკელს მარსელის „ოლიმპიკისა“ და საფრანგეთის ნაკრების წევრის რობერ პირესის უნიფორმა ერგო.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29